# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 1 თებერვალი 2000 №16 (1038) | ფასი 50 თეთრი


## 2 რად გინდოდა, ბიჭო, ცოლი!..



რევაზ ძოძუაშვილი: თაფლობის თვეს ნაკრებში ვერავინ გაატარებს!

## 3 ალექსიძე ზეგ გაფრინდება

ქართველი და „ჩელსი“ კონტრაქტს ალბათ ხუთშაბათსვე გააფორმებენ

## 7 ნუთუ კანტონაც მწვრთნელია?



მანჩესტერის ყოფილმა ვარსკვლავმა, შესაძლოა ლონდონური „ფულემი“ გაწვრთნას

## 10 ბლატერი ძალიან წუხს

ფიფას პრეზიდენტი მზადაა, მარადონას დაეხმაროს

## 12 უფულო ხარ? უქულო ხარ!

„დინამომ“ ვალი ვერ გაისტუმრა და არც ათამაშეს

## 14 სად ტაისონი, სად ფრენსისი...

# ილაპარაკეს, ილაპარაკეს...

### VIII ჯგუფის განრიგს, რომელზეც მწვრთნელები ვერ შეთანხმდნენ, უეფა დაადგენს



GUERIN SPORTIVO

9.10.1996 იტალია — საქართველო 0:1. ფრანჩესკო ტოლდო გიორგი ნემსაძის (№7) დარტყმას იგერიებს — პირველი მეტოქე მაშინაც იტალია იყო

გუშინ ბუქარესტში მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ჩვენი, მერვე შესარჩევი ჯგუფის გუნდების მწვრთნელები შეიკრიბნენ და მომავალ კალენდარზე მოლაპარაკება სცადეს.

სცადეს იმიტომ, რომ, როგორც შევიტყვეთ, რუმინელი, უნგრელი, იტალიელი, ლიტველი მწვრთნელები და დავით ყიფიანი ვერაფერზე შეთანხმებულან, საერთო ენა ვერ გამოუნახავთ.

ამიტომაც, წესისამებრ, უეფა თავად დაამტკიცებს მერვე ჯგუფის კალენდარს, რომლის ვარიანტიც ამჯგუფელებს ადრევე ეცნობათ. სხვათა შორის, იგი ჩვენებურთათვის, როგორც თავად ამბობენ, ერთობ ხელსაყრელია.

რუმინელთა მწვრთნელ ემერიხ იენეისთან დაკავშირება წუხელვე ვცადეთ, მაგრამ ათენის აეროპორტიდან კვიპროსში გასაფრენად გამზადებულმა იენეიმ თავაზიანი უარი გვითხრა, ბოდიში, ლამის ტრაპზე ვდგავარ, ხვალ დილით შემეხმიანეთო. რამდენიმე საათით ადრე კი მწვრთნელმა ჩვენს რუმინელ კოლეგას ეს განუცხადა: „დიახ, შევიკრიბეთ, საკმაო ხანს ვისაუბრეთ, ვიკამათეთ, მაგრამ საბოლოოდ ვერ შევთანხმდით. კალენდრის ჩვენეული ვარიანტი სხვათათვის მიუღებელი აღმოჩნდა, სხვათა შემოთავაზებული კი ჩვენ არ გვაძლევდა ხელს. ასე რომ, სათამაშო დღეებს უეფა დაადგენს. არადა, სჯობდა, დღეს მწვრთნელებს მოგველაპარაკა და ერთი აზრი გვქონოდა.“

კობა ინასარიძე

### უეფასეული კალენდარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 2-3 სექტემბერი, 2000 | | 2-3 ივნისი, 2001 | |
| იტალია | საქართველო | საქართველო | იტალია |
| უნგრეთი | ლიტვა | ლიტვა | უნგრეთი |
| 7-8 სექტემბერი, 2000 | | 5-6 ივლისი, 2001 | |
| საქართველო | უნგრეთი | უნგრეთი | საქართველო |
| რუმინეთი | იტალია | იტალია | რუმინეთი |
| 10-11 ოქტომბერი, 2000 | | 1-2 სექტემბერი, 2001 | |
| უნგრეთი | რუმინეთი | რუმინეთი | უნგრეთი |
| ლიტვა | საქართველო | საქართველო | ლიტვა |
| 24-25 მარტი, 2001 | | 4-5 სექტემბერი, 2001 | |
| რუმინეთი | ლიტვა | ლიტვა | რუმინეთი |
| იტალია | უნგრეთი | უნგრეთი | იტალია |
| 27-28 მარტი, 2001 | | 7 ოქტომბერი, 2001 | |
| ლიტვა | იტალია | იტალია | ლიტვა |
| საქართველო | რუმინეთი | რუმინეთი | საქართველო |

# ამერიკული დუბლი



REUTERS მელბურნიდან

ლინდსი დევენპორტი

კვირას მელბურნში სეზონის პირველი დიდი სლემის ტურნირი — ავსტრალიის ღია პირველობა დასრულდა. ზედიზედ მესამე „მეიჯორზე“ პრესტიჟული ტიტულებით მხოლოდ ამერიკელებმა დაიმშვენეს ხელი: ორკვირიანი მარათონის ბოლოს ეს პატივი კაცებში ანდრე აგასის, ქალებში კი ლინდსი დევენპორტს ხვდათ წილად.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი



REUTERS მელბურნიდან

ანდრე აგასი

# რად გინდოდა, ბიჭო, ცოლი!..

**საქართველოს** ეროვნული გუნდი გუშინ დილით კვიპროსზე გაემგზავრა, სასტუმრო „მერიდიან ლიმასოლში“ დაბინავდა და ახლა ხვალინდელი, სლოვაკებთან მატჩისთვის ემზადება, რომელიც ლარნაკაში ჩვენი დროით ხუთის ნახევარზე დაიწყება.

შაბათს კი ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა, თურქეთში მყოფი დავით ყიფიანის გარეშე, საქართველოში მოთამაშე ნაკრების კანდიდატები შეკრიბა და დილმის საწვრთნელ ბაზაზე საწვრთნელი, ნახევარ-ნახევარ საათიანი, სამტაიმიანი მატჩი ათამაშა.

ძოძუაშვილმა ორივე გუნდის შემადგენლობა წინადღეს გვითხრა და ისიც დაამატა, ამ თამაშის შემდეგ გადავწყვეტ, კვიპროსზე რომელი ფეხბურთელები წავიყვანოო.

I გუნდი: *ლომაია (ნიკურაძე), აბრამიძე, დიდავა, ვაშაკიძე, გ. ჩიხრაძე, სიჭინავა, გ. შენგელია, ანჩაბაძე, ა. სახვაძე, ალექსიძე, წიტაიშვილი (რ. ახალკაცი)*

II გუნდი: *გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ნემსაძე, ხიზანეიშვილი, საჯაია (ხიზანიშვილი), გ. ქორიძე, გ. კვარაცხელია, ხაჭაპურიძე, იონანიძე, ძოძუაშვილი, ხუროძე.*

პირობითად I გუნდში ტორპედოელ ხვადაგიანსაც უნდა ეთამაშა, მაგრამ მას ფეხის ტკივილი აწუხებდა და მატჩსაც მინდვრის გარედან უყურა. ისე, სრულიად შესაძლებელი იყო, თამაშისას მისი ბედი სხვებსაც გაეზიარებინათ. ფეხბურთელები ერთმანეთს არ ინდობდნენ, ცდილობდნენ, მწვრთნელისთვის თავი მოეწონებინათ, თუმცა ერთიორჯერ მეტისმეტი მოუვიდათ და ძოძუაშვილმა რამდენიმეს გასაგონად მაშინვე იღრიალა, თუ თამაშობთ, ითამაშეთ, თუ არა და, აქედან მიგაბრძანებთო.

საბოლოოდ „ჩელსიში“ წასასვლელად გამზადებული რატი ალექსიძის ორი გოლით I გუნდმა მოიგო. ძოძუაშვილიც კმაყოფილი დარჩა და მატჩის შემდეგ მწვრთნელთა საბჭოს ოთხ წევრთან ერთად ოთარ კორღალიძის სამუშაო კაბინეტში მიგვიწვია. ნაკრების 18-კაციან სიასაც ჩამოგითვლით და კითხვებზეც გიპასუხებთო.

შაბათს რევაზ ძოძუაშვილმა ეს 18 კაცი ჩამოთვალა:

*მეკარეები: დავით გვარამაძე, სოსო გრიშიკაშვილი;*

*მცველები: ლევან სილაგაძე, რევაზ ქემოკლიძე, გივი დიდავა, გელა შეყილაძე, გიორგი ჩიხრაძე, ვახტანგ ხვადაგიანი;*

*ნახევარმცველები: გოჩა ჯამარაული, ზურაბ მენთეშაშვილი, თენგიზ სიჭინავა, გიორგი ნემსაძე, ზურაბ იონანიძე, გივი კვარაცხელია;*

*თავდამსხმელები: მიხეილ ყაველაშვილი, არჩილ არველაძე, თემურ ქეცბაია, ზაზა ჯანაშია.*

შემდეგ მწვრთნელმა თქვა:

...ამ ეტაპზე ეს ფეხბურთელები კი ვამჯობინეთ დანარჩენებს, მაგრამ არავინ იფიქროს, ნაკრების კარი ვინმესთვის დახურული იყოს. დღეს მოთამაშეთაგან ყველა ითვლება ეროვნული გუნდის კანდიდატად. ჩვენ მწვრთნელთა საბჭოს რეკომენდაციებსაც ვითვალისწინებთ.

...ყიფიანი საქმის კურსშია. მან იცის, რომელი ფეხბურთელებიც მიგვყავს კვიპროსში. მართალია, ერთი-ორი მოთამაშის საკითხი რამდენიმე წუთის წინ, მწვრთნელთა საბჭოს წევრებთან მოლაპარაკების შემდეგ გადავწყვიტე, მაგრამ ამაზე ყიფიანთან შეთანხმებული ვიყავი. ყიფიანს ამ ფეხბურთელთა გვარებს დღეს საღამოს შევატყობინებ.



ბადრი კეთილაძის ფოტო

რევაზ ძოძუაშვილი

...სადღეისოდ მარცხენა მცველის პრობლემა გვაქვს. მოგეხსენებათ, კალაძესა და კობიაშვილს ნაკრებში კლუბები არ უშვებენ. ჩვენც ვიფიქრეთ და მათ შემცვლელად ჩიხრაძე ვიგულეთ. მარცხნივ ის ითამაშებს. ხიზანეიშვილი და საჯაიაც ამ ამპლუის ფეხბურთელები არიან, მაგრამ დღეს ჩიხრაძე ვარჩიეთ. ამიტომაა მნიშვნელოვანი ამხანაგური მატჩები, ყველას გამოცდის საშუალება გვაქვს.

...ქინქლაძეც არ გამოუშვა კლუბმა. ალექსიძე დღე-დღეზე „ჩელსიში“ მიდის და ხელს არ ვუშლით ჩვენ ყველა სასურველ ლეგიონერს გამოვუძახეთ, მაგრამ მათი კლუბები გაჯიუტდნენ და გვთხოვეს, მოთამაშეები დავუთმოთ. წინააღმდეგობა აღარც ჩვენ გაგვიწევია. კვიპროსზე ის ლეგიონერები ითამაშებენ, რომლებსაც კლუბებმა ამის ნება მისცეს.

...კმაყოფილი დავრჩი დღევანდელი მატჩით. მეტად პრესპექტიული თაობა იზრდება. თუ სათანადო ყურადღებას მივაქცევთ, კარგ ფეხბურთელებად გავზრდით, ოღონდ მათ უნდა მოინდომონ.

...გთხოვთ, მეკარის პრობლემაზე აღარ ვილაპარაკოთ. დღეს საქართველოში ეს პრობლემა საერთოდ არ არსებობს და იმიტომ. იაშინები არ გვყავს, მაგრამ... ნიჭიერები არიან, ნიჭს კი გამოყენება უნდა. რომელი ერთი ახალგაზრდა მეკარე ჩამოგითვალოთ?

...მამუკა წერეთელს ათასჯერ ვუთხარი, ჯერ ნუ დაქორწინდები-მეთქი. არ დამიჯერა და ცოლი მოიყვანა. ნაკრები კი თაფლობის თვის გასატარებელი ადგილი არ გახლავთ. ყველამ უნდა გაიგოს, ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ვიწყებთ ბრძოლას და...

როცა ფეხბურთელი ქორწინდება, თამაშს უკლებს, უფრო ოჯახზე ფიქრობს, ფორმაში არ არის. ისე ნუ გაიგებთ, თითქოს წერეთელი ნაკრებისთვის უკვე გამოუსადეგარი იყოს. არა, ჩვენ მას ყურადღებას კვლავაც მივაქცევთ და მოთხოვნებს თუ დააკმაყოფილებს, სიამოვნებით მოვიწვევთ, აბა, რას ვიზამთ.

ყოველივე შაბათს გვითხრა რევაზ ძოძუაშვილმა

კვირას კი ზემოჩამოთვლილ საკვიპროსო სიაში გარკვეული კორექტივების შეტანა მოუხდა. საწვრთნელი მატჩის შემდეგ გივი დიდავა და ზურაბ იონანიძე ფეხის ტკივილს შეუწუხებიათ, გიორგი ნემსაძეც შეუძლოდ შეიქმნა. რევაზ ძოძუაშვილმაც კვიპროსზე გაფრენის წინ გადაწყვიტა — დიდავას, ზურაბ ხიზანიშვილი შეცვლის, იონანიძეს ჭაბუკი მერაბ ძოძუაშვილი. რაც შეეხება ნესმაძეს, მწვრთნელმა ის მაინც წაიყვანა, იქნებ მესამე მატჩში 6 თებერვალს ითამაშოსო. და ყოველ შემთხვევისთვისაც, ძოძუაშვილმა მე-19 ფეხბურთელიც იახლა-დინამოელი ირაკლი ვაშაკიძე.

ჩვენებურები თბილისური დროით პირველის ნახევარზე ჩაფრინდნენ კუნძულზე და ზემოთაც ვახსენეთ, ლიმასოლში, სასტუმრო „მერიდიან ლიმასოლში“ დაბინავდნენ. გუშინვე საქართველოს ნაკრებმა სასტუმროს ახლომახლო მდებარე სტადიონზე 6 საათზე ივარჯიშა. როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავთ გუნდი უკვე სრული შემადგენლობით იქნება, შეყილაძე, არჩილ არველაძე და ზაზა ჯანაშია კვიპროსზე წუხელ უნდა ჩაფრენილიყვნენ. დანარჩენები ძოძუაშვილის განკარგულებაში არიან, რომლის მეწყვილე ყიფიანიც, რუმინელთა თავკაც ემერიხ იენეისთან ერთად კუნძულზე დღეს ჩაფრინდება.

ძოძუაშვილის თქმით, ბიჭები კარგ განწყობაზე არიან და ტურნირზე წარმატებული დებიუტის იმედიც აქვთ.

**კობა ინასარიძე**



გიორგი ლომაია და ირაკლი ხაჭაპურიძე (მარჯვნივ)

ბადრი კეთილაძის ფოტოები



მერაბ ძოძუაშვილი (ბურთით) ირაკლი ვაშაკიძის, ვალერი აბრამიძის, გივი დიდავას და გიორგი ჩიხრაძის გარემოცვაში

# ხვალ ქართულ დუეტს გამოსცდიან

## ყიფიან-ძოძუაშვილის გუნდს ლარნაკას პაპადოპულოსზე სლოვაკები დაუხვდებიან

**სლოვაკეთი**

ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა: 1938 წელს
ფიფას წევრი: 1993 წლიდან
უეფას წევრი: 1994 წლიდან
ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: ფრანტიშეკ ლაურინეკი
გენერალური მდივანი: ლადისლავ ვესელსკი
სტადიონი: „ტეჰელნე პოლე“, ბრატისლავა (ტევადობა 33 000)
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: იოჟეფ ადამეცი
ქვეყნის უძლიერესი კლუბები: „სლოვანი“, „კოშიცე“, „ინტერი“ (ბრატისლავა), „ტატრანი“ (პრეშოვი)

**ხვალ** კვიპროსში საქართველოს ეროვნული ნაკრები ახალი მწვრთნელების ხელმძღვანელობით პირველი მატჩს გამართავს. ლარნაკას „პაპადოპულოსის“ სტადიონზე ჩვენს დუეტს ქართველთათვის უცნობი მეტოქე, სლოვაკეთი გამოსცდის. აქამდე ქართველები და სლოვაკები საფეხბურთო მინდორზე ეროვნული ნაკრებების რანგში არ შებმულან.

სლოვაკეთი აღმოსავლეთ ევროპის იმ სახელმწიფოების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც კონტინენტის ამ ნაწილში სოციალიზმის დამარცხების შემდეგ მოიპოვეს დამოუკიდებლობა. 1992 წელს ჩეხოსლოვაკეთის ერთიანი ფედერაციის პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა ჩაატარა რეფერენდუმი, რომელზეც ჩეხებმა და სლოვაკებმა თავიანთი ნება გამოხატეს და ცალ-ცალკე ცხოვრება ამჯობინეს. ამას მოჰყვა „ხავერდოვანი გაყრა“ და სლოვაკეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა.

სლოვაკეთი 1993 წლიდან ატარებს ეროვნულ ჩემპიონატს. მანამდე ქვეყნის უძლიერეს გუნდად ბრატისლავის „სლოვანი“ ითვლებოდა, რომელმაც რამდენჯერმე მოიგო ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონობა.

სლოვაკეთის ეროვნული ნაკრებისთვის პირველი სერიოზული შეჯიბრი 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი იყო. აქ გუნდი პირველ ჯგუფში მოხვდა რუმინეთთან, საფრანგეთთან, პოლონეთთან, ისრაელთან და აზერბაიჯანთან ერთად. სლოვაკეთმა 10 მატჩიდან 4 მოიგო, 2 ფრედ დაასრულეს, 2-იც წააგეს და საბოლოოდ საგზურები რუმინეთსა და საფრანგეთს დაუთმეს.

შემდეგ იყო 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი, მე-6 ჯგუფი. ესპანეთის, იუგოსლავიის, ჩეხეთის, კარერებისა და მალტის კომპანიაში სლოვაკეთმა მე-4 ადგილი დაიკავა: 5 მოიგო, 1 ფრედ ითამაშა და 4 წააგო.

ბელგია-ჰოლანდიის ევროპის ჩემპიონატზე წასვლა კი გუნდმა რუმინეთსა და პორტუგალიას დაანება. ამ ციკლში გუნდს ამჟამინდელი მწვრთნელი, ცნობილი ჩეხოსლოვაკელი ფეხბურთელი იოჟეფ ადამეცი ხელმძღვანელობდა. ამ კაცმა 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლი მოიგო, ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში ჩატარებული 44 თამაშში 16 გოლი გაიტანა, მათ შორის ბრატისლავაში ჰეთ-ტრიქი გაუკეთა ბრაზილიის ნაკრებს. ადამეცი 1998 წლიდან წვრთნიდა ტრნავის „სპარტაკს“, საიდანაც ნაკრებში აღმოჩნდა. 2000 წლის ევროპის შესარჩევ მე-7 ჯგუფში სლოვაკებმა 5 მატჩი მოიგეს, 2 ფრედ ითამაშეს და 3 წააგეს.

სულ კი სლოვაკებს 1993 წლიდან ყველა დონეზე 70 შეხვედრა გაუმართავთ. აქედან გუნდმა 29 მოიგო, 13 ფრედ დაასრულა და 28-ში დამარცხდა, 88 გოლი გაიტანა და 94 გაუშვა.

ბოლო ამხანაგური მატჩი ადამეცის გუნდმა შარშან ლათინურ ამერიკაში ტურნეს დროს გამართა. 1:2 წააგო პერუსთან, 0:1 კოლუმბიასთან, 1:0 მოუგო გვატემალას და 25 ნოემბერს ალახუალაში 0:4 დამარცხდა კოსტა რიკის ნაკრებთან.

ამ მატჩში, რომელსაც 17 000 ფანი დაესწრო, ადამეცის გუნდმა შემდეგი შემადგენლობით ითამაშა: სუსკო, პრაბალი, ვარგა, შულცი, კონეცნი, ზატეკი, ზმელკო, უჯლაკუ, ლეიტნერი, კოზური (დირნბაჩი 63), კოზლეი (იანოკი 55), აღსანიშნავია, რომ კოსტარიკელმა არბიტრმა მატუზმა მეორე ტაიმში სლოვაკებს უჯლაკუ და პრაბალი გაუგდო. ზმელკომ კი მესამე გოლი საკუთარ კარში გაიტანა.

სლოვაკებისთვის კვიპროსის ექვსთა ტურნირზე თამაში პირველი არ გახლავთ. მათ იქ 1998 წელსაც იასპარეზეს და მე-3 ადგილი დაიკავეს — ჯგუფში 1:1 ითამაშეს სლოვაკებთან და 2:1 მოუგეს ისლანდიას. თუმცა ბურთების უკეთესი სხვაობით ფინალში სლოვენია გავიდა, რომელმაც იქ 0:1 წააგო მასპინძლებთან. მესამე ადგილისთვის კი ადამეცის გუნდმა 2:0 აჯობა ფინეთს.

აი, ასეთი მეტოქე ელის ქართველებს ხვალ „პაპადოპულოსზე“.

**სიმონ მენაბდე**


ალექსანდრე იაშვილი


ლევან კობიაშვილი

# იაშვილი 2
# კობიაშვილი 1
# ჯანაშია 1

პორტუგალიური შეკრებიდან სამშობლოში დაბრუნებულმა გერმანულმა „ფრაიბურგმა“ კვირას საკუთარ „დრაიზამშტადიონზე“ შვეიცარიულ „ბაზელს“ უმასპინძლა და 4:0 გაანადგურა. ორი გოლი ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა, თითო-თითოც ლევან კობიაშვილმა და ტუნისელმა მეჰდი ბენ სლიმანმა ჩაიწერეს თავიანთ აქტივში.

„ამ თამაშმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ იაშვილის მუხლი პრობლემას აღარ წარმოადგენს. იგი ბოლომდე გამოჯანმრთელდა და, როგორც ხედავთ, ფორმასაც იბრუნებს“ — მატჩის კომენტარისას „ფრაიბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ ცოტა ქართველ თავდამსხმელზეც ისაუბრა.

ასე რომ, შეიძლება ითქვას — ალექსანდრე იაშვილი ჩვეულ ფორმაში შევიდა და მოწადინელა გოლის გატანასაც მოუხშირდა. „ფრაიბურგის“ მიერ ჩატარებულ ბოლო სამ საკონტროლო შეხვედრაში მან სამი ბურთი მიითვალა. „ბაზელამდე“ მან ზაზა ჯანაშიას მოსკოვის „ლოკომოტივთან“ გამოიჩინა თავი. იაშვილი რომ კარგად ათამაშდა, ამაზე ყველაზე კარგად მწვრთნელის შეფასება მეტყველებს. „იაშვილი დღეს ბრწყინვალე იყო. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის უთამაშებელია, მთელი მატჩი ჩინებულად ჩაატარა“ — ეს სიტყვები ფინკემ ერთი კვირის წინ „ლოკომოტივთან“ 2:2 დასრულებული მატჩის შემდეგ წარმოთქვა.

„ბაზელთან“ შეხვედრის პირველი ტაიმი შვეიცარიელების უპირატესობით წარიმართა, თუმცა იგი მაინც მასპინძლებმა მოიგეს. ბაზელელები ლევან კობიაშვილმა მე-3 წუთზევე დაამწუხრა. დანარჩენი სამი ბურთი მეორე ნახევარში გავიდა. 47-ე და 74-ე წუთებზე იაშვილმა ითამაშა კარგად. შედეგად ანგარიში ჯერ 2:0, შემდეგ კი 4:0 გახდა. 3:0 კი ტაბლოზე 54-ე წუთზე აენთო ბენ სლიმანის გოლის შემდეგ.

„ფრაიბურგის“ მესამე ქართველს, ლევან ცქიტიშვილს კვლავ არ უთამაშია. მან ახლახან ფეხის ოპერაცია გაიკეთა და ცოტა ხანს კიდევ დაისვენებს.

იაშვილის მსგავსად, წონაში იკლებს და ფორმაში დგება ლოკომოტიველი ზაზა ჯანაშიაც. მოსკოველთა თავკაცმა იური სიომინმა იგი, მოგეხსენებათ, „ფრაიბურგის“ წინააღმდეგ არ ათამაშა. მიზეზი ქართველის ჭარბი წონა გახლდათ. შვებულებიდან დაბრუნებული ზაზა ძალიან დამძიმებული გამოიყურებოდა. თუმცა სიომინის ვარჯიშებმა გაჭრა — ჯანაშიამ დაიკლო და კარგადაც ათამაშდა. გასულ უქმეებზე პორტუგალიაში მყოფმა „ლოკომოტივმა“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა და 6:1 გაანადგურა მეორე ბუნდესლიგის მიონხენგლადბახის „ბორუსია“, რომელიც ქვედა ლიგაში გასულ ზაფხულს გავარდა.

ჯანაშია პიმენოვთან ერთად მეორე ტაიმში შევიდა მინდორზე. სწორედ ამ ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი — პიმენოვმა ჰეთ-თრიქი შეასრულა, ქართველი კი ერთი გოლით დაკმაყოფილდა.

ზაზა ჯანაშიამ გუშინ თანაგუნდელები მიატოვა და გეზი კვიპროსისკენ აიღო. იგი იქ ჩასულ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უნდა შეერთებოდა.

ვანო ოქროპირიძე

# ალექსიძე ზეგ გაფრინდება


რატი ალექსიძე

დღესდღეობით თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი რატი ალექსიძე ზეგ ინგლისს გაფრინდება და სავარაუდოდ იმავე საღამოს პრემიერლიგის „ჩელსისთან“ კონტრაქტს გააფორმებს. ინგლისური კლუბის მესვეურები იმედოვნებენ, რომ ქართველს სამ ან ოთხწლიან კონტრაქტზე დაიყაბულებენ. თავად რატი კი, ამ კითხვაზე პასუხისგან თავს იკავებს, ჩავალ ინგლისში და ყველაფერს მაშინ გადავწყვეტო, გვითხრა წუხელ.

ფეხბურთელს არც ტრანსფერის თანხა დაუკონკრეტებია, თუმც კი შეგახსენებთ, რომ გაზეთ „მირორის“ ცნობით, „ჩელსის“ ალექსიძის გადაბირება 4 მილიონი გირვანქა უჯდება.

რატის ერთი სული აქვს, როდის ესტუმრება ინგლისის დედაქალაქს და სასურველ სათამაშო ფორმას აღიდგენს. ჩემთვის მთავარი სწორედ ეს არისო — ამბობს ჩემოდნებჩალაგებული რატი ალექსიძე.

კობა ინასარიძე

## მეტრეველისთვის ნივა და დნეპრი იბრძვიან

ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელი კონსტანტინე მეტრეველი უკრაინაში იმყოფება გასასინჯად. ქართველს ტერნოპოლის „ნივა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ აკვირდებიან. პირველი თანახმაა, მეტრეველი გუნდში ჩარიცხოს, „დნეპრმა“ კი ქართველს ტესტირება შესთავაზა. ბოლო ინფორმაციით, „ნივა“ კიდევ ორი ქართველის დამატებას აპირებს. მეტრეველი ბოლოს სამტრედიის „იბერიაში“ იყო განათხოვრებული.

სიმონ მენაბდე

## კაიდარაშვილი დაიტოვეს, დგებუაძე — არა

ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ დღეს იტალიის ქალაქ ნორჩაში ამ ქალაქის სახელობის თასისთვის ბრძოლაში ჩაებმება. სხვათა შორის, აქვე იასპარეზებს ბათუმის „დინამოც“: ნორჩაში კიდევ 18 გუნდი ჩავა, რომლებიც 9 ჯგუფად დაიყოფიან. გუშინ კი „მეტალურგმა“ საიტალიო შემადგენლობა გამოაცხადა. მირონ მარკევიჩმა საბოლოოდ აიყვანა გუნდში გორელი ალექსანდრე კაიდარაშვილი და ტერნოპოლის „ნივასთან“ კონტრაქტის თაობაზე დაიწყო მოლაპარაკებები. აი, მეორე ნიველი ქართველი, კახა დგებუაძე კი ისევ „ტერნოპოლში“ გაუშვა.

სიმონ მენაბდე

# რუმინელებმა კვიპროსი დაასველეს

კვიპროსის ტურნირზე მიწვეულმა რუმინეთის ნაკრებმა, რომელიც საქართველოს მეტოქეა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, გუშინ კვიპროსზე ამხანაგური მატჩი გამართა დონეცკის „მეტალურგთან“. ამ უკრაინულ გუნდს თბილისის „დინამოს“ შემარცხვენელი მოლდოვას „ზიმბრუს“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი სემიონ ალტმანი ხელმძღვანელობს.

რუმინელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ლობონტი, ბუტა, ბატრინუ, ნასტასე, ჰილდანი, პეტრე მიხალჩეა, ლუპესკუ, კრივაცი, როსუ. შეცვლებზე პრუნეა, რადუჩანი ბოლოჰანი, სტოიჩა, მუტიცა, დუმიტრუ, ნიკულესკუ და მარა შევიდნენ.

ანგარიში 23-ე წუთზე „სტიაუას“ ფორვარდმა როსუმ გახსნა. 32-ე წუთზე ბუქარესტის დინამოელმა პეტრემ სხვაობა გააორმაგა. 85-ეზე კი „არჯეშის“ თავდამსხმელმა ბოგდან მარამ გამოიჩინა თავი. დონეცკელებმა ამის შემდეგ ერთი გაქვითეს და საბოლოოდ 1:3 დამარცხდნენ.

ხვალ რუმინეთი ტურნირში ჩაქემება და ლატვიას დაუპირისპირდება.

სიმონ მენაბდე

# გიორგი დემეტრაძემ გერმანელებს გაუტანა

კვიპროსზე მყოფმა კიევის „დინამომ“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა და 5:0 მოუგო გერმანიის ობერლიგის „როტ ვაისს“. დემეტრაძემ პირველ ნახევარში ითამაშა და მე-5 წუთზე პენალტით დალაშქრა გერმანელების კარი. მე-18 წუთზე კი მეორედ დაამწუხრა გერმანელები. კალაძემ 90 წუთი გაატარა მინდორზე. ტაიმი „დინამომ“ 3:0 მოიგო (მესამე კარდაშმა გაიტანა). მეორე ნახევარი კი უზბეკი შაცკიხის იყო. მან ჯერ დუბლი გააჩერხა, შემდეგ კი მინდვრიდან გააძევეს. ამით განრისხებულმა ლობანოვსკიმ შაცკიხი მატჩის ბოლომდე „პილას“ სტადიონის გარშემო არბენინა.

სიმონ მენაბდე



# ტორპედო გრიპს მოერია, ნაცნობ შინიკს — ვერა

ანთალიაში მყოფმა ქუთაისის „ტორპედომ“ მეორე საკონტროლო მატჩი გამართა. თურქულ „ქოიზმეთესფორთან“ 5:0 გამარჯვების (გოლები: ჩხეტიანი 2, იმედაძე 2, ასათიანი) შემდეგ საქართველოს ვიცე-ჩემპიონები რუსეთის უმაღლესი დივიზიონიდან შარშან გავარდნილ იაროსლავლის „შინიკთან“ 0:1 დამარცხდნენ.

სასტუმრო „ოფო ანთალიაში“ ქუთაისელებს გუშინ შუადღისას დავუკავშირდით. „ტორპედოს“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ბიჭები ეს-ესაა მესამე საკონტროლო შეხვედრის ჩასატარებლად გაეშურნენ და საღამოსთვის გადმორეკეთო.

რაც შეეხება „შინიკთან“ მატჩის პერიპეტიებს, თამაში თანაბარ და მეტად დაძაბულ ბრძოლაში წარმართულა. მართალია, დავით ყიფიანის შეგირდები ბოლო წუთებზე გაშვებული გოლის შედეგად დამარცხებულან, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია ტორპედოელთათვის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ორი წლის წინ დავით ყიფიანი სწორედ „შინიკს“ თავკაცობდა და კარგად უწყოდა ამ გუნდის ძლიერი თუ სუსტი მხარეები. ასე რომ, საკმაოდ ნაცნობ და მა[...]თან შედარებით საგრძნობლად დაუძლურებულ იაროსლავლელებთან ნაწვნევი მარცხიდან „ტორპედოს“ დამრიგებელს ობიექტური დასკვნების გამოტანა მართებს.

და კიდევ. პლანეტაზე გამძვინვარებულმა გრიპის ეპიდემიამ ანთალიასაც გადაუქროლა და სულაც არ გაურჩევია სტუმარ-მასპინძელი. „ოფოში“ დაბინავებულ რამდენიმე ტორპედოელს გრიპის ვირუსი შეჰყრია და ფეხბურთელებს რის ვაი-ვაგლახით დაუძლევიათ დაავადება.

წუხელ ხელმეორედ დავუკავშირდით ანთალიაში მყოფ ტორპედოელებს და შუადღისას გამართული მატჩის შესახებ დავეკითხეთ. გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა, გელა კიკალეიშვილმა გვამცნო, რომ ქუთაისელები რუსეთის პირველ დივიზიონში წლეულს აღზევებულ ნოვოტროიცკის „ნოსტას“ გადაიბრებიან და შეხვედრა 2:2 დამთავრებულა.

— რუსებს მეორე შემადგენლობით ვეთამაშეთ. ახალბედებს მივეცით თავის გამოჩენის საშუალება. ძირითადებიდან მხოლოდ გია მეგრელაძემ ითამაშა მთელი 90 წუთი. პირველ ნახევარში ზაზა ვაჩიბერაძემაც მიიღო მონაწილეობა, მეორეში კი კახა კვეტენაძე და კახა ჩხეტიანი ჩავრთეთ საქმეში. მეგრელაძე სულ ახლახან გამოჯანმრთელდა და ამიტომაც ბოლომდე დავტვირთეთ. მატჩი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. ორჯერ ვიყავით მდევრის როლში. ბიჭებმა ბოლო წუთებში შეძლეს ანგარიშის მეორედ გათანაბრება. მალხაზ ასათიანის კარგი პასის შედეგად მეგრელაძემ გაიტანა. ისე, პირველი გოლიც გიამ ჩაიწერა ანგარიშზე — გვითხრა კიკალეიშვილმა.

რუმინეთში მყოფი დავით ყიფიანის ნაცვლად „ტორპედოს“ გუშინ ზურაბ მაისურაძე ხელმძღვანელობდა დანარჩენ მწვრთნელებთან ერთად. დღეს ქუთაისელები მორიგ საკონტროლო მატჩში ლატვიელებს ხვდებიან.

ხვიჩა სანიკიძე

# მერანი სისხლს იცვლის

თბილისის „მერანის" ახალი მეპატრონის საკითხი, როგორც „სარბიელის" მკითხველს მოეხსენება, თითქმის გადაწყვეტილია, თუმცა მისი ვინაობის გამხელისაგან კლუბის წარმომადგენლები ჯერჯერობით თავს იკავებენ. ყველაფერი საბოლოოდ რომ მოგვარდება, საზოგადოებაც მაშინ შეიტყობს გვარ-სახელებსო — ასეთია მათი პასუხი. გასაგებია, რატომაც იკავებენ თავს, თითქმის გარკვეულ-გადაწყვეტილი საქმე ბოლო მომენტში არაერთხელ ჩაშლილა, მერანელებსაც არ სურთ, შეთანხმებამდე მისული მოლაპარაკება ჩიხში მოაქციონ. ისე, ყველაფერს რამდენიმე დღის წინ უნდა მოჰფენოდა ნათელი, თუმცა ამას გარკვეულმა მიზეზებმა შეუშალა ხელი. „როგორც შევიტყვეთ, გუნდის პატრონობის მოსურნე ამჟამად რუსეთში იმყოფება, კვირას თურმე ესწრებს თასის ფინალურ მატჩსაც დასწრებია. იგი ხვალ ჩამოდის თბილისში და ოთხშაბათისთვის, ალბათ, ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა" — გვითხრა გუშინ „მერანის" ტექნიკურმა დირექტორმა ანზორ მამალაძემ.

ამასობაში კი მერანელები სერგო გაბელაიას ხელმძღვანელობით სამეორე ეტაპო მზადებას განაგრძობენ, თუმცა შესუსტებული შემადგენლობით. მოგეხსენებათ გურამ ხარებავამ და ედიშერ ალადაშვილმა საკმაო ხნის წინ დატოვეს გუნდი. მათ პირველი ეტაპის შემდეგ შეისვენეს და მერე მეორე თბილისურ კლუბს, „არსენალს" მიაკითხეს. ხარებავა და ალადაშვილი ახლაც იქ არიან, „არსენალში" ვარჯიშობენ და ამ გუნდში თამაშის დიდი სურვილიც აქვთ. მათი დატოვება არმიელთა ახლადდანიშნულ მთავარ მწვრთნელ ჯონი ჯანელიძესაც ძალიან უნდა, თუმცა შესაძლოა ამ დუეტს ავლაბრიდან ავჭალაში დაბრუნება მოუხდეს. საქმე ისაა, რომ „მერანი" მათ სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხას ითხოვს. ჯანელიძის თქმით, ავჭალელების მოთხოვნა უსაფუძვლო გახლდათ, რადგან „მერანმა" ფეხბურთელებს კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები ვერ შეუსრულა. ეს საქმე სატრანსფერო კომიტეტის გასარჩევი შეიქნა, რომელმაც ხარებავასა და ალადაშვილს „არსენალში" გადასვლის ნება დართო, ოღონდ არმიელებს გარკვეული კომპენსაციის გადახდა დააკისრა.

ცოტა ხნის წინ, სოსო დევიძის „მერანიდან" „ლოკომოტივში" შესაძლო გადასვლის შესახებ ვწერდით. როგორც შევიტყვეთ, ეს ტრანსფერი თითქმის მოგვარებული ყოფილა. რკინიგზელთა თავკაცს, რევაზ ძოძუაშვილს თავად განუცხადებია, დევიძის ჩემს გუნდში ხილვა მსურსო. 18-წლამდელთა ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი „მერანიდან", ფაქტობრივად, წამოსულია. იგი უკვე „ლოკომოტივში" ვარჯიშობს. ამ ტრანსფერს, როგორც მამალაძემ გვითხრა, ძოძუაშვილის კვიპროსიდან დაბრუნების შემდეგ დაესმება წერტილი.

„მერანი" ამ დღეებში ძირითადი შემადგენლობის კიდევ ორმა ფეხბურთელმა დატოვა. დავით კარიაული და ბახვა ამბიძე ამჟამად სოჭში იმყოფებიან. შავიზღვისპირა ქალაქში თავი მოუყრიათ რუსულ გუნდებს, რომლებიც იქ ახალი ჩემპიონატისთვის ემზადებიან. კარიაული და ამბიძე ერთ-ერთ კლუბს მიუწვევია გასასინჯად. ეს ფეხბურთელები სოჭში ერთ ამხანაგურ მატჩში მიიღებენ მონაწილეობას და მათი ბედიც მაშინ გადაწყდება. ხარებავასა და ალადაშვილისგან განსხვავებით, მათ „მერანიდან" გათავისუფლების პრობლემა არ ექნებათ, რადგან ავჭალელებთან კონტრაქტი არ აკავშირებდათ. კარიაულიც და ამბიძეც დროებით გვეხმარებოდნენო, აღნიშნა მამალაძემ ჩვენთან საუბრისას.

„მერანის" დატოვება მეკარე რეზო ნაჭყებიასაც სურდა, თუმცა გადაწყდა — ნაჭყებია კარიერას კვლავაც ამ კლუბში გააგრძელებს. მას „მერანთან" ხელშეკრულება 2001 წლამდე აქვს გაფორმებული. „მერანს" ახალწვეულებიც არ აკლია, თუმცა ვინ დარჩება მათგან გუნდში, ჯერჯერობით უცნობია.

**ვანო ოქრობირიძე**

# დღეიდან: მიხეილ მესხი სპორტის სასახლეში

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში მიხეილ მესხის სახელობის ტრადიციული ტურნირი იწყება მინი-ფეხბურთში, რომელიც სულ სამ დღეს გასტანს. მისი ორგანიზატორი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა. ტურნირის ჩატარება კი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფეხბურთელის, მიხეილ მესხის გახსენებასა და მეორე ეტაპისთვის გუნდების უკეთ მომზადებას ისახავს მიზნად.

ტურნირში 12 გუნდი ისპარეზებს, რომლებიც ფეხბურთის ფედერაციამ 4 სამგუნდიან ჯგუფად დაყო:

I ჯგუფი
დინამო, არსენალი, ხობი

II ჯგუფი
სიონი, თბილისი, საქართველო U16

III ჯგუფი
დილა, მერანი, სამგურალი

IV ჯგუფი
იბერია, გორდა,
საქართველო (მოყვარულები)

ჯგუფებში გამარჯვებულნი ნახევარფინალში შეხვდებიან ერთმანეთს და ფინალისტების ვინაობას გაარკვევენ. ნახევარფინალებიც და ფინალიც 3 თებერვალს გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში მონაწილე გუნდების ცხოვრების, კვებისა და ტრანსპორტის ხარჯებს მთლიანად საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იკისრებს. თავად 16-ვე პირველლიგელის მონაწილეობა იყო დაგეგმილი, მაგრამ ექვსმა მათგანმა („ტორპედომ", „კოლხეთმა", „ბათუმმა", „ვიტ ჯორჯიამ", „ლოკომოტივმა" და ოსუმ) თამაშზე უარი განაცხადა. ამ გუნდებს მზადების თავისებური პროგრამა აქვს შედგენილი და მისი მიხედვით ვარჯიშობენ („ტორპედო" და „ბათუმი" სულაც საზღვარგარეთ იმყოფებიან).

ტურნირის საპრიზო ფონდი 5 ათასი ლარია, გამარჯვებულნი გარდამავალი თასითა და მედლებით დაჯილდოვდებიან. მედლებს ფინალში დამარცხებული გუნდიც მიიღებს. ცალკე პრიზებია დაწესებული საუკეთესო მოთამაშისა და ბომბარდირისთვის.

თამაშების დღევანდელი განრიგი ასეთია: 11.00 არსენალი — ხობი, 12.00 გორდა — მოყვარულთა ნაკრები, 13.00 მერანი — სამგურალი, 15.00 თბილისი — 16 წლამდელთა ნაკრები, 16.00 იბერია — გორდა, 17.00 დინამო — არსენალი.

**ვანო ოქრობირიძე**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I-VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი), ჩხაბერიძე (თავისუფალი აგენტი) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი) | ქოიზმეთესპორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (ნოვოტროიცკი, რუსეთი) 2:2 |
| **დინამო** *ოთარ კორღალიძე* | აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გიგიაძე, ს. გიგიაძე (კრივბასი, უკრაინა) | გოგიჩაიშვილი, ქებაძე (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ლობჟანიძე (უეფას მიერ დისკვალიფიცირებული იყო), გადელია (ბათუმი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), ჩხეიძე (?) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ პავლოდარი (ყაზახეთი) 5:2 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | ჭოხონელიძე (თსუ), ტრაპაიძე (შერიფი, მოლდოვა), დავითნიძე (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ბულუხია (თამაში მიატოვა), მელაძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა) | |
| **ბათუმი** *[illegible]* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვე (?) | ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), გ. ნოზაძე (საუ), კაკაბაძე (ცხუმი) | |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კუტივაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (ლოკომოტივი) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი, ახალაძე (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო), ვ. კაკაშვილი (თბილისი) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი), ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (?) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი) | ვიტ ჯორჯია 0:1 |
| **დილა** *მერაბ კოჭლაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი) | | ვიტ ჯორჯია 0:1, ლოკომოტივი 3:1 |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | კ. მეტრეველი (დნეპრი ან ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) | | |

| IX-XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი, ქებაძე (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), დ. ჯანელიძე, დოლაბერიძე (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი), გამცემლიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), დ. გოდერძიშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ჯულელი (მეტალურგი, ლიპეცკი, რუსეთი) | დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 4:1 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია) | |
| **თსუ** *თენგიზ კაკაია* | მერლანი, ახალაძე (ვიტ ჯორჯია), ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი) | ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი, გ. ილურიძე (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია 4:6 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი) | კოშკაძე, ავალიანი, მელიქია, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), ქოიავა (არაგვი), თ. დოლიძე, მოსულიშვილი (?) | ცხუმი 6:0, ვიტ ჯორჯია 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:4 |
| **თბილისი** *რამაზ ჭუმლაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია) | გონჩაროვი (არსენალი), ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, ახალია (თბილისი 2) | |
| **სამგურალი** *იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა) | |
| **ხობი** *უმწვრთნელოდ* | ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ონიანი (ლოკომოტივი), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?) | | |
| **არსენალი** *ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | |

**შენიშვნა: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის.**

## იტალია

XIX ტური

### ლეჩე 2:1 ვერონა

1:0 ლუკარელი (63), 1:1 კოლუჩი (18), 2:1 კონტიკიო (68)
ლეჩე: კიმენტი, ხუარესი (კოლონელო 46), ვიალი, სავინო, ბალერი, კონტიკიო, ლიმა (პივოტო 76), პიანჯერელი, ტრავერსა, ბილოტი (სიპრიენი 86), კ. ლუკარელი
ვერონა: ფრეი, ფილიპინი, ლაურსენი, აპოლონი (ალიეტი 73), ფალსინი, ბროკი, მარასკო, კოლუჩი, მელისი (სალვეტი 58), მორფეო (დიანა 61), კამარატა
გაფრთხილება: ფალსინი, ბროკი, ტრავერსა
გაძევება: ბროკი (60)
მსაჯი: როდომონტი

### ფიორენტინა 1:0 რეჯინა

1:0 ბატისტუტა (46)
ფიორენტინა: ტოლდო, ადანი, ფირიკანო, პიერინი, ტორიჩელი, კოისი (როსიტო 71), კ. ამორუზო (ამორი 46), დი ლივიო, რუი კოშტა, კიეზა, ბატისტუტა
რეჯინა: ტაიბი, ჩირილო, სტოვინი, ჯიაკეტა, ბერნინი, ბარონიო (კოცა 83), ბრევი, პირლო (პრალია 83), მორაბიტო, კალონი (რეგი 60), პოსანცინი
გაფრთხილება: ბარონიო, ამორი, ჩირილო
მსაჯი: ბოლონინო

### ბოლონია 1:0 პარმა

1:0 ბია (48)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია, დალ კანტო, პარამატი, პიაჩენტინი, მაროკი (ინგესონი 76), ტონეტო, ნერვო (ერიბერტო 80), კ. ანდერსონი, ფონტოლანი (ზე ელიასი 89)
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, სერენა (ვალემი 85), ლონგო, დაბო, ვანოლი (დი ვაიო 67), ორტეგა, კრესპო, სტანიჩი
გაფრთხილება: სტანიჩი, მაროკი, ტონეტო, ორტეგა, ფალკონე, კანავარო, პარამატი
მსაჯი: დე სანტისი

### პიაჩენცა 0:1 უდინეზე

0:1 მუცი (56)
პიაჩენცა: რომა, დელი კარი, ლამაკი (ტალიაფერი 73), ვერხოვოდი, საკეტი, მორონე, მაცოლა, კრისტალინი, პიოვანი (ა. ლუკარელი 60), რასტელი, რიციტელი (ჯილარდინო 68)
უდინეზე: დე სანტისი, ძანკი, სოტილი, ბერტოტო, ჟენო (ალბერტო 68), იორგენსენი, ჯანიკედა, ფიორე, მანფრედინი (ლოკატელი 46), მუცი (ვან დერ ვეგტი 76), სოსა
გაფრთხილება: ვერხოვოდი, მაცოლა, პიოვანი, რასტელი, ჟენო
გაძევება: დელი კარი (57)
მსაჯი: [illegible]რტინი

### იუ[illegible]ენტუსი 1:1 კალიარი

1:0 ინძა[illegible]), 1:1 სულჩისი (14)
იუვენტუ[illegible] ვან დერ სარი, ფერარა, მონტე[illegible]ესტო (ტუდორი 86), კონტე ([illegible]ვიჩი 67), ტაკინარდი, დავიდსი, ძამბროტა, ზიდანი, ფ. ინძაგი, დელ პიერო
კალიარი: სკარპი, ლოპესი, ვილა, ძებინა, სულჩისი, ონილი (მოდესტო 81), დე პატრე, ბერეტა, მაჩელარი, მაიელე (კორადი 86), ოლივეირა (მელისი 71)
გაფრთხი[illegible]ა: ონილი, დელ პიერო, ოლივეირა, ვილა, მაჩელარი, მონტერო, კოვაჩევიჩი, სკარპი, დე პატრე
მსაჯი: ტრეოსი

### ლაციო 3:1 ბარი

1:0 მიხაილოვიჩი (13), 2:0 სალასი (39), 2:1 სპინეზი (42), 3:1 ნედვედი (43)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა (ფერნანდო კოუტუ 72), მიხაილოვიჩი, ფაველი (პანკარო 91), სერჟიო კონსეისაო (სიმეონე 61), დ. სტანკოვიჩი, სენსინი, ნედვედი, სალასი, რავანელი
ბარი: ფ. მანჩინი, დე როსა, გარსია, ინოჩენტი (დელ გროსო 46), ფერარი, კოლაუტო (ჯორჯეტი 68), დ. ანდერსონი, მ. მარკოლინი, პეროტა (კასანო 46), ოსმანოვსკი, სპინეზი
გაფრთხილება: სტანკოვიჩი, დე როსა
მსაჯი: სერენა

### პერუჯა 0:3 მილანი

0:1, 0:2, 0:3 შევჩენკო (67, 70, 74)
პერუჯა: მაცანტინი, მონაკო, კალორი, რიპა, ილარიო (სოლიანო 81), კაპიოლი (ბა 70), ოლივე, ბიზოლი, მილანეზე, მელი, ნ. ამორუზო (რაპაიჩი 56)
მილანი: აბიატი, შამოტი, კოსტაკურტა, მალდინი, გატუზო (ჰელვეგი 86), დე აშენტისი, ამბროზინი (ალბერტინი 81), სერჟინიო, ჯუნტი, ბირჰოფი (ხოსე მარი 79), შევჩენკო
გაფრთხილება: გატუზო, ილარიო, კალორი, რიპა, შევჩენკო
მსაჯი: ფარინა

### ვენეცია 2:2 ტორინო

1:0 განცი (93), 2:0 ბერგი (37), 2:1 გრანდონი (92), 2:2 ფერანტე (94)
ვენეცია: კონსელი, ბრიოსკი, ნგოტი, კარდონე, ბეტარინი, ვალტოლინა (ორლანდინი 67), რუკავინა (ნანამი 60), ვოლპი, რ. ბერგი, მანიერო, განცი (ბუდანი 83)
ტორინო: ბუჩი, გალანტე, გრანდონი, ბონომი, ტრიკარიკო, ბრამბილა (პეკია 58), იურჩიჩი (კოკო 65), ლენტინი (კალაიო 60), მენდესი, სომეზე, ფერანტე
გაფრთხილება: კარდონე, განცი, ბეტარინი, ბრიოსკი, მენდესი, ბონომი, გრანდონი
მსაჯი: ბაცოლი

### ინტერი 2:1 რომა

1:0 ვიერი (8), 1:1 ალდაირი (32), 2:1 ბაჯო (41)
ინტერი: პერუცი, პანუჩი, სიმიჩი, ბლანი, კორდობა, მორიერო (გეორგატოსი 69), კოე, ხ. ძანეტი, ზეედორფი (კოლონეზე 94), რ. ბაჯო (რეკობა 74), ვიერი
რომა: ანტონიოლი, რინალდი (ძაგო 58), ალდაირი, მანგონე, კაფუ, ტომაზი, ნაკატა (გურენკო 69), დი ფრანჩესკო, ტოტი, მონტელა (პოჯი 84), დელვეკიო
გაფრთხილება: კაფუ, დი ფრანჩესკო, პანუჩი, კოე, ძაგო, ზეედორფი
მსაჯი: რაკალბუტო

# ჩვეულებრივი უქმეები ბაჯოსა და შევჩენკოს აკომპანიმენტით

რობერტო ბაჯო „ინტერის" მწვრთნელს, მარჩელო ლიპის ესაუბრა და პასუხად მაინცდამაინც არ მჭირდები თუ რაღაც ამდაგვარი მიიღოო, ამბობდნენ ბოლო ხანს საინფორმაციო სააგენტოები და იტალიური გაზეთები. მოკლედ, ბაჯოს ძირითად შემადგენლობაში სურს თამაში, ლიპი კი მთლად ძირითადს ვერ პირდება. ამის მერე ვეტერანი იტალიელების ყიდვაზე ხელგაწაფული ინგლისური კლუბები გააქტიურდნენ. ხან „ლივერპულმა" გამოთქვა მისი სეზონის ბოლომდე თხოვების სურვილი, ხანაც, როგორც ამბობენ, „ჩელსიმ", ყოველივე ამის ფონზე „რომასთან" შეხვედრაში ბაჯოს მოედანზე თავიდანვე გამოჩენამ უნებურად მიიპყრო ყურადღება.

1993 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს ოსტატობის გამოსამჟღავნებლად რვა წუთიც ეყო. მისმა პასმა დედაქალაქელთა დაცვაში ნაპრალი გამოძებნა — ეს ნაპრალი დამიანო ტომაზის ფეხებს შორის გადიოდა — და ბურთი კრისტიან ვიერის ეახლა. ვიერიმ წინ გასულ გოლკიპერს, ფრანჩესკო ანტონიოლის იგი თავზე გადაუგდო და ანგარიში გახსნა. ეს გახლდათ ვიერის მეცხრე გოლი მიმდინარე ჩემპიონატში.

მანამდე ეუსებიო დი ფრანჩესკომ ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მდგომარეობა, ხოლო შემდეგ მილანელთა მეკარემ, ანჯელო პერუციმ ტომაზის სახიფათო დარტყმა მოიგერია.

ანგარიში 32-ე წუთზე „რომას" ბრაზილიელმა მცველმა, ალდაირმა გაათანაბრა. იგი ლორან ბლანზე მაღლა ახტა და ღონიერი თავურით ბურთი პერუცის კარში შეაგდო.

გამოხდა 9 წუთი და კვლავ რობერტო ბაჯომ გაიბრწყინა. საქმე ასე იყო: ფრანჩესკო მორიეროს დარტყმული ანტონიოლიმ მოიგერია, ასხლეტილი ბაჯოსთვის თითქოს მიუწდომელი გახლდათ, მაგრამ მწვრთნელთაგან შერისხულმა ბურთი საკუთარ მხარს, კაფუს თავს და კარის ხაზს გადაავლო.

„რომას" ანგარიშის გათანაბრება საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე შეეძლო — ფრანჩესკო ტოტიმ ძელს გაარტყა ბურთი, რომელიც სამშვიდობოს დარიო სიმიჩმა გადაისროლა.

ამრიგად, „ინტერმა" გაიმარჯვა და მესამე ადგილზეა, ბაჯომ კი საზოგადოებრიობას ერთხელაც შეახსენა თავისი ვარსკვლავობის შესახებ, თუმცა ვეჭვობთ ამის გამო, ამიერიდან, იგი „ინტერის" სასტარტო შემადგენლობის უცვლელი წევრი გახდეს. თუმცა ვნახოთ...

რაც შეეხება პენალტებს, ბოლო ხანს სერია A-ში იგი იმდენჯერ არ დაინიშნა, რომ თვით სიმშვიდით ცნობილმა „ლაციოს" მწვრთნელმა, სვენ გორან ერიკსონმაც კი განაცხადა, ნეტავ რა უნდა მოხდეს, მსაჯმა ჩვენს სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანი დარტყმა რომ დანიშნოსო.

როგორც გაირკვა, ასეთი რამ ყოფილა საჭირო: „ბარისთან" შეხვედრაში, პირველივე შეტევის დროს მეტოქის საჯარიმოში მარსელო სალასი წააქციეს. მსაჯმა უყოყმანოდ და სრულიად სამართლიანად დანიშნა პენალტი, რომელიც სინიშა მიხაილოვიჩმა გოლად აქცია. სალასმა 39-ე წუთზე რომაელები კიდევ უფრო დააწინაურა — ფაბრიციო რავანელის დარტყმული ფრანჩესკო მანჩინიმ მოიგერია, მაგრამ ბურთი დაუცველ კართან პოზიციაშერჩეულ ჩილელს მიუგორდა და მან შეცდომა აღარ დაუშვა.

„ბარიმ" 42-ე წუთზე შეამცირა სხვაობა. მიზანს ჯონათან სპინეზიმ მიაღწია, მაგრამ პაველ ნედველმა ერთ წუთში აღადგინა ორგოლიან უპირატესობა.

ლიდერმა, „იუვენტუსმა" (ფილიპო ინძაგიმ), „ლაციოს" მსგავსად დასაწყისშივე გახსნა ანგარიში, მაგრამ მე-14-ეზე წუთის შემდეგ ჯოვანი სულჩისმა ტურინელთა დაცვის ჩავარდნით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა.

„მილანმა" პერუჯაში იყოჩაღა, თუმცა უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ იყოჩაღა ერთმა კაცმა, უკრაინელმა ანდრეი შევჩენკომ, რომელმაც მეორე ტაიმის შვიდწუთიან მონაკვეთში ჰეთ-თრიქი შეასრულა.

„ფიორენტინას" გაბრიელ ბატისტუტას დარტყმამ მოაგებინა. ფლორენციელთა მეტოქემ კი ერთადერთი სახიფათო მომენტი შექმნა — რობერტო ბარონიომ ძელს გაარტყა ბურთი.

**პაპუნა ქედია**



REUTERS მილანიდან

ინტერი — რომა 2:1. მილანელმა რობერტო ბაჯომ თანაგუნდელებს კვლავაც მოაგებინა

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | იუვენტუსი | 19 | 11 | 7 | 1 | 25:9 | 16 | 40 | 10 | 8 | 2 | 0 | 18:4 | 14 | 26 | 9 | 3 | 5 | 1 | 7:5 | 2 | 14 |
| 2 | ლაციო | 19 | 11 | 6 | 2 | 36:17 | 19 | 39 | 10 | 8 | 2 | 0 | 27:9 | 18 | 26 | 9 | 3 | 4 | 2 | 9:8 | 1 | 13 |
| 3 | ინტერი | 19 | 11 | 2 | 6 | 36:17 | 19 | 35 | 10 | 8 | 1 | 1 | 30:7 | 23 | 25 | 9 | 3 | 1 | 5 | 6:10 | -4 | 10 |
| 4 | რომა | 19 | 10 | 5 | 4 | 37:21 | 16 | 35 | 9 | 6 | 2 | 1 | 20:10 | 10 | 20 | 10 | 4 | 3 | 3 | 17:11 | 6 | 15 |
| 5 | მილანი | 19 | 9 | 8 | 2 | 39:24 | 15 | 35 | 9 | 5 | 4 | 0 | 22:10 | 12 | 19 | 10 | 4 | 4 | 2 | 17:14 | 3 | 16 |
| 6 | პარმა | 19 | 9 | 5 | 5 | 30:21 | 9 | 32 | 9 | 5 | 2 | 2 | 18:9 | 9 | 17 | 10 | 4 | 3 | 3 | 12:12 | 0 | 15 |
| 7 | უდინეზე | 19 | 8 | 4 | 7 | 31:27 | 4 | 28 | 10 | 4 | 2 | 4 | 18:17 | 1 | 14 | 9 | 4 | 2 | 3 | 13:10 | 3 | 14 |
| 8 | ლეჩე | 19 | 7 | 6 | 6 | 21:27 | -6 | 27 | 10 | 6 | 3 | 1 | 12:6 | 6 | 21 | 9 | 1 | 3 | 5 | 9:21 | -12 | 6 |
| 9 | ბარი | 19 | 7 | 5 | 7 | 23:24 | -1 | 26 | 9 | 4 | 5 | 0 | 13:7 | 6 | 17 | 10 | 3 | 0 | 7 | 10:17 | -7 | 9 |
| 10 | ბოლონია | 19 | 7 | 5 | 7 | 16:18 | -2 | 26 | 10 | 6 | 3 | 1 | 9:1 | 8 | 21 | 9 | 1 | 2 | 6 | 7:17 | -10 | 5 |
| 11 | ფიორენტინა | 19 | 6 | 7 | 6 | 19:21 | -2 | 25 | 10 | 6 | 2 | 2 | 14:10 | 4 | 20 | 9 | 0 | 5 | 4 | 5:11 | -6 | 5 |
| 12 | პერუჯა | 19 | 7 | 2 | 10 | 18:35 | -17 | 23 | 9 | 4 | 1 | 4 | 12:17 | -5 | 13 | 10 | 3 | 1 | 6 | 6:18 | -12 | 10 |
| 13 | ტორინო | 19 | 5 | 6 | 8 | 18:24 | -6 | 21 | 9 | 3 | 2 | 4 | 9:9 | 0 | 11 | 10 | 2 | 4 | 4 | 9:15 | -6 | 10 |
| 14 | რეჯინა | 19 | 3 | 8 | 8 | 18:28 | -10 | 17 | 9 | 2 | 4 | 3 | 8:13 | -5 | 10 | 10 | 1 | 4 | 5 | 10:15 | -5 | 7 |
| 15 | ვენეცია | 19 | 4 | 4 | 11 | 17:30 | -13 | 16 | 10 | 4 | 3 | 3 | 11:10 | 1 | 15 | 9 | 0 | 1 | 8 | 6:20 | -14 | 1 |
| 16 | ვერონა | 19 | 4 | 4 | 11 | 15:29 | -14 | 16 | 9 | 4 | 2 | 3 | 9:5 | 4 | 14 | 10 | 0 | 2 | 8 | 6:24 | -18 | 2 |
| 17 | კალიარი | 19 | 1 | 9 | 9 | 17:29 | -12 | 12 | 9 | 1 | 5 | 3 | 8:10 | -2 | 8 | 10 | 0 | 4 | 6 | 9:19 | -10 | 4 |
| 18 | პიაჩენცა | 19 | 2 | 5 | 12 | 10:25 | -15 | 11 | 10 | 2 | 4 | 4 | 6:8 | -2 | 10 | 9 | 0 | 1 | 8 | 4:17 | -13 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 14 |
| კრესპო (პარმა) | 12 |
| ლუკარელი (ლეჩე) | 11 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 10 |
| მონტელა (რომა) | 10 |
| მუცი (უდინეზე) | 10 |

### XX ტური

5 თებერვალი
უდინეზე — იუვენტუსი
კალიარი — პერუჯა

6 თებერვალი
მილანი — ბარი
რეჯინა — ბოლონია
ვერონა — ფიორენტინა
პარმა — ინტერი
ტორინო — ლაციო
ლეჩე — პიაჩენცა
რომა — ვენეცია

## სერია B

XXI ტური

### ტრევიზო 2:1 ატალანტა

1:0 ბორტოლუცი (17), 2:0 ტონი (70), 2:1 დონი (943)

### პისტოიეზე 1:1 ფერმანა

0:1 კიანეზე (8), 1:1 რიკიუტი (81)

### ნაპოლი 2:2 მონცა

1:0 ბელუჩი (26), 1:1 მაცეო (27), 2:1 ბელუჩი (53), 2:2 ამბროზი (76)

### ჯენოა 2:2 ვიჩენცა

0:1 კომანდინი (34), 0:2 ძაული (72), 1:2 კარპარელი (79), 2:2 კონტე (82ს.კ.)

### ემპოლი 1:0 სავოია

1:0 საუდატი (65)

### კიევო 1:1 პესკარა

0:1 პალუმბო (21), 1:1 მარაზინა (64)

### ჩეზენა 4:0 სალერნიტანა

1:0, 2:0, 3:0 ტალდო (53, 43, 69), 4:0 ბარლო (77)

### ბრეშა 0:1 სამპდორია

0:1 დიონიჯი (72)

### ალძანო 1:0 ტერნანა

1:0 რომუალდი (56)

### კოზენცა — რავენა

იხილეთ ბოლო გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 21 | 11 | 5 | 5 | 39:24 | 38 |
| ბრეშა | 21 | 9 | 8 | 4 | 28:17 | 35 |
| ატალანტა | 21 | 10 | 5 | 6 | 29:20 | 35 |
| სამპდორია | 21 | 9 | 8 | 4 | 21:15 | 35 |
| ნაპოლი | 21 | 8 | 9 | 4 | 27:21 | 33 |
| ალძანო | 21 | 8 | 6 | 7 | 21:24 | 30 |
| სალერნიტანა | 21 | 7 | 8 | 6 | 30:29 | 29 |
| კოზენცა | 20 | 6 | 10 | 4 | 18:15 | 28 |
| ტრევიზო | 21 | 8 | 4 | 9 | 26:25 | 28 |
| რავენა | 20 | 6 | 9 | 5 | 20:19 | 27 |
| კიევო | 21 | 7 | 6 | 8 | 25:27 | 27 |
| ჩეზენა | 21 | 5 | 11 | 5 | 27:24 | 26 |
| მონცა | 21 | 4 | 13 | 4 | 22:23 | 25 |
| ტერნანა | 21 | 5 | 10 | 6 | 22:27 | 25 |
| პესკარა | 21 | 4 | 12 | 5 | 27:25 | 24 |
| ჯენოა | 21 | 6 | 6 | 9 | 23:23 | 24 |
| ემპოლი | 21 | 6 | 6 | 9 | 15:27 | 24 |
| პისტოიეზე | 21 | 6 | 6 | 9 | 16:23 | 20 |
| ფერმანა | 21 | 3 | 7 | 11 | 17:30 | 16 |
| სავოია | 21 | 3 | 7 | 11 | 17:32 | 16 |

* „პისტოიეზეს" დაკლებული აქვს 4 ქულა

## სერია C1/A

21-ე ტური. კარარეზე — კრემონეზე 2:0; ჩიტადელა — მოდენა 0:1; კომო — სიენა 0:0; ლუმეცანე — ბრეშელო 0:1; მონტევარკი — ალბინოლეფე 0:0; რეჯანა — სანდონა 0:0; სპალ — ლეკო 2:1; ვარეზე — ლუკეზე 0:0; ლივორნო — პიზა გადაიდო

## სერია C1/B

21-ე ტური. ანკონა — ბენევენტო 1:1; აველინო — ასკოლი 0:1; დი სანგრო — არეცო 0:1; კატანია — მარსალა 5:0; კროტონე — ჯულიანოვა 4:0; გუალდო — ფ. ანდრია 1:1; სტაბია — კატანია 2:1; პალერმო — ლოდიჯანი 1:1; ვიტერბეზე — ნოჩერინა 1:1

## ესპანეთი

XXII ტური

### რეალი 3:1 ბილბაო

1:0 გუტი (40), 1:1 ხ. ეჩებერია (45), 2:1 მორიენტესი (60), 3:1 რაული (85)
რეალი: კასილიასი, კარანკა, მანუელ სანჩისი (ივან ელგერა 86), მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, რედონდო, გუტი (მეკა 56), მაკმანამანი (ოგნიენოვიჩი 56), მორიენტესი, რაული
ბილბაო: ი. ეჩებერია (ლაფუენტე 46), ფელიპე, ლარასაბალი (ხავი გონსალესი 66), პაჩი ფერეირა, კარლოს გარსია, იესტე, ი. გერერო (ტიკო 66), ურუტია, ლაკრუსი, ურსაისი, ხ. ეჩებერია
გაფრთხილება: გერერო, პაჩი ფერეირა, მეკა, კარანკა, ფელიპე, ხ. ეჩებერია
მსაჯი: მედინა კანტალეხო

### სოსიედადი 2:1 რაიო ვალეკანო

1:0 იანკაუსკასი (4), 2:0 დე პაულა (40), 2:1 ფერონი (66)
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ფუენტესი, ლორენი, ხოხლოვი, გომესი, არამბურუ (ლოპეს რეკარტე 74), ხ. გერერო, დე პაულა (იდიაკესი 65), იანკაუსკასი (ალდეონდო 79), სა პინტუ
რაიო ვალეკანო: კელერი, ჰელდერი (დრეიპერი 46), ლორენსი, პაბლო სანსი, ამაია (მიჩელ I 31), ალკასარი, ერნანდესი, ესტიბარისი (ფერონი 37), კლოტე, ლუის სემბრანოსი, კანაბალი
გაფრთხილება: იანკაუსკასი, პაბლო სანსი, არამბურუ, გომესი
მსაჯი: ბუენო ხრიმალი

### სარაგოსა 2:1 სევილია

1:0 ხუანელე (2), 2:0 პიბიჩი (54ს.კ.), 2:1 ცარტასი (78)
სარაგოსა: ხუანმი, სუნდგრენი, პაბლო, აგუადო, პაკო ხემესი, რადიმოვი (აკუნია 70), გარიტანო (ველისკა 80), ელგერა, არაგონი, იორდი, ხუანელე
სევილია: ოლსენი, ნანდო (რეიესი 85), ექტორი, მარჩენა (ვიქტორი 53), ტაბარე (ხესული 60), პიბიჩი, პრიეტო, ფრანსისკო, ცარტასი, ზალაიეტა, ხუან კარლოსი
გაფრთხილება: გარიტანო, მარჩენა, პრიეტო, ფრანსისკო, პიბიჩი
მსაჯი: პუენტეს ლეირა

### რასინგი 3:1 ოვიედო

1:0 მუნიტისი (18), 2:0 ვივარ დორადო (21), 3:0 ესპინია (60), 3:1 ამიევა (87)
რასინგი: სებალიოსი, მელბერგი, სიეტესი, ჩემა, ვივარ დორადო, ესპინია, კოლსა, მუნიტისი, სალვა (რუშფელტი 87), ამავისკა (ისმაელი 74), მანხარინი (ნერუ 46)
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი, ბორისი, ონოპკო (ოსკარ ალვარესი 50), დანჟუ, ივან ანია (რუბენი 46), პომპეი, პაულო ბენტუ, ესკურსა (ამიევა 50), დელი ვალდესი, ლოსადა
გაფრთხილება: ჩემა, დანჟუ, ესკურსა
მსაჯი: კარმონა მენდესი

### ნუმანსია 3:1 მალიორკა

1:0, 2:0 პაჩეტა (3, 5), 2:1 დიეგო ტრისტანი (13), 3:1 კასტანიო (43პ)
ნუმანსია: ნუნიესი, ივან როჩა, ოქტავიო, ხაუმე, მუნისი, ნაგორე (მორეაუ 73), კასტანიო, პაჩეტა, ინიაკი, ოხედა (რივერა 70), დელგადო (ხორხე პერესი 86)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფერნანდო ნინიო, სივიერო, დავიდი (სერისუელა 78), ოლაიზოლა, ნადალი, რომერიტო რუისი, ჩიჩი სოლერი, ენგონგა, ნოვო (გაბრიჩი 67), დიეგო ტრისტანი
გაფრთხილება: ნაგორე, ფერნანდო ნინიო, ოხედა
გაძევება: სივიერო (78)
მსაჯი: ანდრადას აკურმენდი

### სელტა 0:1 ატლეტიკო

0:1 ვალერონი (26)
სელტა: პინტო, სერხიო, კასერესი, ვივასი, მოსტოვოი, კარპინი, ჯოვანელა (სელადესი 46), მაკელელე, ტომასი (შუგენდორფი 67), გუსტავო ლოპესი (რევივო 46), ბენი მაკკარტი
ატლეტიკო: მოლინა, კაპდევილა, გამარა, სანტი, გასპარი, რობერტო (ნიეგუსი 69), ვალერონი (ლოპესი 76), სოლარი (კორეა 89), უგო ლეალი, ბეიბლი, კიკო ნარვაესი
გაფრთხილება: კასერესი, კარპინი, ვალერონი, გამარა, უგო ლეალი, ბენი მაკკარტი, გასპარი, მოსტოვოი, კორეა
მსაჯი: პერეს ბურული


REUTERS

ბეტისი — მალაგა 0:0. მალაგელი ედგარი ბეტისელ ხუან მერინოს (№6) გაურბის

# ძალიან საინტერესო ჩემპიონატი

### ესპანიოლი 1:1 ბარსელონა

1:0 ბენიტესი (21), 1:1 კლუივერტი (45)
ესპანიოლი: მორა, ტოლედო, პოჩეტინიო, ნანდო, კრისტობალი, არტეაგა (როხერი 75), გალკა, სერხიო, ტამუდო (მანელი 65), ბენიტესი, ველამასანი (დე ლუკასი 67)
ბარსელონა: არნაუ, ბოგარდი, აბელარდო, პუიოლი, კოკუ, ხავი, ლიტმანენი (ლუის ენრიკე 75), ზენდენი, ფიგუ, რივალდო, კლუივერტი
გაფრთხილება: კოკუ, ფიგუ, კლუივერტი, გალკა, ნანდო, ტოლედო, ბოგარდი, აბელარდო, პოჩეტინიო, ლუის ენრიკე
მსაჯი: ბრიტო არსეო

### ალავესი 0:1 ვალენსია

0:1 ფარინოსი (70პ)
ალავესი: ერერა, მორალესი, კარმონა, ხოსეტე (ხულიო სალინასი 73), კონტრა, ტელიესი, პაბლო, ნან რივერა (ასკოიტია 46), დესიო, კოდრო (ხავი მორენო 46), მაგნო
ვალენსია: კანისარესი, კარბონი, პელეგრინო, ჯუკიჩი, ანგლომა, მილია, კილი გონსალესი, მენდიეტა (ფარინოსი 63), ხერარდი, ხუან სანჩესი (ბიორკლუნდი 92), ილიე (ანგულო 79)
გაფრთხილება: ხავი მორენო, ანგლომა, მენდიეტა, ხოსეტე, ტელიესი
გაძევება: კარმონა (84)
მსაჯი: ტურიენდო ალვარესი

### ბეტისი 0:0 მალაგა

ბეტისი: ტონი პრატსი, კარჰანი, მერინო, რივასი, ბორნესი, ოტერო, კროსა, კუელიარი (ალექსისი 62), ალფონსო, დენილსონი (ოლი 79), გალვესი (ხუან ხესუსი 75)
მალაგა: კონტრერასი, ფერნანდო სანსი, ვალკარსე, ლარაინსარი, ბრავო, როხასი (რუფეტე 66), აგოსტინო (ლუკე 76), მოვილია (სანდრო 82), დე ლოს სანტოსი, კატანია, ედგარი
გაფრთხილება: ალფონსო, ლარაინსარი, ხუან ხესუსი, დენილსონი
მსაჯი: პერეს ლასა

### ვალიადოლიდი 4:1 დეპორტივო

1:0 კამინერო (19), 2:0, 3:0 ვიქტორი (56, 68), 3:1 ტურუ ფლორესი (73პ), 4:1 ვიქტორი (90)
ვალიადოლიდი: სესარი, ჰაინცე, მარკოსი, გარსია კალვო (ტენა 80), პენია, ტორეს გომესი, შოჯი ჯო (ალბერტო 74), კამინერო (ეუსებიო 66), აროლდ ლოსანო, ხავი ხიმენესი, ვიქტორი
დეპორტივო: სონგო, რომერო, შურერი, დონატო, მანუელ პაბლო, ფრანი (ფერნანდო 80), ფლავიო კონსეისაო, მაურო სილვა, პაულეტა (ტურუ ფლორესი 67), მაკაი, ვიქტორ სანჩესი (ივან პერესი 80)
გაფრთხილება: აროლდ ლოსანო, ფლავიო კონსეისაო, ჰაინცე, კამინერო
გაძევება: ფლავიო კონსეისაო (62)
მსაჯი: ესკინას ტორესი

ესპანეთში მართლაც საინტერესო ამბები ხდება. მიჩვეულნივართ, „რეალი“ და „ბარსელონა“ თავიდანვე პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ და ტურიდან ტურში უპირატესობას იმტკიცებენ. წლეულს კი ესპანური ფეხბურთის გრანდებს ლიდერობა არა და არ ეღირსათ. თუმცა ჯერ ყველაფერი წინაა და გაზაფხულისთვის ტრადიციის დარღვევას არ უნდა ველოდეთ.

22-ე ტურში ლიდერთაგან მხოლოდ „სარაგოსამ“ იმარჯვა. გასავარდნად განწირულ სევილიელებს ხუანელემ უკვე მე-2 წუთზე შეუგდო პირველი გოლი. შემდეგ პიბიჩმა საკუთარი კარი დალაშქრა და „სარაგოსამ“ სამი ქულა და მეორე ადგილი გაინაღდა. სევილიელი ცარტასის გატანილი ბურთი მომაკვდავის ბოლო გაბრძოლებასღა ჰგავდა.

„ბარსელონას“, რომელმაც მესამე ადგილზე გადაინაცვლა, ლიდერობის მოპოვების შანსი ჰქონდა, მაგრამ ვერ შეძლო. „ბარსა“ გასვლაზე „ესპანიოლს“ ხვდებოდა. თუმცა ამ მატჩში სტუმარმასპინძლობა უფრო პირობითი მცნება იყო, „კამპ ნოუს“ მკვიდრთ მხოლოდ „ესპანიოლის“ სტადიონამდე რამდენიმე კილომეტრის გავლა მოუხდათ. კატალონიელთა მეორე კლუბს სახელოვან თანაქალაქელთა ჩრდილში ყოფნა მობეზრდა და გაბრძოლება სცადა. გამოუვიდა კიდეც. 21-ე წუთი იყო, როდესაც „ბარსელონას“ მცველებს საკუთარ საჯარიმოში მიგელ ბენიტესი შეუმჩნეველი დარჩათ. სუპერკლუბის ამგვარ „საჩუქარს“ თუ ვერ გამოიყენებ, საკადრისად დაისჯები და უმეთვალყურეოდ მყოფმა ფეხბურთელმაც კარში ზუსტად დაარტყა. გაშვებული ბურთის შემდეგ ბარსელონელები მეტოქეთა მოძრაობას უფრო ყურადღებით აკვირდებოდნენ, რითაც თავიანთი საჯარიმოს მისადგომები საიმედოდ ჩაკეტეს. ახლა შეტევაზე ფიქრიც შეიძლებოდა, თუმცა საპასუხო იმ სიტუაციიდან შეაგდეს, საგოლე რომ არ ეთქმოდა. ტაიმის მიწურულს სტუმრებმა „ესპანიოლის“ საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩაჰკიდეს. პატრიკ კლუივერტი მეურვეზე მაღლა ახტა და ბურთი კარისკენ არცთუ ძლიერად გაგზავნა. მეკარე ხუან ლუის მორა ოდნავ წინ იყო გამოსული. მას ბურთი თავზე გადაევლო და კარში შევარდა. სტუმრები შესვენების შემდეგაც აქტიურად და სახიფათოდ უტევდნენ. თუმცა „ესპანიოლის“ კარის დარაჯი ამჯერად უშეცდომოდ ირჯებოდა და იარი ლიტმანენსა და რივალდოს ურთულესი ბურთები აუღო. შეხვედრის ბოლო წუთები განსაკუთრებით დაძაბული აღმოჩნდა. 85-ე წუთზე მასპინძლებმა საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს. ბურთთან ყოფილი ბარსელონელი ნახევარმცველი როხერ გარსია მივიდა. უიღბლობა რომ არა, „ბარსელონა“ ერთ ქულასაც ვერ მიითვლიდა. დამატებულ დროში ფილიპ კოკუმაც გაიბრძოლა, მაგრამ ახლო მანძილიდან დარტყმულ თავურს ოდნავ სიზუსტე დააკლდა. შემდეგ მსაჯის საფინალო სასტვენის [illegible] რამაც მეტოქეებს [illegible] წოდა. აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ „ბარსას“ გადამრჩენელი ჰოლანდიელი თავდამსხმელი სასტარტო შემადგენლობაში ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ გამოჩნდა და თავიც არ შეირცხვინა.

ბარსელონელთა ფრემ „დეპორტივო“ კი გაახარა, მაგრამ ერთობ ცუდი სამსახური გაუწია. ლაკორუნიელები, აქაოდა ჩვენს ლიდერობას ვერავინ შეგვიქრებაო, მოდუნდნენ. ერთ-ერთ აუტსაიდერთან (თუნდაც სტუმრად) სამარცხვინო მარცხს სხვაგვარად ვერ ახსნი. პირველ გოლში დიდი წვლილი შეიტანა „ვალიადოლიდის“ იაპონელმა ლეგიონერმა შოჯი ჯომ, რომელიც სასტარტო შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა. მისი შორეული დარტყმული დეპორტივოელებმა მოიგერიეს, მაგრამ ბურთთან კამინერო გაჩნდა და ანგარიში გახსნა. შემდეგ ვიქტორ ფერნანდესმა ჰეთ-თრიკი გააკეთა, რასაც სტუმრებმა მხოლოდ ტურუ ფლორესის პენალტით უპასუხეს. მატჩის მსვლელობისას დეპორტივოელი ფლავიო კონსეისაოც გააძევეს. თამაშის დასრულებისას სტუმართა მწვრთნელი ხავიერ ირურეტას ესღა უთქვამს: „თავიდან ვერ ავეწყვეთ, ხოლო ჩვენი თამაში რომ ვიპოვეთ, უკვე გვიან იყო“.

„რეალი“? „რეალი“ წინ მიიწევს. ოთხშაბათს მადრიდელებმა გამოტოვებული თამაში გამართეს და „ბეტისს“ სძლიეს. ამჯერად მათი მსხვერპლი ბასკური ფეხბურთის ფლაგმანი ბილბაოს „ატლეტიკი“ შეიქნა. გუტიმ, მორიენტესმა და რაულმა ეჩებერიას, მისი შეცვლის შემდეგ კი ლაფუენტეს კარი სამჯერ დალაშქრეს და სტუმართა მეკარის მოგვარის, ხოსება ეჩებერიას საპასუხო არად ჩააგდეს. „რეალი“ მეხუთე ადგილზეა და ერთი მატჩი კვლავ მარაგში აქვს. ისე, „დეპორტივომ“ და „ბარსელონამ“ ასე თუ განაგრძეს, მადრიდელები, იქნებ ჩემპიონებიც გახდნენ.

**გიორგი დარჯანია**

## მეორე დივიზიონი

XXIV ტური

### მერიდა 0:1 კომპოსტელა

0:1 მაურისიო (52)

### უელვა 0:2 ლას პალმასი

0:1, 0:2 სეკეიროსი (24, 60)

### ვილიარეალი 2:0 ალბასეტე

1:0 გაიტანი (15), 2:0 გალვანი (80)

### ლეგანესი 0:0 ესტრემადურა

### ატლეტიკო B 1:1 ოსასუნა

0:1 ივან როსადო (51), 1:1 პეპე დომინგო (86)

### ტოლედო 0:3 კორდობა

0:1 ირაზუსტა (18), 0:2 პედრო აგუადო (76), 0:3 რუბენ ნავარო (92)

### სპორტინგი 1:4 ლოგრონიესი

0:1 კიკო (39პ), 1:1 მინგო (45), 1:2 ბორხა (60), 1:3, 1:4 მოლისტი (86, 92)

### ლევანტე 2:3 სალამანკა

1:0 სალილასი (22), 1:1, 1:2 მუნტეანუ (31, 70), 1:3 მორალესი (90), 2:3 ვისენტე (93)

### ელჩე 0:0 ბადახოსი

### ეიბარი 1:0 ხეტაფე

1:0 სუანჩესი (17პ)

### ტენერიფე 2:1 ლეიდა

1:0 პიერი (38), 1:1 ხოსემი (50), 2:1 პიერი (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 24 | 13 | 7 | 4 | 39:24 | 46 |
| ლას პალმასი | 24 | 12 | 6 | 6 | 38:24 | 42 |
| ლევანტე | 24 | 11 | 7 | 6 | 39:33 | 40 |
| ესტრემადურა | 24 | 11 | 6 | 7 | 25:23 | 39 |
| ბადახოსი | 24 | 8 | 13 | 3 | 24:17 | 37 |
| სპორტინგი | 24 | 11 | 4 | 9 | 33:28 | 37 |
| ვილიარეალი | 24 | 10 | 6 | 8 | 35:26 | 36 |
| ტენერიფე | 24 | 10 | 6 | 8 | 35:27 | 36 |
| ეიბარი | 24 | 9 | 8 | 7 | 34:32 | 35 |
| ოსასუნა | 24 | 10 | 4 | 10 | 22:22 | 34 |
| ლეიდა | 24 | 9 | 6 | 9 | 40:33 | 33 |
| კომპოსტელა | 24 | 7 | 10 | 7 | 30:30 | 31 |
| ატლეტიკო B | 24 | 9 | 4 | 11 | 30:34 | 31 |
| ხეტაფე | 24 | 8 | 6 | 10 | 22:25 | 30 |
| ლოგრონიესი | 24 | 7 | 8 | 9 | 36:33 | 29 |
| კორდობა | 24 | 7 | 8 | 9 | 27:29 | 29 |
| მერიდა | 24 | 7 | 8 | 9 | 22:26 | 29 |
| ალბასეტე | 24 | 7 | 8 | 9 | 23:32 | 29 |
| ელჩე | 24 | 5 | 11 | 8 | 26:34 | 26 |
| ლეგანესი | 24 | 6 | 8 | 10 | 23:36 | 26 |
| უელვა | 24 | 6 | 4 | 14 | 18:34 | 22 |
| ტოლედო | 24 | 4 | 6 | 14 | 16:35 | 18 |

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 22 | 12 | 4 | 6 | 37:28 | 9 | 40 | 10 | 8 | 0 | 2 | 23:12 | 11 | 24 | 12 | 4 | 4 | 4 | 14:16 | -2 | 16 |
| 2 | სარაგოსა | 22 | 10 | 8 | 4 | 38:22 | 16 | 38 | 12 | 8 | 4 | 0 | 28:11 | 17 | 28 | 10 | 2 | 4 | 4 | 10:11 | -1 | 10 |
| 3 | ბარსელონა | 22 | 11 | 5 | 6 | 43:28 | 15 | 38 | 10 | 8 | 1 | 1 | 25:9 | 16 | 25 | 12 | 3 | 4 | 5 | 18:19 | -1 | 13 |
| 4 | სელტა | 22 | 11 | 2 | 9 | 31:28 | 3 | 35 | 12 | 7 | 1 | 4 | 21:16 | 5 | 22 | 10 | 4 | 1 | 5 | 10:12 | -2 | 13 |
| 5 | რეალი | 21 | 8 | 9 | 4 | 36:32 | 4 | 33 | 11 | 5 | 3 | 3 | 21:20 | 1 | 18 | 10 | 3 | 6 | 1 | 15:12 | 3 | 15 |
| 6 | ალავესი | 22 | 9 | 5 | 8 | 25:25 | 0 | 32 | 12 | 6 | 2 | 4 | 15:13 | 2 | 20 | 10 | 3 | 3 | 4 | 10:12 | -2 | 12 |
| 7 | ბილბაო | 22 | 8 | 8 | 6 | 32:33 | -1 | 32 | 10 | 5 | 4 | 1 | 17:12 | 5 | 19 | 12 | 3 | 4 | 5 | 15:21 | -6 | 13 |
| 8 | ნუმანსია | 22 | 8 | 7 | 7 | 31:34 | -3 | 31 | 11 | 6 | 5 | 0 | 19:9 | 10 | 23 | 11 | 2 | 2 | 7 | 12:25 | -13 | 8 |
| 9 | ვალენსია | 22 | 8 | 6 | 8 | 29:24 | 5 | 30 | 10 | 5 | 2 | 3 | 17:9 | 8 | 17 | 12 | 3 | 4 | 5 | 12:15 | -3 | 13 |
| 10 | რაიო ვალეკანო | 22 | 9 | 3 | 10 | 31:32 | -1 | 30 | 11 | 5 | 2 | 4 | 18:15 | 3 | 17 | 11 | 4 | 1 | 6 | 13:17 | -4 | 13 |
| 11 | მალიორკა | 22 | 8 | 5 | 9 | 29:30 | -1 | 29 | 11 | 7 | 3 | 1 | 20:11 | 9 | 24 | 11 | 1 | 2 | 8 | 9:19 | -10 | 5 |
| 12 | მალაგა | 22 | 7 | 7 | 8 | 33:32 | 1 | 28 | 10 | 3 | 4 | 3 | 15:10 | 5 | 13 | 12 | 4 | 3 | 5 | 18:22 | -4 | 15 |
| 13 | ატლეტიკო | 22 | 8 | 4 | 10 | 34:35 | -1 | 28 | 11 | 5 | 2 | 4 | 18:13 | 5 | 17 | 11 | 3 | 2 | 6 | 16:22 | -6 | 11 |
| 14 | ესპანიოლი | 22 | 7 | 6 | 9 | 32:33 | -1 | 27 | 12 | 4 | 5 | 3 | 17:15 | 2 | 17 | 10 | 3 | 1 | 6 | 15:18 | -3 | 10 |
| 15 | ვალიადოლიდი | 21 | 7 | 6 | 8 | 22:25 | -3 | 27 | 10 | 6 | 1 | 3 | 17:12 | 5 | 19 | 11 | 1 | 5 | 5 | 5:13 | -8 | 8 |
| 16 | ბეტისი | 22 | 8 | 3 | 11 | 20:34 | -14 | 27 | 12 | 7 | 2 | 3 | 13:10 | 3 | 23 | 10 | 1 | 1 | 8 | 7:24 | -17 | 4 |
| 17 | რასინგი | 22 | 6 | 8 | 8 | 35:33 | 2 | 26 | 12 | 2 | 8 | 2 | 20:17 | 3 | 14 | 10 | 4 | 0 | 6 | 15:16 | -1 | 12 |
| 18 | სოსიედადი | 22 | 5 | 10 | 7 | 24:27 | -3 | 25 | 12 | 5 | 4 | 3 | 17:14 | 3 | 19 | 10 | 0 | 6 | 4 | 7:13 | -6 | 6 |
| 19 | ოვიედო | 22 | 6 | 6 | 10 | 23:37 | -14 | 24 | 10 | 6 | 2 | 2 | 12:6 | 6 | 20 | 12 | 0 | 4 | 8 | 11:31 | -20 | 4 |
| 20 | სევილია | 22 | 3 | 8 | 11 | 23:36 | -13 | 17 | 10 | 3 | 5 | 2 | 12:9 | 3 | 14 | 12 | 0 | 3 | 9 | 11:27 | -16 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სალვა (რასინგი) | 21 |
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 18 |
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 18 |
| კატანია (მალაგა) | 15 |
| მაკაი (დეპორტივო) | 12 |

### XXIII ტური

5 თებერვალი
ვალენსია — ბეტისი
6 თებერვალი
მალიორკა — სოსიედადი
რაიო ვალეკანო — სელტა
ატლეტიკო — სარაგოსა
სევილია — რასინგი
ოვიედო — ესპანიოლი
ბარსელონა — ალავესი
მალაგა — ვალიადოლიდი
დეპორტივო — რეალი
ბილბაო — ნუმანსია

ინგლისი

გადადებული მატჩი

# თასი და მანჩესტერი

REUTERS მანჩესტერიდან



მანჩესტერელ დევიდ ბექემს გოლის გატანას რაიან გიგზი ულოცავს

**მანჩესტერი 1:0 მიდლსბრო**

1:0 ბექემი (87)

მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი (სქოულზი 69), სტამი, სილვესტრი, ირვინი (სოლსკიაერი 80), ბექემი, როი კინი, ბათი, გიგზი, იორკი, შერინგემი (ე. კოული 80)

მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ფესტა, პალისტერი (გევინი 20), კუპერი, ციგე, ჟუნინიო, ინსი, სამერბელი, რიკარდი (ორმეროდი 46), სტივ კემპბელი (მედისონი 81)

გაფრთხილება: ციგე, შვარცერი, კინი

გაძევება: ციგე (61)

მსაჯი: დურსო

ეს უქმეები ასოციაციის თასისა იყო. პრემიერლიგისა „ოლდ ტრეფორდზე" გაგორდა, სადაც თასისთვის ბრძოლაზე უარისმთქმელმა „მანჩესტერმა" „მიდლსბროს" უმასპინძლა და ამ თამაშის შემდეგ ცხრილს სათავეში მოექცა უკეთესი ბურთების სხვაობის წყალობით. მასპინძლებს დიახაც რომ გაუჭირდათ. საქმე ისე დატრიალდა, რომ უგოლო თამაშისას ბოროელი გერმანელი კრისტიან ციგე მეორე ყვითლით გააძევეს 61-ე წუთზე, მის თანაგუნდელ ბრაზილიელ ჟუნინიოს კი მანჩესტერელთა ავსტრალიელმა მეკარემ მარკ ბოსნიჩმა პენალტი აუღო. შეხვედრის დასასრულამდე სამი წუთით ადრე დევიდ ბექემმა თამაში გატეხა და შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა. მერე გასახდელში ჩავიდა, გამოიცვალა და ტაისონ-ფრენსისის კრივის საცქერლად გაემგზავრა.

ეს შეხვედრა დიახაც ჩამოჰგავდა სათასო მატჩს, მაგრამ მხოლოდ ჩამოჰგავდა. ნამდვილი სათასო ჯახაჯუხი კი კიდევ სხვა იყო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 21 | 14 | 5 | 2 | 52:26 | 47 |
| ლიდსი | 22 | 15 | 2 | 5 | 37:25 | 47 |
| არსენალი | 23 | 13 | 5 | 5 | 42:23 | 44 |
| ლივერპული | 23 | 12 | 5 | 6 | 34:20 | 41 |
| სანდერლენდი | 23 | 11 | 5 | 7 | 37:31 | 38 |
| ჩელსი | 23 | 10 | 7 | 6 | 31:22 | 37 |
| ტოტენჰემი | 23 | 10 | 5 | 8 | 34:27 | 35 |
| ვესტ ჰემი | 22 | 8 | 8 | 6 | 2825 | 32 |
| ასტონ ვილა | 23 | 8 | 7 | 8 | 22:23 | 31 |
| ლესტერი | 23 | 9 | 4 | 10 | 32:34 | 31 |
| ევერტონი | 23 | 7 | 9 | 7 | 37:34 | 30 |
| ქოვენთრი | 22 | 7 | 8 | 7 | 30:24 | 29 |
| უიმბლდონი | 23 | 6 | 10 | 7 | 34:37 | 28 |
| მიდლსბრო | 22 | 8 | 4 | 10 | 24:31 | 28 |
| ნიუკასლი | 23 | 7 | 6 | 10 | 39:39 | 27 |
| დერბი | 23 | 6 | 5 | 12 | 23:33 | 23 |
| საუთჰემპტონი | 22 | 6 | 5 | 11 | 26:37 | 23 |
| ბრედფორდი | 23 | 5 | 6 | 12 | 19:35 | 21 |
| უენსდი | 22 | 4 | 4 | 14 | 20:46 | 16 |
| უოტფორდი | 23 | 4 | 2 | 17 | 21:50 | 14 |

## პირველი დივიზიონი

XXIX ტური

**ბირმინგემი 2:1 სტოკპორტი**

1:0 ჰოლდსუორთი (62), 2:0 ჰიუზი (72), 2:1 ჯონსონი (84ს.კ.)

**კრ. პალასი 2:2 ჰადერსფილდი**

0:1, 0:2 სტიუარტი (34, 41), 1:2 მულინსი (47), 2:2 ლინიგანი (77)

**გრიმსბი 1:1 ქრიუ**

0:1 ლანტი (52), 1:1 ალენი (88)

**იფსვიჩი 1:1 შეფილდ იუნ.**

1:0 ჯონსონი (45პ), 1:1 ბენტი (53)

**პორტსმუთი 3:0 ბარნსლი**

1:0, 2:0, 3:0 კლარიჯი (8, 20, 64)

**ქუინზ პარკი 1:1 ნოტინგემი**

0:1 ქვაში (12), 1:1 კივომია (76)

**უოლსოლი 1:1 ვულვერჰემპტონი**

0:1 ემბლენი (76), 1:1 ბარასი (80)

**ვესტ ბრომვიჩი 1:1 სუინდონი**

1:0 ჰიუზი (73პ), 1:1 ჰალი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 28 | 18 | 5 | 5 | 52:28 | 59 |
| სიტი | 28 | 17 | 4 | 7 | 44:22 | 55 |
| ბარნსლი | 29 | 17 | 4 | 8 | 59:42 | 55 |
| იფსვიჩი | 29 | 15 | 9 | 5 | 4829 | 54 |
| ჰადერსფილდი | 29 | 15 | 6 | 8 | 47:31 | 51 |
| ვულვზი | 29 | 11 | 10 | 8 | 3833 | 43 |
| სტოკპორტი | 29 | 11 | 9 | 9 | 34:38 | 42 |
| ბირმინგემი | 28 | 11 | 8 | 9 | 39:32 | 41 |
| ბლექბერნი | 27 | 10 | 10 | 7 | 35:30 | 40 |
| ქუინზ პარკი | 29 | 10 | 10 | 9 | 3835 | 40 |
| ფულემი | 28 | 9 | 12 | 7 | 25:25 | 39 |
| ნორვიჩი | 28 | 10 | 8 | 10 | 27:30 | 38 |
| ბოლტონი | 27 | 9 | 9 | 9 | 35:31 | 36 |
| ტრანმერი | 28 | 10 | 6 | 12 | 37:38 | 36 |
| კრ. პალასი | 29 | 9 | 9 | 11 | 42:47 | 36 |
| შეფილდ იუნ. | 29 | 9 | 8 | 12 | 36:44 | 35 |
| გრიმსბი | 29 | 9 | 7 | 13 | 33:49 | 34 |
| ნოტინგემი | 29 | 7 | 9 | 13 | 30:37 | 30 |
| ვესტ ბრომვიჩი | 29 | 5 | 15 | 9 | 25:33 | 30 |
| ქრიუ | 29 | 7 | 8 | 14 | 31:39 | 29 |
| უოლსოლი | 29 | 7 | 8 | 14 | 32:46 | 29 |
| პორტვეილი | 27 | 6 | 9 | 12 | 31:37 | 27 |
| პორტსმუთი | 29 | 6 | 9 | 14 | 34:45 | 27 |
| სუინდონი | 29 | 3 | 10 | 16 | 21:50 | 19 |

## მეორე დივიზიონი

29-ე ტური. ბლექპული — ბრენტფორდი 0:1; ბორნმუთი — სკანთორპი 1:1; როვერსი — რექსჰემი 3:1; ბერი — ბრისტოლი 0:0; ჩესტერფილდი — მილუოლი 2:0; ოლდემი — ოქსფორდი 2:0; რედინგი — კოლჩესტერი 2:0; სტოკი — ბარნლი 2:2

## მესამე დივიზიონი

29-ე ტური: ბრაიტონი — დარლინგტონი 1:1; კარლაისლი — მენსფილდი 0:2; ჩელტენემი — ჰარტლპული 2:1; ჩესტერი — ტორკი 2:1; ექსეტერი — როჩდეილი 2:0; ჰალიფაქსი — ლეიტონი 0:2; ლინკოლნი — ნორთჰემპტონი 2:2; მაკლსფილდი — ჰალი 0:2; პიტერბრო — პლიმუთი 2:0; შრიუსბერი — როტერჰემი 0:0; საუთენდი — სუონსი 2:1; იორკი — ბარნეტი 1:0

## ასოციაციის თასი. მერვედფინალი

***ასტონ ვილა* 3:2 ლიდსი**

0:1 ჰარტი (13), 1:1 კარბონე (32), 1:2 ბაკე (39), 2:2, 3:2 კარბონე (59, 69)

***ჩელსი* 2:1 ლესტერი**

1:0 პოიეტი (35), 2:0 ვეა (49), 2:1 ელიოტი (90)

**კემბრიჯი 1:3 *ბოლტონი***

1:0 ბენჟამინი (29), 1:1, 1:2 ტეილორი (53, 75), 1:3 გუდიონსონი (86)

**ქოვენთრი 2:3 *ჩარლტონი***

1:0, 2:0 რუსელი (15, 20), 2:1 რობინსონი (40), 2:2 ნიუტონი (45), 2:3 ჰანტი (72)

***ევერტონი* 2:0 პრესტონი**

1:0 ანსუორთი (64), 2:0 მური (90)

**ფულემი 1:2 *ტრანმერი***

0:1 ალისონი (9), 1:1 კოულმენი (18), 1:2 დ. კელი (73)

***ჯილინგემი* 3:1 შეფილდ უენსდი**

0:1 სიბონი (27), 1:1 სონდერსი (70), 2:1 ტომსონი (72), 3:1 საუთოლი (82)

**ბლექბერნი — ნიუკასლი**

იხილეთ ბოლო გვერდი

„ვილამ" გამოილვიძა? ეს აშკარაა. სამი კვირის წინ მენეჯერ ჯონ გრეგორის მოხსნაზე რომ ლაპარაკობდნენ, ახლა მას აღარავინ მოხსნის. „ვილამ" თასიდან გამოთიშა „ლიდსი" თანაც ისე, რომ მშობლიურ სტადიონზე ორჯერ აგებდა. „ლიდსს" მოედანი ეპყრა და ორჯერ იგებდა იან ჰარტისა და ნორვეგიელი ერიკ ბაკეს წყალობით. ორჯერვე ბენიტო კარბონემ გაათანაბრა. ეს იტალიელი შეხვედრის გმირი შეიქნა, მესამე ბურთიც მის ანგარიშზეა. გამარჯვების გოლში ლომის წილი დაიდო ვეტერანმა პოლ მერსონმა, რომლის განავარდებაც ლიდსელთა დაცვის რიგში კარბონეს საჰეთთრიკო დარტყმით დასრულდა. 3:2 „ვილას" სასარგებლოდ და „ლიდსი" ერთი ფრონტიდან მოიხსნა.

„ჩელსიმ", როგორც იქნა, გასტეხა „ლესტერი". გუსტავო პოეტმა აკრობატული გოლი გაიტანა, ჯორჯ ვეამ კი სატონის კროსს მიუსწრო, მერე ლესტერელებს სტივ უოლში გაუძევეს, მერე მასპინძლებს კაპიტანი დენის ვაიზი. ერთადერთი საპასუხო კი ელიოტმა შეაგდო.

თასის მეხუთე რაუნდის ომებიდან, კომფორტული მხოლოდ „ევერტონის" მიერ მეორედივიზიონური „პრესტონის" ძლევა იყო. სამაგიეროდ იმავ დივიზიონის „ჯილინგემმა" სათასო ტრადიცია არ მოშალა და პრემიერლიგის „შეფილდ უენსდის" 3:1 მოუგო და თავის ისტორიაში პირველად მიაღწია თასის მეოთხედფინალს.

პირველდივიზიონურ ჯახებში „ფულემი" „ტრანმერისგან" იძლია. „კემბრიჯი" კი „ბოლტონისგან". ორივე შემთხვევაში სტუმრებმა იმარჯვეს. პრემიერლიგამ კი კიდევ ერთი წარმომადგენელი დაკარგა. „ქოვენთრი" პირველი დივიზიონის ლიდერ „ჩარლტონს" თავისი მაროკოელების გარეშე, მაგრამ რიხით დაუხვდა. ბელგიელმა სედრიკ რუსელმა პირველ ოც წუთში ორი ბურთით დააწინაურად მასპინძლები. ერთი გოლი ტაიმის მიწურულს გაქვითა ჯონ რობინსონმა. მთავარი ამბები კი მსაჯის მიერ დამატებულ დროში დატრიალდა, როცა „ქოვენთრის" მეკარე მაგნუს ჰედმანმა ორი ბურთი გაუშვა შოუნ ნიუტონისა და ენდი ჰანტისაგან. ამან კი სტუმრები მეექვსე რაუნდში გაიყვანა.

**ირაკლი გამყრელიძე**

### მეოთხედფინალის წილისყრა

ჩელსი — ჯილინგემი; ევერტონი — ასტონ ვილა; ბოლტონი — ჩარლტონი; ტრანმერი — ბლექბერნი ან ნიუკასლი

*მატჩები გაიმართება 19-20 თებერვალს*

REUTERS ლონდონიდან



ჩელსი — ლესტერი 2:1. ლონდონელმა ბერნარ ლამბურმა (ზემოთ) ლესტერელ სტივ უოლშს აჯობა

# ნუთუ კანტონაც მწვრთნელია?



ერიკ კანტონა

„მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილმა ვარსკვლავმა, ფრანგმა ერიკ კანტონამ, ბრიტანულ მას მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, შეიძლება ლონდონური „ფულემის" მწვრთნელობას გამოჰკრას ხელი. როგორც ამბობენ, კანტონას „ფულემის" მილიონერ მეპატრონესთან, მუჰამედ ალ ფაედთან ჰქონია საუბარი.

მოგეხსენებათ, „ფულემს" ერთიხანობა ინგლისის ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი კევინ კიგანი ედგა სათავეში. ბოლო დროს კი გუნდის საქმეები საგრძნობლად გაუარესდა და პირველ დივიზიონში მე-11 ადგილზე დაქვეითდა.

დღეს „ფულემს" პოლ ბრეისუელი წვრთნის, თუმცა 33 წლის კანტონა, რომელიც „იუნაიტედს" და მოედანს 1997-ში დაემშვიდობა, ბუნებრივია, გაცილებით სასურველი კანდიდატი გახლავთ.

„ფულემმა" ჯერჯერობით შორს დაიჭირა. კლუბი აცხადებს, რომ ბრიტანულ გაზეთებში გავრცელებული ცნობები ჭორია და მეტი არაფერი.

## ჰოლანდია

გადადებული მატჩები

**გრააფსხაპი 3:1 კამბური**

1:0 ფუქსი (16), 2:0 ტუმბა (23), 2:1 ვან დერ ჰეიდი (28), 3:1 ფუქსი (69)

**სპარტა 2:1 ჰერენვენი**

0:1 ტალანი (62), 1:1 ნილსენი (75), 2:1 ბუხარი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 18 | 13 | 2 | 3 | 55:14 | 41 |
| ჰერენვენი | 18 | 12 | 1 | 5 | 35:19 | 37 |
| აიაქსი | 17 | 11 | 3 | 3 | 47:24 | 36 |
| ფეიენოორდი | 17 | 9 | 6 | 2 | 33:18 | 33 |
| ალკმარი | 18 | 10 | 2 | 6 | 36:28 | 32 |
| ვიტესი | 18 | 9 | 5 | 4 | 35:27 | 32 |
| ტვენტე | 17 | 8 | 7 | 2 | 29:17 | 31 |
| როდა | 17 | 9 | 3 | 5 | 29:22 | 30 |
| ტილბურგი | 17 | 9 | 3 | 5 | 30:32 | 30 |
| ვალვაიკი | 18 | 9 | 2 | 7 | 30:35 | 29 |
| უტრეხტი | 18 | 7 | 1 | 10 | 2835 | 22 |
| სპარტა | 18 | 6 | 1 | 11 | 27:39 | 19 |
| გრააფსხაპი | 19 | 3 | 8 | 8 | 21:29 | 17 |
| ნაიმეგენი | 17 | 4 | 3 | 10 | 21:35 | 15 |
| მაასტრიხტი | 18 | 3 | 3 | 12 | 25:43 | 12 |
| სიტარდი | 18 | 2 | 5 | 11 | 20:33 | 11 |
| დენ ბოსხი | 18 | 2 | 4 | 12 | 1847 | 10 |
| კამბური | 17 | 2 | 3 | 12 | 16:38 | 9 |

## „ამსტელის თასის" მერვედფინალი

***ვალვაიკი* 2:0 ეინდჰოვენი (II)**

1:0, 2:0 ვან დერ ლეეგტი (52, 66)

***როდა* 1:0 აიაქსი**

1:0 პეეტერსი (90)

**ჰელმონდი (II) 1:2 *ტილბურგი***

0:1 ლანდზაატი (9), 1:1 ევერსი (86), 1:2 შულპი (87)

***ნაიმეგენი* 1:0 ექსელსიორი (II)**

1:0 დე გიერი (70)

***დორდრეხტი* (II) 1:0 რუსენდალი**

1:0 ბოოგერსი (51)

**პსვ 0:2 *ვიტესი***

0:1 ჯოკენსენი (28), 0:2 ვან ჰოიდონკი (58)

**ფეიენოორდი 1:3 *ალკმარი***

1:0 ბოსველტი (35), 1:1 ვან გალენი (43), 1:2 ერნანდესი (75), 1:3 ბუსატა (90)

***უტრეხტი* 5:3 გოუ ეჰედ იგლზი (II)**

1:0 მარტელი (18პ), 1:0 დე იონგი (40), 2:1, 2:2 ზონეველდი (52, 53), 3:2 ლუსიუსი (57), 3:3 კოიმანი (62), 4:3 კუიტი (81), 5:3 ცვანცვიკი (85)

ჰოლანდიის თასის მესამე წრემ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ძლიერი გუნდები ამ ტურნირს ნაკლები სერიოზულობით ეკიდებიან. ძნელია, სხვა ახსნა მოეძებნოს იმ ფაქტს, რომ „ფეიენოორდი", პსვ და „აიაქსი" შედარებით სუსტ გუნდებთან აგებენ თამაშებს, თანაც ერთდროულად.

ფეიენოორდელმა ემილ ბოსველტმა 35-ე წუთზე გახსნა ანგარიში, თუმცა ტაიმის მიწურულს მასპინძლებს საკუთარი კარის ბადიდანაც მოუხდათ ბურთის გამოტანა. შესვენების შემდეგ მათ შეტევებს უმატეს, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, წინ წასულებმა დაცვაში ყურადღება მოადუნეს და დაისაჯნენ.

ფერდინო ერნანდესმა უკვე „ალკმარი" დააწინაურა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში დრის ბუსატამაც იხეირა და „ალკმარი" მეოთხედფინალში გავიდა.

რონალდ კუმანის მისვლის შემდეგ „ვიტესს" ალმასვლის ხანა დაუდგა. ამას გასვლაზე პსვ-ს ძლევაც მოწმობს. თავდაპირველად არკო ჯოკენსენმა დაამწუხრა ფილიპსელები. შემდეგ პიერ ვან ჰოიჯდონკმა პენალტი შეაგდო და „ალკმარის" მსგავსად „ვიტესიც" მეოთხედფინალშია.

„როდა" — „აიაქსის" შეხვედრაში 90 წუთი ისე მიილია, გოლი არ გასულა.

ამსტერდამელები, რომელთაც 62-ე წუთზე კრისტიან ჩივუ გაუძევეს, უკვე დამატებითი დროისთვის ზოგავდნენ ძალებს და როდელთა შეტევას მოუმზადებელნი დახვდნენ. მასპინძელთა ამ გარღვევას ბარტ პეეტერსის გოლი მოჰყვა და ფეხბურთელები კიდევ 30 წუთი სირბილისგან იხსნა.

## შოტლანდია

თასი. II ეტაპი.

გადათამაშება

**ალოა 2:0 უიტჰილ ველფარე**

1:0 დონაჰიუ (38), 2:0 მ. კამერონი (40)

მეთექვსმეტედფინალი

**დანდი იუნ. 4:1 ეირდრიონიანსი**

1:0 ჰანაჰი (17), 1:1 ა. მაკკენი (57), 2:1 მატი (58), 3:1 ჰანაჰი (79), 4:1 ფერაზი (87)

**გრინოკ მორტონი 1:1 ბრენჩინი**

1:0 ჯ. ანდერსონი (25), 1:1 რ. ბლეკი (82)

**სენტ ჯონსტონი 0:2 რეინჯერსი**

0:1 ნუმანი (41), 0:2 ვან ბრონკჰორსტი (64)

**ალბიონი 1:2 პარტიკ თისტლი**

0:1 დანი (6), 1:1 დანკანი (86), 1:2 ლენონი (89)

**არბროთი 0:1 მოზერუელი**

0:1 ტოუნსლი (13)

პირველი ნახევრის შემდეგ შეხვედრა შეწყდა.

**კლაიდბანკი 1:0 სტირლინგი**

1:0 ვიზჰარტი (6)

**კლაიდი 3:1 რაითი**

0:1 დარგო (35), 1:1 კარიგანი (76), 2:1 ვუდსი (79), 3:1 კარიგანი (88)

**დანდი 0:0 ეირი**

**ფალკირკი 3:1 პეტერჰედი**

1:0 ნიკოლსი (6), 1:1 გიბსონი (11), 2:1 კრაბე (35), 3:1 ჰაგენი (72)

**ჰართსი 3:2 სტენუსემირი**

0:1 ჰამილტონი (8), 0:2 მუნი (29), 1:2 კ. კამერონი (38პ), 2:2, 3:2 მაკსვიგანი (61, 88)

**ჰიბერნიანი 4:1 დანფერმლაინი**

1:0 მილერი (2), 1:1 გრემი (32), 2:1 ბრებნერი (38), 3:1 მიურეი (66), 4:1 დ. კოლინზი (87)

**ქუინ ოფ საუთი 0:7 ლივინგსტონი**

0:1 მაკკინონი (14), 0:2, 0:3 კეიტი (51, 58), 0:4 ბინგემი (59), 0:5 კეიტი (65), 0:6 მაკფი (68), 0:7 მაკკინონი (89)

**სენტ მირენი 1:1 აბერდინი**

1:0 მაკგერი (56), 1:1 ზერუალი (71)

**სტრანრერი 1:2 ბერვიკი**

0:1 ჰადოუ (42პ), 0:2 ფინდლი (65), 1:2 რონალდი (69)

**სელტიკი — აინვერნსი**

გაიმართება 8 თებერვალს

**კილმარნოკი — ალოა**

თარიღი ზუსტდება

### თასის მერვედფინალის წილისყრა

გრინოკ მორტონი ან ბრენჩინი — რეინჯერსი; არბროთი ან მოზერუელი — დანდი ან ეირი; ჰიბერნიანი — კლაიდბანკი; კლაიდი — ჰართსი; სელტიკი ან აინვერნსი — სენტ მირენი ან აბერდინი; ბერვიკი — ფალკირკი; კილმარნოკი ან ალოა — დანდი იუნაიტედი; პარტიკ თისტლი — ლივინგსტონი

**ჰოლანდიელი** ლეგიონერების — არტურ ნუმანისა და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის ორმა გოლმა გლაზგო „რეინჯერსს" შოტლანდიის თასის გათამაშების მომდევნო ეტაპის საგზური მოუტანა. გლაზგოელებმა სტუმრად „სენტ ჯონსტონი" დაამარცხეს 2:0.

შეხვედრის პირველი ნახევარი ორმხრივ შეტევებში გაილია. ვერც ერთმა გუნდმა საგრძნობი უპირატესობა ვერ მოიპოვა. ტაიმის მიწურულს კი, 41-ე წუთზე, არტურ ნუმანმა დაახლოებით 20 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, რასაც „სენტ ჯონსტონის" კარში გატანილი პირველი გოლი მოჰყვა. „რეინჯერსმა" გასახდელს ერთბურთიანი სხვაობით მიაშურა.

მეორე ტაიმი სტუმართა აშკარა კარნახით წარიმართა. „სენტ ჯონსტონი" მეტოქის ნახევარზე თითქმის არ გადასულა. საუცხოოდ ითამაშა მასპინძელთა მეკარე ალან მეინიმ, რომელმაც ორი აუღებელი ბურთიც კი მოიგერია: ჯერ გამოცდილ იორგ ალბერტსს აუღო, ხოლო შემდეგ რუსი ლეგიონერის, ანდრეი კანჩელსკისის სახიფათოდ დარტყმული გააუვნებლა.

64-ე წუთზე კი მეკარეც ვერაფერს გახდა 25 მეტრიდან ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის ძლიერად დარტყმულმა ბურთმა „სენტ ჯონსტონის" კარის ბადე მეორედ შეარხია.

სიხარულს ვერ მალავდა არტურ ნუმანი, რომელმაც 1998 წელს პსვ-დან „რეინჯერსში" გადასვლის შემდეგ გასულ კვირას თავისი პირველი გოლი შეაგდო, ახლა კი ზედიზედ მეორე შეხვედრაში გამოიჩინა თავი: „ნამდვილად არ მოველოდი, თუ ზედიზედ მეორე მატჩში გავიტანდი. ძალიან ლამაზი დარტყმა გამომივიდა. ვგრძნობ, რომ უკვე სათანადო ფორმაში ვარ საიმისოდ, რომ ჰოლანდიის ნაკრების ყურადღება მივიპყრო" — განაცხადა ნუმანმა.

თასის გათამაშების მომდევნო ეტაპზე „რეინჯერსი" პირველდივიზიონელ „მორტონსა" და მესამედივიზიონელ „ბრენჩინს" შორის გამარჯვებულს შეხვდება.

შემდეგ ეტაპზე მონაწილეობის უფლება კიდევ ერთმა პრემიერდივიზიონელმა „დანდი იუნაიტედმა" მოიპოვა, რომელმაც შინ პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ეირდრი" დაამარცხა 4:1.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრაში ოთხი ფეხბურთელი გააძევეს. „დანდი იუნაიტედიდან" წითელი ბარათი ბერნარ პასკუალიმ და ენტონი პრეგეტმა დაიმსახურეს, ხოლო სტუმართაგან ედი ფორესტი და ჯიმ დიკი დაისაჯნენ.

REUTERS



სტ. ჯონსტონი — რეინჯერსი 0:2. რეინჯერსელი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი მასპინძლებმა დარენ დოდსმა და ჯიმ უეირმა (№5) მოიმწყვდიეს

## ბელგია

XXI ტური

**სტანდარდი 5:1 გენკი**

1:0 ბუიტენი (3), 2:0 მორნარი (47), 3:0 ლიკუნკუ (50), 4:0 ტისი (63პ), 5:0 გუსენსი (73), 5:1 ორიგი (90)

**შარლერუა 1:2 გენტი**

1:0 კაკლამანოსი (41), 1:1 აარსტი (53), 1:2 დალუმი (56)

**ბეელი 3:0 ლოკერენი**

1:0 ვერსაველი (45), 2:0, 3:0 დელენი (76, 90)

**სენტ ტრუიდენი 2:0 ბეერსხოტი**

1:0 ვრანკენი (15), 2:0 ისაიაში (89)

**ლომელი 3:3 ანდერლეხტი**

0:1 ეკაკია (37), 1:1 დეკელვერი (45), 1:2 კოლერი (60), 2:2 დეკელვერი (67), 2:3 სტოიჩა (75), 3:3 სიმონსი (89პ)

**ბევერენი 2:1 მეხელენი**

1:0 ვან რუმსტი (42), 2:0 ტარაჩულსკი (58), 2:1 ჟუაო ელიასი (80)

**ბრიუგე 3:0 აალსტი**

1:0 ვერმანტი (18პ), 2:0 მენდოსა (88), 3:0 სმოლდერსი (90)

**ლიერსი 2:0 ჰარელბეკე**

1:0 სომერსი (20), 2:0 ჰიუსგემსი (53)

**მუსკრონი 2:1 ვესტერლო**

1:0 ჟევლიაკოვი (12), 1:1 ზელენკა (35), 2:1 ჟევლიაკოვი (69)

**ჩემპიონატის** მორიგი, 21-ე ტური პარასკევს „სტანდარდის" და „გენკის" შეხვედრით დაიწყო. საკმაოდ მოულოდნელად, გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი „გენკი" სტუმრად 5:1 განადგურდა და ცხრილში მეორედან მესამე პოზიციაზე ჩამოქვეითდა.

ანგარიში მატჩის დებიუტშივე, მე-3 წუთზე გაიხსნა. სწრაფი გოლი დანიელ ვან ბუიტენმა გაიტანა — მან ფრიდერიკ პიერის კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი შეუშვირა და „გენკის" კარის ბადეში გაახვია. ამის შემდეგ პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ანგარიში ვერც ერთმა გუნდმა ველარ შეცვალა.

მეორე ნახევარი მხოლოდ ორი წუთის დაწყებული იყო, მოედნის ცენტრში სტანდარდელმა მლუბა ლიკუნკუმ რომ იაქტიურა და ზუსტი პასით მეკარესთან პირისპირ დატოვა ივიცა მორნარი, რომელმაც ლამაზი დარტყმით სხვაობა ორამდე გაზარდა. დაახლოებით 3 წუთში ლიკუნკუმ თავადაც გაიტანა მესამე გოლი. 63-ე და 73-ე წუთებზე ანგარიში უკვე გამანადგურებელი გახდა: შეცვლაზე შესულმა ბერნდ ტისმა პენალტი ზუსტად შეასრულა, ხოლო შემდეგ მიხაელ გუსენსმა გამოიჩინა თავი.

გენკმა 90-ე წუთზეღა შეძლო ერთადერთი ბურთის გატანა და სამარცხვინოდ დამარცხდა — 5:1.

შაბათს ლომელში საინტერესო შეხვედრა ჩატარდა. გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „ანდერლეხტი" ცხრილის ბოლო საფეხურზე მყოფ „ლომელს" ესტუმრა. მეტოქენი დაზავდნენ — 3:3. უნდა აღინიშნოს, რომ მატჩის დროს „ანდერლეხტი" სამჯერ დაწინაურდა, მაგრამ „ლომელმა" სამჯერვე მოახერხა ანგარიშის გათანაბრება.

„ანდერლეხტის" უახლოესმა მდევარმა „ბრიუგემ" „აალსტს" უმასპინძლა და 3:0 დაამარცხა. მასპინძლებმა სათამაშო უპირატესობა შეხვედრის დებიუტშივე იგდეს ხელთ და მერე აღარც დაუთმიათ.

მე-18 წუთზე „აალსტის" კარში პენალტი დაინიშნა ჯორჯ აარტსმა მეტოქე სანდი მარტენსი აკრძალული ხერხით შეაჩერა და თერთმეტმეტრიანიც დაიმსახურა. გოლი სვენ ვერმანტმა გაიტანა.

როგორც მოგახსენეთ, მასპინძლები სათამაშო უპირატესობას მთელი შეხვედრის მანძილზე ფლობდნენ. მიუხედავად ამისა, ბოლო ორი ბურთი მათ უკანასკნელ წუთებზე გაიტანეს. 88-ე წუთზე ანდრეს მენდოსამ საკმაოდ ეფექტური გარღვევა განახორციელა და ბურთის გატანაც არ გასჭირვებია, 90-ზე კი შეცვლაზე შესულმა ტიმ სმოლდერსმა გამოიჩინა თავი და „ბრიუგეს" სამბურთიანი უპირატესობა და სამი ქულა მოუპოვა.

ქართველი ლეგიონერის, გელა შეყილაძის „ლიერსმა" „ჰარელბეკეს" უმასპინძლა და 2:0 სძლია. შედეგად სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა და მე-4 პოზიციაზე დამკვიდრდა.

პირველობას საკმაო უპირატესობით კვლავ „ანდერლეხტი" ინარჩუნებს. მას 6 ქულით „ბრიუგე" ჩამორჩება. ამ ორ გუნდს სხვებთან შედარებით შეხვედრით ნაკლები აქვს ჩატარებული, რომელიც ერთმანეთში უნდა გამართონ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 20 | 14 | 5 | 1 | 52:22 | 47 |
| ბრიუგე | 20 | 13 | 2 | 5 | 50:20 | 41 |
| გენკი | 21 | 11 | 6 | 4 | 46:29 | 39 |
| ლიერსი | 21 | 11 | 5 | 5 | 38:25 | 38 |
| სტანდარდი | 21 | 12 | 2 | 7 | 46:35 | 38 |
| გენტი | 21 | 12 | 1 | 8 | 53:41 | 37 |
| ბეერსხოტი | 21 | 10 | 5 | 6 | 38:32 | 35 |
| მუსკრონი | 21 | 10 | 4 | 7 | 43:32 | 34 |
| ვესტერლო | 21 | 8 | 6 | 7 | 41:44 | 30 |
| აალსტი | 21 | 8 | 2 | 11 | 39:43 | 26 |
| ლოკერენი | 21 | 7 | 5 | 9 | 37:44 | 26 |
| მეხელენი | 21 | 8 | 2 | 11 | 33:50 | 26 |
| ბევერენი | 21 | 5 | 6 | 10 | 30:44 | 21 |
| ჰარელბეკე | 21 | 5 | 4 | 12 | 38:44 | 19 |
| სტ. ტრუიდენი | 21 | 5 | 4 | 12 | 22:43 | 19 |
| შარლერუა | 21 | 4 | 6 | 11 | 24:40 | 18 |
| ბეელი | 21 | 2 | 9 | 10 | 16:37 | 15 |
| ლომელი | 21 | 1 | 10 | 10 | 21:42 | 13 |

## პორტუგალია

XIX ტური

**ფარენსე 2:1 გიმარაეში**

1:0 მარინესკუ (3), 1:1 დალსოტო (30), 2:1 პაულო სერჟიო (38)

**ბოავიშტა 2:1 კამპომაიორენსე**

1:0 მორეირა (23), 2:0 ლიტუშ მაგალაეში (45), 2:1 ჟორჟინიო სანტუში (64)

**ამადორა 1:1 ლეირია**

1:0 ლაზარო ოლივეირა (32), 1:1 მარსელინო (90)

**ჟილ ვისენტე 1:1 ბელენენსეში**

0:1 რუი ბატაკა (31), 1:1 ტეიშეირა (90)

**სანტა კლარა 0:0 მარიტიმუ**

**რიუ ავე 2:0 ბრაგა**

1:0 ვისენტე (1), 2:0 ჟორჟე კასკუილა (38)

**ალვერკა 1:1 პორტუ**

1:0 რიკარდო რამირესი (8), 1:1 ჟორჟე კოშტა (44)

**სალგეირუში 1:2 ბენფიკა**

1:0 ბასილიუ ალმეიდა (17), 1:1 პობორსკი (64), 1:2 ნუნუ გომეში (81)

**სეტუბალი — სპორტინგი**

წუხელ გვიან გაიმართა

**გათამაშების** ლიდერმა „პორტუმ" „ალვერკასთან" სტუმრად ჩატარებული შეხვედრა ფრედ 1:1 დაასრულა. მიუხედავად ამისა, პორტუელები პირველობას მომდევნო ტურამდე მაინც შეინარჩუნებენ, რადგან უახლოეს მდევარ ლისაბონის „სპორტინგს" 4 ქულით უსწრებენ. ლისაბონელებმა მორიგი ტურის შეხვედრა აუტსაიდერ „ვიტორია სეტუბალთან" ორშაბათს გვიან ღამით გამართეს. წარმატების შემთხვევაში მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, „პორტუსთან" ქულათა სხვაობა 1 ქულამდე დაეყვანათ.

„ალვერკასა" და „პორტუს" შეხვედრის დროს ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. გოლი მე-8 წუთზე რიკარდუ რამირესმა გაიტანა და თავისიანები დააწინაურა. „პორტუმ" გათანაბრება ტაიმის მიწურულს მოახერხა. 44-ე წუთზე მცველმა ჟორჟე კოშტამ გამოიჩინა თავი — ნუნუ კაპუჩოს მიერ კარის მიმართულებით არც თუ ზუსტად დარტყმული ბურთს ფეხი დაუხვედრა და მეტოქის კარში შეაგორა. აღსანიშნავია, „ალვერკას" მცველთა ზუსტი და შეთანხმებული თამაში, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. ლიდერებს აშკარა საგოლე მომენტი თითქმის არ შეუქმნიათ. უფრო მეტიც, მათმა საუკეთესო ბომბარდირმა მარიო ჟარდელმა კარის მიმართულებით მხოლოდ ერთხელ დაარტყა. მატჩი საბოლოოდ ფრედ 1:1 დასრულდა.

„პორტუსა" და „სპორტინგის" უახლოესმა მდევარმა „ბენფიკამ" სტუმრად „სალგეირუშს" სძლია და დუეტს საკმაოდ მიუახლოვდა. უნდა აღინიშნოს, რომ სალგეირუშელი ბასილიუ ალმეიდას მიერ მე-17 წუთზე გატანილი გოლის წყალობით „ბენფიკა" შეხვედრას 64-ე წუთამდე აგებდა. დამარცხებას კი თავისი გუნდი ჩეხმა ლეგიონერმა კარელ პობორსკიმ გადაარჩინა, რომელმაც საკმაოდ ლამაზი ბურთი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა. ხოლო 81-ე წუთზე ნუნუ გომეშმა მეორე შეაგდო და „ბენფიკას" ძალიან საჭირო 3 ქულა მოუპოვა.

ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ტრადიციულად სამი ფავორიტი გამოიკვეთა — „პორტუ", „სპორტინგი" და „ბენფიკა".

მეოთხეადგილოსან „გიმარაეშს" 34 ქულა აქვს და ლიდერ „პორტუს" 10 ქულით ჩამორჩება, მეხუთეზე „ბოავიშტაა" (33 ქულა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 19 | 13 | 5 | 1 | 39:9 | 44 |
| სპორტინგი | 18 | 12 | 4 | 2 | 32:15 | 40 |
| ბენფიკა | 19 | 11 | 5 | 3 | 26:13 | 38 |
| გიმარაეში | 19 | 10 | 4 | 5 | 32:21 | 34 |
| ბოავიშტა | 19 | 10 | 3 | 6 | 21:15 | 33 |
| მარიტიმუ | 19 | 8 | 6 | 5 | 22:15 | 30 |
| ბელენენსეში | 19 | 6 | 9 | 4 | 22:16 | 27 |
| ჟილ ვისენტე | 19 | 7 | 5 | 7 | 23:21 | 26 |
| ამადორა | 19 | 6 | 8 | 5 | 21:20 | 26 |
| ალვერკა | 19 | 7 | 3 | 9 | 22:27 | 24 |
| ბრაგა | 19 | 6 | 3 | 10 | 22:26 | 21 |
| რიუ ავე | 19 | 5 | 5 | 9 | 21:29 | 20 |
| კამპომაიორენსე | 19 | 5 | 5 | 9 | 17:26 | 20 |
| სალგეირუში | 19 | 6 | 2 | 11 | 15:25 | 20 |
| ფარენსე | 19 | 3 | 8 | 8 | 14:34 | 17 |
| ლეირია | 19 | 3 | 7 | 9 | 16:24 | 16 |
| სანტა კლარა | 19 | 3 | 7 | 9 | 21:30 | 16 |
| სეტუბალი | 18 | 2 | 5 | 11 | 12:32 | 11 |

## სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი

### A ჯგუფი

**ბრაზილია 9:0 კოლუმბია**

ალვარო, ატირსონი, ადრიანო, ლუკასი, ვარლეი, რონალდინიო 2, ედუ 2

**ვენესუელა 4:2 ეკვადორი**

ვენესუელადან — როხასი 2, გარსია 2

ეკვადორიდან — კოროზომ და კაიედესმა

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 4 | 3 | 1 | 0 | 15:1 | 10 |
| ჩილე | 4 | 2 | 1 | 1 | 7:7 | 7 |
| კოლუმბია | 4 | 2 | 1 | 1 | 10:13 | 7 |
| ვენესუელა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |
| ეკვადორი | 4 | 0 | 0 | 4 | 5:12 | 0 |

### B ჯგუფი

**არგენტინა 1:2 ურუგვაი**

1:0 კამბიასო (19), 1:1 ოლივეირა (58), 1:2 კოელიო (62)

**პერუ 5:2 ბოლივია**

1:0, 2:0 ლობატონი (45, 52), 2:1 სუარესი (75), 3:1 პიზარო (77), 3:2 პენია (81), 4:2, 5:2 ლობატონი (85, 88)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ურუგვაი | 4 | 4 | 0 | 0 | 7:2 | 12 |
| არგენტინა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| პერუ | 4 | 2 | 1 | 1 | 10:8 | 7 |
| პარაგვაი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:9 | 3 |
| ბოლივია | 4 | 0 | 0 | 4 | 4:12 | 0 |

### ფინალური ტურნირი

2 თებერვალი

**ურუგვაი — ჩილე**

**ბრაზილია — არგენტინა**

4 თებერვალი

**ურუგვაი — არგენტინა**

**ჩილე — ბრაზილია**

6 თებერვალი

**ჩილე — არგენტინა**

**ბრაზილია — ურუგვაი**

*2 საუკეთესო მოიპოვებს სიდნეის ოლიმპიადის საგზურს*

## ბრაზილია

სან პაულუს ტურნირი

### A ჯგუფი

**სანტოსი 1:1 ფლამენგო**

**ბოტაფოგო 2:3 სან პაულუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 3 | 3 | 0 | 0 | 10:5 | 9 |
| ბოტაფოგო | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| ფლამენგო | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| სანტოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:9 | 1 |

### B ჯგუფი

**ვასკუ გამა 1:0 კორინთიანსი**

**პალმეირასი 6:2 ფლუმინენსე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვასკუ და გამა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| პალმეირასი | 3 | 1 | 1 | 1 | 10:7 | 4 |
| კორინთიანსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ფლუმინენსე | 3 | 1 | 0 | 2 | 4:3 | 3 |

## ამხანაგური მატჩები

### ოთხთა ტურნირი

**ჩეხეთი**

ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელმა იოზეფ ჰოვანეცმა დაასახელა იმ მოთამაშეთა სია, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ოთხთა ტურნირში.

ჩეხების მეტოქეები იქნებიან: 5 თებერვალს ჰონგ კონგი, 8 თებერვალს მექსიკა ან იაპონია

მეკარეები: რადეკ ჩერნი (სლავია), ტომაშ პოსტულკა (სპარტა)

მცველები: ერიკ ბრაბეცი (დრნოვიცე), პეტრ გაბრიელი (სპარტა), კარელ რადა, პეტრ ვლჩეკი (ორივე სლავია), პეტრ ვესელი (ბანიკი, ოსტრავა)

ნახევარმცველები: მარტინ ჰაშეკი (სპარტა), პაველ ჰორვატი (სლავია), მარეკ იანკულოვსკი, რადეკ სლონჩიკი (ორივე ბანიკი), მიხალ კოლომაზნიკი (ტეპლიცე), რადინ ნეკასი (იაბლონეცი), იან პოლაკი (ბობი, ბრნო)

თავდამსხმელები: მარეკ კინჩლი (ვიკტორია, ჟიჟკოვი), ვრატისლავ ლოკვენცი (სპარტა), პაველ ვერბირი (ტეპლიცე), სტანისლავ ვლჩეკი (სიგმა, ოლომოუცი)

## II ტური

### A ჯგუფი

**კამერუნი 3:0 კოტ დივუარი**

1:0 კალა (29), 2:0 ეტოო (45), 3:0 მბომა (90)

კამერუნი: ალიუმი, ნჯანკა, კალა, სონგი, ვომე, ჯერემი (ნდო 65), ლორენი, ფოე, ოლემბე (შამგა 59), ეტოო (ნდიეფი 46), მბომა

კოტ დივუარი: გუამენე, ტებილი, დომორო, სამ აბოუ, დაო (კონე 46), დიაბატე (დიე 73), ბადრა, გუელი, სიე, დაგო (კალუ 62), ბაკაიოკო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| განა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | |
| ტოგო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| კოტ დივუარი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |

*III ტური. 31 იანვარი. განა — კოტ დივუარი; კამერუნი — ტოგო*

### B ჯგუფი

**გაბონი 1:3 ალჟირი**

0:1 ჯაზი (13), 0:2 ტასფაუ (41), 0:3 ჯირი (89), 1:3 მბანანგოიე (90)

გაბონი: მენდომე, მულუნგუი (მბანანგოიე 46), ნზენგი, მუიუმა, ამეგასე, ენდო, ოგანდაგა, ნჟიგუ (ნსი აკუე 51), მვიე ნგუემა, ნზუე ნგუემა, კუსინი (ანტშტოტი 68)

ალჟირი: ბენაბდელაში, მამუნი, ბენშალმატი, არმუში, მეფტაში, კრაუში (შადუ 65), ჯირი, ჯაზი (საიფი 77), საიბი, ტასფაუ, მუსუნი (მეზუარი 65)

გაძევება: ენდო (26)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამ. აფრიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ალჟირი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| კონგოს დრ | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| გაბონი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

*III ტური. 2 თებერვალი. სამხრეთ აფრიკა — ალჟირი; გაბონი — კონგოს დრ*

### C ჯგუფი

**ეგვიპტე 1:0 სენეგალი**

1:0 ჰ. ჰასანი (39)

ეგვიპტე: ნ. ელ საიედი, ი. ჰასანი, ომარა, ელ საკა, რადვანი, ტ. საიდი (ჰ. რამზი 71), ი. საიდი, ხაშაბა, აბდელაზიზი, ჰ. ჰასანი, ჰოსნი (ფარუკი 28, იმამი 80)

სენეგალი: დიალო, დაფი, მალიკ დიოპი, ა. ნდიაე, ნიოხორ ფალი, სიდიბა, ა. კამარა, უსმან დიოპი (მ. ნდიაე 78), სარი (უ. ტრაორე 72), ფადიგა, ფაიე (კეიტა 62)

**ზამბია 1:1 ბურკინა ფასო**

1:0 ლოტა (16), 1:1 უედრაოგო (90)

ზამბია: პირი, ლიტანა, სიჩონე, ტანა, ჩილემბი, მვანზა, ბვალია, ტემბო, სინკალა, მაკუფი (მუტაპა 88), ლოტა (ნუმბა 72)

ბურკინა ფასო: სულამა, სანოგო, დოსამა, კორბეოგო, ლიანდე გნოკა (ბ. ტრაორე 28), უ. ტრაორე, კუნდუ, ფალი, კერე, სანუ (ბარო 73), ზონგო

გაძევება: ლიტანა (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეგვიპტე | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| სენეგალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ბურკინა ფასო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ზამბია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

*III ტური. 1 თებერვალი. ეგვიპტე — ბურკინა ფასო; ზამბია — სენეგალი*

### D ჯგუფი

**ნიგერია 0:0 კონგო**

ნიგერია: შორუნმუ, ოკუნოვო, ბაბაიარო, იენემი, ვესტი, ოლისე, ფინიდი, ლავალი (ბაბანგიდა 56), ოკოჩა, იკპება (აკვუეგბუ 61), კანუ

კონგო: სამბა, დიამესო, ოპონგა, სერვისი, ტჩიმბაკალა, ნკეუა, მუიმბუაბეკა, ბოკატოლა-ლოსომბო (ემბინგუ 82), გუიე მიენი (მაკაია 35), ევოლო, იუნგა მუნანი

**მაროკო 0:0 ტუნისი**

მაროკო: ფუამი, საბერი, ელ ჰადრიუ, ნაიბეტი, ელ ხალეჯი, ჰაჯი (კაჩლული 88), ჩიბა, ა. რამზი (ბასირი 67), ჩიპო (ბენმაჰმუდი 11), ჰადა, სელამი

ტუნისი: ელ ქუარი, ბადრა, ტრაბელსი, ჯაიდი, ტაბეტი (კანზარი 72), ბაია, ჩიჰი, გაბსი, სელიმი, ჯაზირი (ზიტუნი 80), აზაიეზი (ბუკადიდა 81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| მაროკო | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| კონგო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ტუნისი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |

*III ტური. 3 თებერვალი. ნიგერია — მაროკო; ტუნისი — კონგო*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შონ ბარტლეტი (ს. აფრიკა) | 3 |
| ვიქტორ იკპება (ნიგერია) | 2 |
| აუგუსტინ ოკოჩა (ნიგერია) | 2 |
| კვამე აევუ (განა) | 2 |
| ჰოსამ ჰასანი (ეგვიპტე) | 2 |



REUTERS ფოტოქრონიკიდან

მაროკო — ტუნისი 0:0. მაროკოელთა მეკარემ ხალიდ ფუამმა მეტოქეს ბურთი არ დაანება

GhanaNigeria2000

# აფრიკის თასი

22იანვარი13თებერვალი

**გათამაშების** მეორე წრის მატჩებიც დასრულდა. ორმა ნაკრებმა — სამხრეთ აფრიკამ და ეგვიპტემ მეოთხედფინალის საგზურები უკვე გაინაღდეს და მესამე ტური მათთვის მხოლოდ ფორმალობაღაა. იგივე ითქმის გაბონზეც, იმ განსხვავებით, რომ გაბონელებს მეოთხედფინალში გასვლის არანაირი შანსი აღარ აქვთ. დანარჩენთა ბედს კი სწორედ მესამე ტური გაარკვევს.

A ჯგუფში კამერუნმა კოტ დივუარი დაამარცხა და ბურთების უკეთესი სხვაობით განას გადაასწრო. ყველაზე ცნობილ კამერუნელს, როჟე მილას უთქვამს, დარწმუნებული ვარ, ჩვენები ფინალში გააღწევენო. მესამე ტურში კამერუნელები ტოგოს ხვდებიან, განა — კოტ დივუარს. თუ რაიმე სენსაცია არ მოხდა, ჯგუფში გუნდების განლაგება არ უნდა შეიცვალოს. განას და კამერუნს მეოთხედფინალში გასასვლელად ფრეც ჰყოფნით.

B ჯგუფში გაბონმა, მეორე შეხვედრაც 1:3 წააგო. პირველი გაშვებული გოლი გაბონელთა მეკარის, გერმან მენდომეს სინდისზეა, რომელმაც უბრალო შეცდომა დაუშვა და ფარიდ ჯაზის ანგარიშის გახსნის საშუალება მისცა. ალჟირელებმა ტაიმის მიწურულს მეორეც შეაგდეს — აბდულჰაფიდ ტასფაუმ მეტად მახვილი კუთხიდან დალაშქრა მეტოქის კარი. შესვენების შემდეგ გუნდებმა ერთმანეთს თითო გოლი გაუტანეს და მატჩიც ასე დასრულდა. მესამე ტურში ალჟირი სამხრეთ აფრიკას ხვდება. როგორც ვთქვით, სამხრეთელებს ჯგუფიდან გასვლა განაღდებული აქვთ, ალჟირელებს კი ჰაერივით სჭირდებათ ერთი ქულა მაინც. ამ შემთხვევაში დემოკრატ კონგოელთა გაბონელებთან მატჩი ფორმალობადღა იქცევა. სხვაგვარადაც შეიძლება მოხდეს. თუ სამხრეთაფრიკელები პრინციპულობას გამოიჩენენ და შეხვედრას მოიგებენ, ხოლო კონგო გაბონს სძლევს, ჯგუფიდან მეორე გამსვლელი ადგილის ბინადარს ბურთების უკეთესი შეფარდება გაარკვევს.

C ჯგუფში სასეირო რამ მოხდა. ეგვიპტე — სენეგალის მატჩის დროს მინდორზე საიდანღაც მეორე ბურთი გაჩნდა. ამ ამბავს დიდი გამოხმაურება არ მოჰყვებოდა, ეგვიპტელებს ერთადერთი გოლი სწორედ იმ მომენტში რომ არ შეეგდოთ. სენეგალელებმა მსაჯს მეორე ბურთისკენ მიუთითეს, მაგრამ არბიტრი შეუვალი აღმოჩნდა. არც მატჩის შედეგის გაპროტესტებამ შეცვალა სიტუაცია. ვერდიქტი ასეთი იყო — მართალია, მოედანზე ორი ბურთი არ უნდა იყოს, მაგრამ ზედმეტ ბურთს გატანილ გოლზე ზეგავლენა არ მოუხდენია და შედეგი არ უქმდებაო. ამავე ჯგუფში ზამბია — ბურკინა ფასოს შეხვედრა ყოველმხრივ ბინძური იყო. მატჩის მსვლელობისას ოთხმა ზამბიელმა ყვითელი ბარათი მიიღო, ხოლო ელიაჰ ლიტანა სულაც მინდვრიდან მიაბრძანეს. ამას საჰარიდან მონაბერი ქარიც დაერთო, რამაც სტადიონზე მტვრის კორიანტელი დააყენა და ხალხს თვალები ქვიშით ამოუვსო. ზამბიელებმა ანგარიში მე-16 წუთზე გახსნეს. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს დენის ლოტა შესწვდა და მეტოქის კარში გაგზავნა. ზამბიას ნანატრ გამარჯვებამდე მხოლოდ ერთი წუთი უკლდა, როდესაც ბურკინაფასოელებმა გაქვითვა მოახერხეს და მეოთხედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნეს. მესამე ტურის წინ ჯგუფში მხოლოდ ეგვიპტის ადგილია გარკვეული. ბურკინაფასოელები იმედოვნებენ, რომ ამჟამინდელი ჩემპიონები ძალებს დაზოგავენ, რაც ბურკინელ „ულაყებს" გამარჯვების შანსს მისცემს. თუმცა მათი მცდელობა იქნებ ამაოც გამოდგეს, თუ სენეგალი ზამბიას დაამარცხებს.

რა განსხვავებაა კონგოსა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის? საფეხბურთო თვალსაზრისით, ალბათ, არანაირი. ორივე გუნდს აბსოლუტურად ერთნაირი შედეგი (მათ შორის ბურთების შეფარდებაც) აქვს. თუმცა ერთი რამ მაინც შეინიშნება. ტურნირის დაწყების წინ კონგოელებს, დემოკრატ თანამოძმეთაგან განსხვავებით, სათვალავში არავინ აგდებდა. „წითელმა ეშმაკებმა" კი საყოველთაო სიმპათია დაიმსახურეს. მათ ჯერ მაროკოსთან იწვნიეს დასანანი მარცხი, თუმცა მატჩის მსვლელობისას დიდ უპირატესობას ფლობდნენ, ახლა კი ფავორიტ ნიგერიასთან უგოლო ფრე გააზერხეს. ასეთმა შედეგმა ნიგერელი გულშემატკივრები ალაშფოთა. ნიგერიელებს კიდევ გაუმართლოთ, რომ მათი მთავარი კონკურენტი მაროკო ტუნისთან შეხვედრაში ასევე ნულოვან ფრეს დასჯერდა, თორემ რისხვა მაშინ უნდა გენახათ. ნიგერია და მაროკო მესამე ტურში ერთმანეთს ხვდებიან. თუ მატჩი ფრედ დასრულდება, მეოთხედფინალის საგზურს ორივე მათგანი მოიპოვებს. იმედგადაწურულნი არც კონგოელი და ტუნისელი ფეხბურთელები არიან და ყველა აფრიკულ სალოცავს ევედრებიან, ნიგერია — მაროკოს მატჩი ფრედ არ დამთავრდეს და მათი შეხვედრა მხოლოდ ოქმში დასაფიქსირებლად არ აქციოს.

**გიორგი დარჯანია**



**ბულგარული** სოფიის ცსკა-ს ნახევარმცველმა მილენ პეტკოვმა ბერძნულ აეკ-თან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 26 წლის ფეხბურთელის შეძენას გასული წლის ივნისში შოტლანდიური „სელტიკიც" ცდილობდა, მაგრამ მოლაპარაკებები რატომღაც შეწყდა. პეტკოვი ათენს 1 თებერვალს ეწვევა. ბერძნულმა კლუბმა ფეხბურთელში 800 ათასი დოლარი გადაიხადა. აეკი საბერძნეთის ჩემპიონატში ამჟამად მე-5 ადგილზეა და ლიდერ „ოლიმპიაკოსს" 17 ქულით ჩამორჩება.

**ინგლისურ** „სანდერლენდს" ბრაზილიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელის ბებეტოს შეძენა ს სს. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ბებეტომ უკანასკნელი თვრამეტი თვე ერთ-ერთ მექსიკურ კლუბში გაატარა. შესაძლოა, იგი სულ მალე პრემიერლიგაში გადაბარგდეს. „სანდერლენდმა" 33 წლის ფეხბურთელს ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. მოლაპარაკებები კვლავაც მიმდინარეობს. შეგახსენებთ, რომ ბებეტო ევროპაში ადრეც ასპარეზობდა. ერთხანს იგი ესპანეთის ჩემპიონატის ამჟამინდელი ლიდერის, „დეპორტივოს" ღირსებას იცავდა.

**არგენტინულმა** „ბოკა ხუნიორსმა" იტალიური „მილანიდან" ბრაზილიელი ნახევარმცველის, ლეონარდოს გადაბირება მოისურვა, რაზეც იტალიის ჩემპიონმა არგენტინელებს უარი შეუთვალა. „მილანის" განცხადებით, ლეონარდო იტალიაში მინიმუმ სეზონის ბოლომდე დარჩება და გუნდს წარმატების მიღწევაში დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ არგენტინის ჩემპიონატის მეორე ეტაპი ორ კვირაში დაიწყება.

**იტალიური** „პარმა" მზად იყო, არგენტინის ნაკრებისა და რომის „ლაციოს" ნახევარმცველ დიეგო სიმეონეს სანაცვლოდ 9 მილიონი გირვანქა გაეღო, მაგრამ ეს წინადადება თავად ფეხბურთელმა უარყო. არგენტინელი „ლაციოში" მიმდინარე სეზონის დასაწყისში მილანის „ინტერიდან" გადავიდა, თუმც მძლავრი კონკურენციის გამო ძირითად შემადგენლობაში ყოველთვის ვერ ხვდება. გუნდის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ვარჯიშის დროს სიმეონეს თანაგუნდელ ფერნანდო კოუტუსთან შელაპარაკება მოუხდა, რის შემდეგაც კლუბიდან მის შესაძლო წასვლაზე ალაპარაკდნენ. „პარმას" კი გასულ კვირაში ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი, ალენ ბოგოსიანი გამოაკლდა, ფეხბურთელმა მძიმე ტრავმა მიიღო და კარგა ხანს ველარ ითამაშებს. დიეგო სიმეონეს „პარმაში" გადასვლაზე საუბარი სწორედ მას შემდეგ დაიწყო.

**ინგლისის** პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ვესტ ბრომვიჩის" იტალიელი ნახევარმცველი ენცო მარესკა ტურინის „იუვენტუსმა" 4 მილიონ გირვანქად შეიძინა. „ვესტ ბრომვიჩმა" მარესკა ორი წლის წინ „კალირიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით უფასოდ გადაიბირა და ახლა ფეხბურთელის „იუვენტუსში" გაყიდვით საკმაოდ დიდი მოგება მიიღო. კლუბის პრესატაშის ცნობით, თანხის დიდი ნაწილი ინგლისის მეორე და მესამე დივიზიონის გუნდებიდან ახალგაზრდა მოთამაშეების შეძენას მოხმარდება.

**ბერძნულ** აეკ-ს იტალიის სერია B-ში მოასპარეზე „ვიჩენციდან" მცველ დავიდე ბელოტის შეძენა სურს. ოფიციალური მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. ბერძნული კლუბი „ვიჩენცას" 1 მილიონ გირვანქას სთავაზობს. ფეხბურთელი ახალ კლუბს ალბათ მომავალი სეზონიდან შეუერთდება. შეგახსენებთ, რომ „ვიჩენცა" სერია A-დან B-ში შარშან დაქვეითდა.

**ისრაელის** ჩემპიონატი. 22-ე ტური: მაკაბი (ჰაიფა) — მაკაბი (ნეთანია) 1:1; ჰაპოელი (თელ ავივი) — აშდოდი 4:2; ჰაპოელი (ფეთაჰ თიკვა) — ჰაპოელი (ჰაიფა) 0:2; ირონი — ბეითარი 1:4; ჰაპოელი (ქვარ სავა) — მაკაბი (ჰერცლია) 0:0; ჰაპოელი (იერუსალიმი) — მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) გადაიდო; ბნეი იეჰუდა — მაკაბი (თელ ავივი) წუხელ გვიან გაიმართა ჩემპიონატს 54 ქულით თელ ავივის „ჰაპოელი" ლიდერობს, მეორეა ჰაიფას „მაკაბი" — 53 ქულა, მესამე — ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელი" — 44 ქულა

**კვიპროსის ჩემპიონატი.** მე-16 ტური: ანართოსისი — აელ 6:1; ანაგენისისი — ომონია 0:7; აპოელი — ალკი 6:0; აეკ — ოლიმპიაკოსი 3:1; აპოლონი — ნეა სალამინა 2:1; ეთნიკოსი (აშა) — აპოპი 1:2; ეთნიკოსი (აშნა) — ენოსისი 3:1 ჩემპიონატს 46 ქულით ფამაგუსტას „ანართოსისი" ლიდერობს, მეორეა ნიქოზიის „ომონია" — 41 ქულა, მესამე — ნიქოზიის „აპოელი" — 33 ქულა.

### ჩრდილოეთის ტურნირი

I ტური

**ფარერები 0:1 ფინეთი**

0:1 სუმიალა (57)

**დანია 0:1 შვედეთი**

0:1 ალბაკი (22)

**ნორვეგია 0:0 ისლანდია**

### საფრანგეთი

ლიგის თასის მერვედფინალი

**მონაკო 2:3დ.დ. (1:1) სტრასბური**

0:1 ბერტინი (30), 1:1 პრსო (90), 1:2 გარაი (107), 2:2 ჟული (111), 2:3 გარაი (119)

**სენტ ეტიენი 1:3 რედ სტარი**

0:1 ობინა (37), 0:2 ფელაჰი (44), 1:2 პედრონი (56), 1:3 მილტონი (72)

**ბოვე 0:1დ.დ. (0:0) სედანი**

0:1 დი როკო (93)

**შატორუ 0:1 პსჟ**

0:1 დიავარა (83)

**გენიონი 1:0 ტულუზი**

1:0 როდა (29)

**ლიონი 1:0 ბორდო**

1:0 ვერელი (31)

**ბასტია 1:0 მონპელიე**

1:0 იურიეტი (30)

**ნანსი — სოშო**

გადაიდო

### საბერძნეთი

მე-17 ტური. ოფი — არისი 2:1; პაოკ — ტრიკალა 2:0; ქსანტი — იონიკოსი 2:1; პანათინაიკოსი — კავალა 3:0; პანაჰაიკი — ოლიმპიაკოსი 0:2; ეთნიკოსი — აპოლონი 3:1; პრუდეფტიკი — პანილიაკოსი 1:1; ირაკლისი — პანიონიოსი 1:2; კალამატა — აეკ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 17 | 15 | 0 | 2 | 48:14 | 45 |
| პანათინაიკოსი | 17 | 14 | 2 | 1 | 45:12 | 44 |
| ოფი | 17 | 12 | 3 | 2 | 31:18 | 39 |
| ირაკლისი | 17 | 9 | 2 | 6 | 31:25 | 29 |
| აეკ | 17 | 8 | 4 | 5 | 32:22 | 28 |
| პანიონიოსი | 17 | 9 | 1 | 7 | 30:33 | 28 |
| პაოკ | 17 | 7 | 6 | 4 | 29:21 | 27 |
| არისი | 17 | 7 | 5 | 5 | 24:19 | 26 |
| პანილიაკოსი | 17 | 6 | 4 | 7 | 21:19 | 22 |
| ქსანტი | 17 | 5 | 6 | 6 | 18:21 | 21 |
| ეთნიკოსი | 17 | 6 | 2 | 9 | 16:24 | 20 |
| იონიკოსი | 17 | 3 | 8 | 6 | 16:23 | 17 |
| პანაჰაიკი | 17 | 4 | 4 | 9 | 16:25 | 16 |
| კალამატა | 17 | 3 | 5 | 9 | 16:35 | 14 |
| პრუდეფტიკი | 17 | 3 | 4 | 10 | 10:23 | 13 |
| კავალა | 17 | 3 | 4 | 10 | 16:31 | 13 |
| ტრიკალა | 17 | 3 | 3 | 11 | 12:32 | 12 |
| აპოლონი | 17 | 2 | 5 | 10 | 12:26 | 11 |



დიეგო მარადონა

# ბლატერი ძალიან წუხს

ფიფას პრეზიდენტმა, იოზეფ ბლატერმა კუბაში ნარკომანიისგან მომკურნალე დიეგო მარადონაზე განაცხადა, მის დასახმარებლად მზად ვართო.

„იგი დიდი ფეხბურთელი იყო, თუმცა საქმე მხოლოდ ეს როდია, თუ კაცს დახმარება სჭირდება, უნდა დაეხმარო. ჩვენ გვსურს ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი, მაგრამ, ბუნებრივია, ეს მისი ნებართვით უნდა მოხდეს" — ბრძანა პრეზიდენტმა საფრანგეთის ტელევიზიასთან საუბრისას.

„ზოგიერთი გვადანაშაულებს, რომ მხარდაჭერის სერიალის გარდა თითი თითზე არ დაგვიკრავს" — დასძინა მან — „ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ პირადად ძალიან შეწუხებული ვარ მარადონას ბედით, რომელსაც 1979 წელს იაპონიაში გამართული იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ვიცნობ".

# მოძმე რუმინეთის ამბები

რუმინეთში, ამ ჩვეულებრივ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში, ჩვეულებრივი პოსტსოციალისტური ამბები ხდება. კერძოდ: პირველი დივიზიონის აუტსაიდერის, კრაიოვას „ექსტენსივის" ფეხბურთელები კვირას სავარჯიშოდ არ გავიდნენ — გაიფიცნენ. მიზეზი ისეთი გახლავთ, საქართველოში ვერავის რომ გააკვირვებ — ხელფასების გადაუხდელობა.

„მოთამაშეები ამბობენ, რომ ექვსი თვეა, ხელფასი არ მიუღიათ" — თქვა გუნდის მწვრთნელმა სირინ კირტუმ.

გაფიცვა იმ დღეს დაემთხვა, როდესაც „ექსტენსივს" იტალიისკენ უნდა აელო გეზი. იქ, ქალაქ ნორჩიაში ტურნირი იმართება, რომელშიც რუმინეთისავე „ნაციონალ ბუქარესტი", პოლონეთის „ზაგლებე" და ბულგარული „ლიტექსი" მონაწილეობენ.

ხელფასების გადაუხდელობა რუმინეთში ჩვეული ამბავია. შარშან, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას უამრავი მოთამაშის კონტრაქტის გაუქმება მოუხდა. მათ კლუბები ჯამაგირს ვერ აძლევდნენ.

ჩვეულებრივი პოსტსოციალისტური ამბავი გახლავთ ფეხბურთელის საზღვარგარეთ გაყიდვაც.

ამჯერად იტალიაში ბუქარესტის „დინამოს" 19 წლის ნაკრებში უთამაშებელი. თავდამსხმელი, მარიუს ნიკულაე გაიყიდა. იგი შეიძინა სერია A-ს კლუბმა „ლეჩემ", რომელმაც დინამოელებს 3 მილიონი დოლარი გადაუხადა. ნიკულაე ლეჩეში აგვისტოში გადაბარგდება.

ამრიგად, მომავალი სეზონიდან სერია A-ში ბუქარესტის „დინამოს" ორი ყოფილი ფეხბურთელი ითამაშებს, ნიკულაე და ადრიან მუტუ. მუტუ გასულ თვეში „ინტერმა" შეიძინა.

საინტერესო ბედი ეწია მსაჯ ადრიან პორუმბოიუს — იგი ფედერაციამ დასაჯა, რადგან განაცხადა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი მექრთამეობას ხელს უწყობსო.

„პორუმბოიუ მანამდე მოვხსენით, სანამ რაიმეს იტყოდა" — თქვა პრეზიდენტმა მირჩა სანდუმ ერთ-ერთი კერძო არხით გამოსვლისას.

„სანდუმ ქრთამის ამბები ძალიან კარგად იცის" — არ დაცხრა პორუმბოიუ — „ის ვერც კი უარყოფს ამას"

გასულ წელს იგივე მსაჯი და მისი კოლეგა იონ კრუჩუნესკუ, ზუსტად იმავე მიზეზით გახლდნენ დასჯილები.

ცუდი მსაჯობით უკმაყოფილო ბუქარესტის „როკარმა", გასულ სეზონშივე, ერთ-ერთ შეხვედრაში, სათადარიგო შემადგენლობა ათამაშა.

# როგორ აღმოვფხვრათ ფაშიზმი?

რომის „ლაციოს" უკანასკნელი საშინაო შეხვედრის დროს „სტადიო ოლიმპიკოზე" შეკრებილმა ექსტრავაგანტურმა ფანებმა იხულიგნეს. დირექციას პოლიციის გამოძახება დასჭირდა.

ფანებმა ტრიბუნებზე ცნობილი ფაშისტი დიქტატორის, ბენიტო მუსოლინის დიდი პლაკატი გამოფინეს, რომელსაც გვერდს შემდეგი წარწერა უმშვენებდა: „ვეფხი არკანის პატივსაცემად". არკანის გარდაცვალების შესახებ „სარბიელის" ერთ-ერთ წინა ნომერში გაცნობეთ. მხოლოდ შეგახსენებთ, რომ მისი ნამდვილი სახელი ჟელკო საჟნიატოვიჩია. იგი ერთ-ერთი სერბიული სამხედრო დაჯგუფების ლიდერი, ხოლო 70-80-იან წლებში საფეხბურთო კლუბ „ცრვენა ზვეზდას" პრეზიდენტი გახლდათ. ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა არკანი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ სასტიკ დანაშაულში ამხილა — მას 1992-95 წლებში ბოსნიის წინააღმდეგ წარმოებულ ომში გენოციდის მოწყობა დაედო ბრალად, ხოლო მიმდინარე წლის იანვრის დასაწყისში არკანი ბელგრადის ერთ-ერთ სასტუმროში იპოვეს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული.

„ლაციოს" ზოგიერთ ფანს კი, როგორც ირკვევა, რასიზმ-ფაშიზმის იდეოლოგია ამოძრავებს. რომაული გუნდის საშინაო შეხვედრების დროს ფაშისტური სიმბოლები ტრიბუნებზე საკმაოდ ხშირად ფიგურირებს.

განსაკუთრებული ყურადღება ამას ყოველთვის ექცეოდა, ახლა კი პოლიციის ღრმა განსჯის საგანიც გახდა, რადგან, როგორც ცნობილია, იტალიაში რასისტული სიმბოლოების დეკლარირება კანონით არის აკრძალული.

რომის მერი ფრანკო სენსი აცხადებს, რომ ფაშისტური დაჯგუფებები ცდილობენ, ყურადღება მიიპყრონ და მასობრივ დებოშებსაც ამიტომ აწყობენ. მერმა აქვე დაამატა, რომ ჯერჯერობით ყოველგვარი კომენტარისგან თავს შეიკავებს და პოლიციის საბოლოო ვერდიქტს დაელოდება.

იგი სამართალდამცავებს გაცილებით რადიკალური ნაბიჯებისკენ მოუწოდებს, თუმც აქვე აღნიშნავს, რომ საკმაო სიფრთხილეა საჭირო, რადგან მდგომარეობის დაძაბვა მხოლოდ უარეს შედეგს მოიტანს.

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 001 | უენსდი-მანჩესტერი | 6,0 | 3,5 | 1,45 |
| | ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები | | | |
| | 1 თებერვალი | | | |
| 002 | სკანთორპი-რექსემი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 003 | ოქსფორდი-პრესტონი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 004 | ჩესტერფილდი-ჯილინგემი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩი | | | |
| | 1 თებერვალი | | | |
| 005 | მენსფილდი-ბრაიტონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | საფრანგეთი. I დივიზიონი. 24-ე ტური | | | |
| | 1 თებერვალი | | | |
| 006 | ოსერი-ბორდო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 007 | მონაკო-პსჟ | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 2 თებერვალი | | | |
| 008 | მარსელი-რენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 009 | ნანსი-ტრუა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 010 | სენტ ეტიენი-ლანსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 011 | სედანი-მონპელიე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 012 | სტრასბური-ლიონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 013 | ნანტი-მეცი | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 014 | ლე ავრი-ბასტია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | საფრანგეთი. II დივიზიონი. 25-ე ტური | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 015 | ლილი-ტულუზი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 016 | ლორიანი-ლე მანი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 017 | ვალანსი-კაენი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 018 | კანი-კრეტეი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 019 | ლავალი-აიაჩო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 020 | ამიენი-ლუანი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 021 | გინგამი-შატორუ | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 022 | სოშო-ვასკალი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 023 | ნიმი-ნიცა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 024 | გენიონი-ნიორი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ჰოლანდია | | | |
| | 1 თებერვალი | | | |
| 025 | მაასტრიხტი-როდა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 2 თებერვალი | | | |
| 026 | ტვენტე-ალკმაარი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 027 | კამბური-ნაიმეგენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 028 | ჰერენვენი-აიაქსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 029 | ვიტესი-გრააფსხაპი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 030 | ვიტესი-დენ ბოსხი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 031 | ვალვაიკი-ტილბურგი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 3 თებერვალი | | | |
| 032 | პსვ-ფეიენოორდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | თურქეთი. გადადებული მატჩი | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 033 | ვანი-გიოზთეფე (14[00]) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | შოტლანდია. გადადებული მატჩი | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 034 | დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| | ინგლისი. ლიგის თასი | | | |
| | 1 თებერვალი | | | |
| 035 | ლესტერი-ასტონ ვილა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ესპანეთი. თასის 1/8 ფინალი. II მატჩები | | | |
| | 1 თებერვალი | | | |
| 036 | ვილიარეალი-კომპოსტელა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 037 | სელტა-ესპანიოლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 2 თებერვალი | | | |
| 038 | რაიო ვალეკანო-ლეიდა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 039 | ოვიედო-მერიდა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 040 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 041 | ბარსელონა-ორენსე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 042 | ატლეტიკო-უნიონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 3 თებერვალი | | | |
| 043 | რეალი-სარაგოსა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | პორტუგალია. თასი. გადათამაშება | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 044 | ნავალი-რიუ ავე | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | ბელგია. თასი | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 045 | აალსტი-ბეერსხოტი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | ბელგია. ლიგის თასის 1/4 ფინალი | | | |
| | 1 თებერვალი | | | |
| 046 | ჰარელბეკე-ანდერლეხტი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | თურქეთი. თასის 1/4 ფინალი | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 047 | ანკარა-ნაზილი (15[00]) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 048 | ანთალია-დარდანელი (15[00]) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 049 | ბურსა-გაზიანთეფი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 050 | ტრაბზონი-გალათასარაი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შოტლანდია. ლიგის თასის 1/4 ფინალი | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 051 | კილმარნოკი-ჰართსი | 2.4 | 2.8 | 2.7 |
| | აფრიკის თასი | | | |
| | 1 თებერვალი | | | |
| 501 | ეგვიპტე-ბურკინა ფასო | 1,6 | 3.6 | 4.0 |
| 502 | ზამბია-სენეგალი | 2.8 | 2.9 | 2.3 |
| | 2 თებერვალი | | | |
| 503 | ს.აფრიკა-ალჟირი | 1.7 | 2.8 | 5.3 |
| 504 | დრ კონგო-გაბონი | 1,5 | 3,4 | 5.6 |
| | 3 თებერვალი | | | |
| 505 | ნიგერია-მაროკო | 1,7 | 2.8 | 5.3 |
| 506 | ტუნისი-კონგო | 1,5 | 3.4 | 5.6 |
| | კალათბურთი | | | |
| | 1 თებერვალი | | | |
| 801 | ნიუ იორკი-ორლანდო | 1,25 | 12.0 | 3.1 |
| 802 | კლივლენდი-ვაშინგტონი | 1,2 | 12.0 | 3.5 |
| 803 | ინდიანა-ბოსტონი | 1,1 | 12,0 | 5.0 |
| 804 | დალასი-ფილადელფია | 1.8 | 12,0 | 1.6 |
| 805 | ჰიუსტონი-შარლოტი | 1.7 | 12.0 | 1.7 |
| 806 | სან ანტონიო-ლეიკერსი | 1.7 | 12.0 | 1.7 |
| 807 | იუტა-სიეტლი | 1.35 | 12.0 | 2.5 |
| 808 | კლიპერსი-გოლდენ სტეიტი | 1,35 | 12.0 | 2.5 |
| 809 | პორტლენდი-ჩიკაგო | 1,05 | 12.0 | 7.5 |
| | 2 თებერვალი | | | |
| 810 | ბოსტონი-მაიამი | 1.7 | 12.0 | 1.7 |
| 811 | ნიუ ჯერსი-ატლანტა | 1.4 | 12.0 | 2.3 |
| 812 | ვაშინგტონი-მინესოტა | 2,3 | 12.0 | 1.4 |
| 813 | დეტროიტი-საკრამენტო | 1.7 | 12.0 | 1.7 |
| 814 | დენვერი-მილუოკი | 1.7 | 12.0 | 1.7 |
| 815 | ფინიქსი-კლივლენდი | 1.2 | 12.0 | 3.5 |
| 816 | გოლდენ სტეიტი-ვანკუვერი | 1.6 | 12.0 | 1.8 |
| 817 | სიეტლი-ჩიკაგო | 1.1 | 12.0 | 5.0 |
| | 3 თებერვალი | | | |
| 818 | ნიუ იორკი-პორტლენდი | 1.7 | 12.0 | 1.7 |
| 819 | დალასი-შარლოტი | 1.7 | 12.0 | 1.7 |
| 820 | ჰიუსტონი-ფილადელფია | 1.7 | 12.0 | 1.7 |
| 821 | სან ანტონიო-ტორონტო | 1.2 | 12.0 | 3.5 |
| 822 | იუტა-მილუოკი | 1.2 | 12.0 | 3.5 |
| | კალათბურთი. ევროლიგა | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 823 | ფორტიტუდო-ულქერი | 1.4 | 12.0 | 2.3 |
| 824 | ვილერბანი-პო ორტეზი | 1,2 | 12.0 | 2.5 |
| | 3 თებერვალი | | | |
| 825 | ბარსელონა-ჟალგირისი | 1.15 | 12.0 | 4.0 |
| 826 | ცსკა-თოფაში | 1.4 | 12.0 | 2.3 |
| 827 | ბენეტონი-ალბა | 1.3 | 12.0 | 2.8 |
| 828 | პანათინაიკოსი-ცრ.ზვეზდა | 1.1 | 12.0 | 5.0 |
| 829 | ოლიმპია-შოლე | 1.15 | 12.0 | 4.0 |
| 830 | რეალი-პაოკ | 1.35 | 12.0 | 2.5 |
| 831 | ოლიმპიაკოსი-კახა ს.ფ. | 1.2 | 12.0 | 2.8 |
| 832 | მაკაბი-ბუდუჩნოსტი | 1.35 | 12.0 | 2.5 |
| 833 | ეფესი-პივოვარნა | 1.1 | 12.0 | 5.0 |
| 834 | ციბონა-ვარეზე | 1.4 | 12.0 | 2.3 |
| | ჰოკეი | | | |
| | 1 თებერვალი | | | |
| 835 | ბუფალო-ანაჰაიმი | 1.8 | 4.4 | 2.2 |
| 836 | ოტავა-ბოსტონი | 1.7 | 4.4 | 2.4 |
| 837 | პიტსბურგი-ვაშინგტონი | 1.8 | 4.4 | 2.2 |
| 838 | კაროლინა-ფლორიდა | 2.0 | 4.4 | 2.0 |
| 839 | ტამპა ბეი-ტორონტო | 2.2 | 4.4 | 1.8 |
| 840 | კოლორადო-ვანკუვერი | 1.6 | 4.4 | 2.7 |
| 841 | კალგარი-სენტ ლუისი | 2.1 | 4.4 | 1.9 |
| 842 | სან ხოსე-ფინიქსი | 2.0 | 4.4 | 2.0 |
| | 2 თებერვალი | | | |
| 843 | აილენდერსი-ნეშვილი | 2.0 | 4.4 | 2.0 |
| 844 | რეინჯერსი-ნიუ ჯერსი | 2.0 | 4.4 | 2.0 |
| 845 | ფლორიდა-მონრეალი | 1.5 | 4.4 | 3.0 |
| 846 | დალასი-ატლანტა | 1.3 | 4.4 | 4.0 |
| 847 | ედმონტონი-ჩიკაგო | 1.6 | 4.4 | 2.7 |
| | 3 თებერვალი | | | |
| 848 | ბოსტონი-ტორონტო | 2.0 | 4.4 | 2.0 |
| 849 | ბუფალო-ოტავა | 2.0 | 4.4 | 2.0 |
| 850 | ვაშინგტონი-კაროლინა | 1.5 | 4.4 | 3.0 |
| 851 | ნიუ ჯერსი-ნეშვილი | 1.4 | 4.4 | 3.4 |
| 852 | ფილადელფია-ანაჰაიმი | 1.5 | 4.4 | 3.0 |
| 853 | პიტსბურგი-აილენდერსი | 1.4 | 4.4 | 3.4 |
| 854 | ატლანტა-რეინჯერსი | 2.4 | 4.4 | 1.7 |
| 855 | ტამპა ბეი-მონრეალი | 2.0 | 4.4 | 2.0 |
| 856 | კოლორადო-სან ხოსე | 1.6 | 4.4 | 2.7 |
| 857 | კალგარი-ჩიკაგო | 1.6 | 4.4 | 2.7 |
| 858 | ვანკუვერი-სენტ ლუისი | 2.2 | 4.4 | 1.8 |
| 859 | ფინიქსი-დალასი | 1.8 | 4.4 | 2.2 |
| 860 | ლოს ანჯელესი-დეტროიტი | 2.0 | 4.4 | 2.0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# შენ ყველაზე მაგარი ხარ!



REUTERS მელბურნიდან

## ლინდსი დევენპორტი

23 წლის, სიმაღლე 1,89 მ, წონა 79 კგ

მემარჯვენე, ცხოვრობს ნიუპორტ ბიჩში, კალიფორნია

ტიტულები: 26 (3 დიდი სლემი)

ლინდსი დევენპორტი — მარტინა ჰინგისი 6:1, 7:5

| | დევენპორტი | ჰინგისი |
|---|---|---|
| I მოწოდების % | 58 | 69 |
| ეისები | 4 | 1 |
| ორმაგი შეცდომები | 3 | 2 |
| I მოწოდებაზე მოგებული ქულების % | 70 | 50 |
| II მოწოდებაზე მოგებული ქულების % | 64 | 37 |
| უნებლიე შეცდომები | 23 | 23 |
| სუფთად მოგებული ქულები | 26 | 11 |
| ბრეიკ-პოინტების გამოყენება | 6/9-დან | 2/5-დან |
| ბადესთან მოგებული ქულები | 11/16-დან | 5/12-დან |
| სულ მოგებული ქულები | 68 | 45 |

*დრო: 1 საათი და 5 წუთი*

**ქალები. ფინალი: ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) 6:1, 7:5**

**პირადი შეხვედრების ანგარიში აქამდე: 9:7 დევენპორტის სასარგებლოდ**

მარტინა ჰინგისი ისევ ყველაზე ჭკვიან და ტექნიკური ქალ ჩოგბურთელად რჩება WTA ტურზე, მაგრამ დიდი სლემის ტურნირების მოსაგებად ეს უკვე საკმარისი აღარ არის. როგორც ბოლო ერთმა წელმა უჩვენა, მომავალი ხერხს კი არა, ღონეს ეკუთვნის.

„მე და ლინდსი დაახლოებით ერთნაირ სტილში ვთამაშობთ, ოღონდ ის ჩემზე მაღალია, ძლიერი... მე მას სისწრაფეში კი ვჯობნი, მაგრამ ამისგან რა ხეირი“ — დაიჩივლა ფინალის შემდეგ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, რომელსაც სულ უფრო უჭირს ქალთა ჩოგბურთის შვარცენეგერებთან — დებ უილიამსებთან, ამელი მორესმოსთან ჭიდილი.

მართლაც, შაბათს გამართული ავსტრალიის ღია პირველობის ფინალი ჰინგისსა და დევენპორტს შორის საკრივო შეცდომას ჰგავდა, უაზრო ორთაბრძოლას მძიმე და ბუმბულის წონოსანთა შორის, რომელშიც ზომით პატარას უეჭველი განადგურება ელოდა.

მარტინას ერთადერთი იმედი ის იყო, რომ ზორბა ამერიკელმა რამდენიმე დღით ადრე მსუბუქი ტრავმა მიიღო და სათამაშოდ ბარძაყშეხვეული გამოცხადდა, თუმცა ამას მატჩის მსვლელობაზე არანაირი ზეგავლენა არ მოუხდენია.

ფინალი 19 წლის შვეიცარიელისთვის მთლად კატასტროფულად არ დაწყებულა — პირველ გეიმში მან მოწოდების შენარჩუნება მოახერხა. აი, ამის შემდეგ კი 40 წუთის მანძილზე ჰინგისის ცოდვით ლამის მთელი ცენტრალური კორტი იწვოდა.

დევენპორტმა სათამაშოდ მარტივი ტაქტიკა აირჩია — ბურთთან მიკარებისთანავე შეტევაზე გადასვლა. მეტოქის, თუ თავის მოწოდებაზე, ფორჰენდიდან თუ ბექჰენდიდან, იგი მთელი ძალით ურტყამდა ბურთს ბადის მეორე მხარეს, თანაც გვერდითა ხაზების სიახლოვეს.

შეიძლებოდა ჰინგისი პირველ დარტყმულს მისწვდენოდა კიდეც, მაგრამ ამას მეორე და მესამე ისეთივე ყუმბარა მოჰყვებოდა და წინააღმდეგობის გაწევას აზრს უკარგავდა. შვეიცარიელიც ულონობისგან ხელებს შლიდა, უიმედოდ იცქირებოდა დედისა და მწვრთნელის, მელანი მოლიტორისკენ, მაგრამ ხსნა არსაიდან ჩანდა და მასაც უაზროდ გაღიმების გარდა აღარაფერი დარჩენოდა.

დევენპორტმა ჯერ ზედიზედ შვიდი გეიმი მოიგო, მერე მეორე სეტშიც გაუტია 1:1-დან და 5:1-ს უწია. მატჩის დაწყებიდან 50 წუთიც არ გასულიყო, მაგრამ ცოტაც და მსოფლიოს პირველ ჩოგანს უდიდესი დამცირება ელოდა.

„სულ საათს ვუცქეროდი, ვფიქრობდი, ღმერთო ჩემო, ხალხმა ხომ ფული გადაიხადა ამ მატჩის სანახავად-მეთქი. ეს მსოფლიოს პირველ და მეორე ჩოგნებს შორის ბრძოლა იყო და წესით, გაცილებით დაძაბული უნდა გამოსულიყო. ცუდი კი ის გახლდათ, რომ თითქოს ძალიან უხეიროდაც არ ვთამაშობდი, მაგრამ მაინც საშინლად ვაგებდი“ — გამოუტყდა მარტინა ჟურნალისტებს.

ბადის მეორე მხარეს სულ სხვაგვაი განწყობა სუფევდა: „თავადაც არ მჯეროდა, რომ ისე იოლად ვიგებდი. ძალიან ბევრს ვრისკავდი, მაგრამ ყველაფერი კორტში ვარდებოდა. რა შეიძლება ამას დაუპირისპირო?“

მაგრამ დიდი სლემის ტურნირის ასე ხელაღებით მოგებას უჩვევი დევენპორტი ბოლოში ცოტათი მაინც მოეშვა, ავსტრალიაში ზედიზედ სამგზის ჩემპიონმა ჰინგისმა კი შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა და კორტზე სიტუაცია შეიცვალა.

შვეიცარიელმა მეტოქეს ორჯერ აართვა მოწოდება და თუ აქამდე უწყინარ სიტუაციებშიც ცდებოდა, მის დარტყმებს მოულოდნელად დაუბრუნდა ის სიზუსტე, რაც ამერიკელის შიშით სადღაც დაკარგულიყო.

მარტინამ თვალის დახამხამებაში გაათანაბრა ანგარიში, 5:5-ზე მეტოქის მოწოდებაზე პირველი ქულაც მიითვალა და მელბურნელებს მატჩის ოდნავ გაგრძელების იმედიც გაუჩინა, თუმცა ეს იყო და ეს: თავისი ამბიციები მას უკვე დაეკმაყოფილებინა.

„რაც მთავარია, შეხვედრამ საათზე მეტხანს გასტანა — შვებით განუცხადა მაყურებლებს დაჯილდოების ცერემონიალზე ჰინგისმა — მე დღეს შესანიშნავ ჩოგბურთელთან და პიროვნებასთან წავაგე. თუმცა გაისად დავბრუნდები და შევეცდები, დაკარგული დავიბრუნო“.

შვეიცარიელმა დევენპორტთან უკვე ზედიზედ მეოთხე მატჩი დათმო სეტის მოუგებლად და თავისი წარუმატებლობის მიზეზიც ახსნა: „ლინდსივით სტაბილურად არავინ თამაშობს. იქნებ სერენა ან ვინუსი, როდესაც საუკეთესო ფორმაში არიან, მაგრამ მასავით მძლავრი არავინაა. ლინდსი კომპრომისებზე არ მიდის. როგორც კი ბურთს მოკლედ გადაუგდებ, ბახ, ბუხ და მაშინვე ბოლოს გიღებს შეუცდომლად“.

დევენპორტის თქმით, მატჩის შემდეგ ჰინგისმა მას განუ[illegible]ა, შენთან თამაში არ შემიძლიაო. [illegible]ინა ისეთი თავდაჯერებული და [illegible]ია, ეს საუკეთესო კომპლიმენტ[illegible]აც კი შეიძლება მიიღო — აღნიშნა ლინდსიმ, რომელსაც როლან გაროსის გარდა უკვე დიდი სლემის ყველა ტიტული დაუგროვდა — ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ასეთ რამეს მოვესწრებოდი. თიხნარზე თამაში არ მიყვარს, მაგრამ პარიზში მოგებამ სტიმული უკვე მომცა“.

**კაცები. ფინალი: ანდრე აგასი (1, აშშ) — ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) 3:6, 6:3, 6:2, 6:4.**

**პირადი შეხვედრების ანგარიში აქამდე: 5:4 აგასის სასარგებლოდ.**

„ამ ბოლო რვა თვეს არაფერი შეედრება ჩემს კარიერაში. მარტო პარიზში გამარჯვება იმაზე მეტი იყო, რაზეც შემეძლო ოდესმე მეოცნება. ეს გიჟური ცხოვრებაა“ — განაცხადა ჩოგბურთის ყველაზე ცნობილმა თავხოტორამ, ანდრე აგასიმ კვირას და ძნელია, მას არ დაეთანხმო.

ივნისში როლან გაროსზე ტრიუმფის შემდეგ ლასვეგასელი შოუმენის შეჩერება თითქმის შეუძლებელი გახდა. ბოლო ოთხ დიდი სლემის ტურნირზე ის მხოლოდ ერთხელ, უიმბლდონის ფინალში დამარცხდა პიტ სამპრასთან, აშშ-ისა და ავსტრალიის ღია პირველობებზე ჩემპიონი გახდა და როგორღაც ყოველდღიურ მძიმე ვარჯიშებს ლეგენდარულ შტეფი გრაფთან რომანიც კი შეუთავსა.

„მეიჯორებზე“ მსგავს წარმატებებს აგასი უკეთესი ფიზიკური მომზადებით ხსნის: „ვგრძნობ, რომ ფიზიკურად უფრო ძლიერი, უფრო გამძლე ვარ, ვიდრე ოდესმე. უკეთესადაც ვმოძრაობ, ვიდრე აქამდე. ვიცი, რომ ხუთსეტიან მატჩში თითოეულ ქულას დიდი მნიშვნელობა რომ მივანიჭო, მეტოქეებს უდიდესი ზეწოლის ქვეშ მოვაქცევ“.



REUTERS მელბურნიდან

## ანდრე აგასი

29 წლის, სიმაღლე 1,80 მ, წონა 79 კგ

მემარჯვენე, ცხოვრობს ლას ვეგასში, ნევადა

ტიტულები: 44 (6 დიდი სლემი)

ანდრე აგასი — ევგენი კაფელნიკოვი 3:6, 6:3, 6:2, 6:4

| | აგასი | კაფელნიკოვი |
|---|---|---|
| I მოწოდების % | 66 | 53 |
| ეისები | 9 | 14 |
| ორმაგი შეცდომები | 5 | 9 |
| I მოწოდებაზე მოგებული ქულების % | 68 | 65 |
| II მოწოდებაზე მოგებული ქულების % | 59 | 53 |
| უნებლიე შეცდომები | 35 | 61 |
| სუფთად მოგებული ქულები | 38 | 53 |
| ბრეიკ-პოინტების გამოყენება | 6/17-დან | 3/7-დან |
| ბადესთან მოგებული ქულები | 9/12-დან | 32/52-დან |
| სულ მოგებული ქულები | 125 | 113 |

*დრო: 2 საათი და 19 წუთი*

სწორედ ამიტომ, როდესაც მატჩები ბოლოს უახლოვდება და მეტოქეები უკანასკნელ ძალებს იკრებენ, აგასი თავდაპირველი ტემპით აგრძელებს თამაშს. ასე დაჩაგრა მან ნახევარფინალში მთავარი მეტოქე პიტ სამპრასი, იგივე მიზეზით აჯობა ფინალში შარშანდელ ჩემპიონ ევგენი კაფელნიკოვსაც.

სოჭელი ჟენია ამ ორი კვირის მანძილზე ყველას უმტკიცებდა, ტიტულის შენარჩუნების შანსი არ მაქვსო, თუმცა კვირას მატჩი ნამდვილად ალმაფრენით დაიწყო.

25 წლის რუსი პირველი 15 წუთის მანძილზე სრულყოფილ ჩოგბურთს თამაშობდა: ბურთს უკანა ხაზის შიგნით, ძალიან ადრე უხვდებოდა და ზუსტად მიმართავდა კიდეებისკენ, თითქმის არ ცდებოდა და საჭიროდ, ხაზს გაყოლებული ბექჰენდითაც სისხლი გაუშრო მეტოქეს.

კაფელნიკოვი ჯერ 4:0-ით დაწინაურდა, მერე აგასის ანგარიშის მინიმუმადე შემცირების შესაძლებლობა მისცა და ისევ აართვა მოწოდება. ულამაზესი გათამაშებებით დასრულებული სეტის ბოლოს ხალხი ფეხზე წამოდგომით მიესალმა ჩოგბუთრელებს, თუმცა რუსი უკვე მძიმედ სუნთქავდა.

მეორე ხელის დასაწყისში თამაში გათანაბრდა. უკანა ხაზზე დარჩენა და მეტოქის დარად სირბილი ჟენიას ქანცს აცლიდა, ამიტომ იგი გათამაშებების შესამოკლებლად ბადესთან გარბოდა — ხოლმე.

„ევგენიმ მატჩი კარგად დაიწყო, მაგრამ ბევრი სირბილი და ხანგრძლივი გათამაშებები მე უფრო მაძლევდა ხელს, ვგრძნობდი, რომ მთავარი იყო, ყურადღება არ გამფანტვოდა და მალე უპირატესობას მოვიპოვებდი“ — ეს აგასის სიტყვებია.

მართლაც კაფელნიკოვმა მეორე სეტის ბოლოს ორი ორმაგი შეცდომით დაიღუპა თავი და 3:3-დან ხოტორა ამერიკელმა ზედიზედ 7 გეიმი მოიგო. თანაც აგასიმ შეატყო, რომ მეტოქეს სირბილი უჭირდა და ჭრილობებზე მარილის მოსაყრელად მძლავრ დარტყმებს აუღებელი შემოკლებულები შეუნაცვლა.

მეოთხე სეტის დასაწყისში უცნაური რამ მოხდა — პირველი გათამაშება ეს-ესაა გახურებულიყო, რომ მოედანზე „კვაკ კვაკ“-ის ყვირილით შავებში გამოწყობილი კაცი გამოვარდა ვიდეოკამერით ხელში, რომელსაც ჩოგბურთელები გაოცებით მიაშტერდნენ.

ყვითელქუდიანი და წითელწვერიანი შერეკილი 39 წლის პიტერ ჰორი აღმოჩნდა, რომელსაც აქამდე მსგავსი იდიოტური გამოხტომებით მელბურნის დოლის, ავსტრალიასა და ირანს შორის ფეხბურთის მატჩისა და ჯგუფ INXS-ის ლიდ[illegible]ის, მაიკლ ჰაჩინსის დაკრძალვაზე გამოეჩინა თავი.

ჰორმა უმალ იქვე გაჩენილი დაცვის წარმომადგენლები მოხერხებული მანევრით — ბადეზე გადახტომით ჩამოიშორა, თუმცა მერე მათ ზედმეტი წინააღმდეგობის გარეშე ჩაბარდა.

თამაშის განახლებისთანავე კაფელნიკოვმა მორიგი უადგილო ორმაგი შეცდომა დაუშვა, მოწოდება ერთხელაც დაკარგა და ბევრი მცდელობის მიუხედავად, ვალი ველარც დააბრუნა.

„გული არ მწყდება, რომ ანდრესთანა შესანიშნავ სპორტსმენთან დავმარცხდი. თქვენი არ ვიცი და მგონი, ერთი-ორი „ჰაინეკენი“ ნაღდად დავიმსახურე“ — განაცხადა ფინალისტის პრიზის მიღებისას ტურნირის ერთ-ერთი მთავარი სპონსორის ხსენებაზე კაფელნიკოვმა.

„ჩემი თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. მე ბოლომდე ვიბრძოლე, ვეცადე და ეს საკმარისი არ გამოდგა. ანდრესთან ამ მარცხისგან კარგი გაკვეთილი მივიღე — ფიზიკურად უკეთ უნდა მოვემზადო, თუ მინდა, რომ მას კიდევ მოვუგო“ — აღნიშნა ჟენიამ.

**კაცები. წყვილების ფინალი: ელის ფერერა და რიკ ლიჩი (5, სამხრეთ აფრიკა და აშშ) — უეინ ბლექი და ენდრიუ კრაცმანი (8, ზიმბაბვე და ავსტრალია) 6:4, 3:6, 6:3, 3:6, 18:16**

**შერეული წყვილების ფინალი: ჯარედ პალმერი და რენე სტაბსი (3, აშშ და ავსტრალია) — ტოდ ვუდბრიჯი და არანჩა სანჩეს-ვიკარიო (4, ესპანეთი) 7:5, 7:6 (7:3).**

**ავთანდილ სვანიძე**





მელბურნიდან

REUTERS

ავსტრალიის ღია პირველობის შარშანდელმა ტრიუმფატორებმა მარტინა ჰინგისმა და ევგენი კაფელნიკოვმა წლეულს გულნაკლულებმა დატოვეს მელბურნი

# თელასის პრინციპით: დინამოს ქულები გამოუშრეთ

როლანდ ლაბუჩიძე

კალათბურთის ფედერაციამ ორშაბათს დანაქადნები შაბათს საქმედ აქცია და ფედერაციის მიმართ ჯერაც ვალში მყოფ „დინამოს“ სტუ-ს წინააღმდეგ თამაშის ნება არ დართო. ჩემპიონატის დებულებიდან გამომდინარე, ცარიელი ქისის მქონე, ერთ დროს საქართველოს უპირველეს გუნდს 0:20 წაგება ჩაეთვალა და 0 ქულა დაეწერა. თუ „დინამო“ მეთექვსმეტე ტურამდეც ვერ შეძლებს ვალის გადახდას, კვლავაც არ დაიშვება სათამაშოდ, იგივე ანგარიშით მარცხი ჩაეწერება და ქულათა მარაგიც უცვლელი დაურჩებაო, — გვითხრა მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე მურმან ქურიძემ. ფინანსური პრობლემების კიდევ ერთი კვირით გაგრძელება კი საქართველოს პირველ ჩემპიონს, თბილისის „დინამოს“ პირველობიდან ჩამოაშორებს. სწორედ რომ ამაზეა ნათქვამი, დრონი მეფობენ და არა მეფენიო. ვაგლახ, რომ დაუძლურდა „დინამო“, რომლის რიგებშიც თავის დროზე ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს უთამაშიათ. რომ აღარაფერი ვთქვათ ყოფილი საბჭოთა კავშირის ოთხ-ოთხ გზის ჩემპიონობაზე, ვიცე-ჩემპიონობასა და თასის მოგებაზე, „დინამოს“ ევროპის ჩემპიონთა თასი მოუპოვებია და ამავე ტურნირის და თასების თასის ფინალებშიც მიუღია მონაწილეობა. იქნებ ვინმემ თქვას, ახლა სხვა დროაო, მაგრამ არ იქნება მთლად მართალი, დრო ხომ სხვა გუნდებისთვისაც შეიცვალა. საერთაშორისო სარბიელზე აღარაფერს ვამბობთ, „დინამოს“ საქართველოში მაინც არ უნდა ჰქონდეს საქმე ასე სავალალოდ.

ვერც კვირას იხილეს კალათბურთის მოყვარულებმა ვერის ბაღში დაგეგმილი ის ერთადერთი შეხვედრა, რომელიც თსუ — „ვითას“ შორის უნდა გამართულიყო. მატჩის ჩაშლის მიზეზი ამჯერად ენერგოკრიზისის გამო უშუქოდ დარჩენილი საკალათბურთო დარბაზი გახლდათ. დაახლოებით ნახევარი საათის ამაოდ ლოდინის შემდეგ გუნდების ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, რომ ორშაბათს, 31 იანვარს, კვლავაც 13 საათზე დაენიშნათ შეხვედრა. უშუქობის გამო გადატანილი მატჩით განსაკუთრებით „ვითამ“ იხეირა, რომელსაც ორშაბათ დილით ისრაელიდან დაბრუნებული, იქ თბილისის „მაკაბისთან“ ერთად მყოფი ნუგზარ კოკოლიშვილიც შემოუერთდა. მართალია, კოკოლიშვილი ცოტა გადაღლილი ჩანდა, მაგრამ მისმა თანაგუნდელებმა ხომ მთლად აიკლეს მეტოქის ფარი და ერთი ხანობა ოცდაერთი ქულითაც კი უგებდნენ მეტოქეს — 43:22. ჩემპიონთა მხრიდან აღსანიშნავია უკანა ხაზზე გამწესებული გამოცდილი უსტიაშვილის ოსტატობა, ხოლო თავდასხმაში გულივერ ახალკაცმა იყოჩაღა, რომელმაც აშკარად დაჩაგრა გოჩა არსიაშვილი და ვანო აბულაძე. რაც შეეხება გამოცდილ გიორგი ბერუაშვილს, მას გრიპი შეჰყრია და ჯერჯერობით სტუდენტებს ვერ ეხმარება.

დიდებულად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ „ვითამ“ ნაადრევად ირწმუნა გამარჯვება და მეტოქეს წამოწევის საშუალება მისცა. ჩემპიონმა ხუთწუთიან ჩავარდნას ნუგზარ კოკოლიშვილის სამქულიანით დააღწია თავი. სტუდენტების შტურმი კვლავაც გაგრძელდა, მშვილდაძის და განსაკუთრებით წოწელიას ძალისხმევით ანგარიშში სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა. ტაიმის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე კვლავ წოწელიამ იყოჩაღა და თსუ ჩემპიონებს პირველად წამოეწია ისე, რომ მთელი შეხვედრის მანძილზე წინ მყოფი მეტოქისგან მხოლოდ ქულალა აშორებდა — 59:60. თსუ-ს სწორედ გადამწყვეტ მომენტში უმტყუნა ნერვებმა, ჩემპიონებმა კი შანსი ხელიდან არ გაუშვეს და წინ გაიჭრნენ, ამჯერად ექვსი ქულის სხვაობით — 67:61. ამას ვანო აბულაძის მეხუთე ჯარიმაც დაერთო და სტუდენტებს მატჩის ხსნის შანსი კიდევ უფრო სათუო გაუხდათ. მეორე ტაიმის ბოლო წუთზე ირაკლი შანიძემ ზუსტი საჯარიმოებითა და ფარქვეშ ოსტატური თამაშის შედეგად ოთხი ქულა მიითვალა და მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, აქ გადაწყდა. ბოლო წამებზე მეტოქეებს ბურთის სროლა არც უცდიათ, რადგან ისედაც ყველაფერი ნათელი იყო.

ამ წაგებამ თსუ-ს ექვსეულში მოხვედრა საეჭვო გახადა, ხოლო ჩემპიონმა მეექვსედან მეოთხე ადგილზე აინაცვლა.

ასკ — „შევარდენის“ შეხვედრაში სხვადასხვა მიზეზის გამო ოთხი წამყვანი კალათბურთელის (ბახტაძე, ჯანელიძე, ფანჯიკიძე, ღვინაშვილი) გარეშე დარჩენილმა ასკ-მ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია სრული შემადგენლობით მოთამაშე „შევარდენს“. პირტიტველა არმიელები გამოცდილი სპორტსმენებით დაკომპლექტებულ „შევარდენს“ პირველი ნახევრის მეათე წუთისათვის 24:14 უგებდნენ, მაგრამ გამოუცდელობამ მაინც თავისი გაიტანა, როგორც კი „შევარდენი“ ზონაში ჩადგა, ასკ-სთვის მეტოქის ფარი აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა. ზონური დაცვით გამხნევებულმა „შევარდენმა“ მეთხუთმეტე წუთისთვის არმიელთა ათქულიანი სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა — 29:30, ხოლო ტაიმის ბოლოსთვის ცხრა ქულით დაწინაურდა. მეცვრის როლში მყოფმა ასკ-მ მეორე ნახევრის პირველივე წუთებზე ისე გაიბრძოლა, რომ მეტოქეს აგრძნობინა, ილად არაფრის დამთმობი არ ვარო. პერსპექტიული უკანახაზელების — გიორგი მარხვაშვილისა და მანუჩარ მარკოიშვილის აქტიური თამაშის შედეგად არმიელები მესამე წუთისთვის სამ ქულამდე მიუახლვდნენ მეტოქეს — 42:45, მაგრამ აღმავლობის გზაზე მყოფებმა ნახევარი წუთის შემდეგ ხუთი ჯარიმის გამო ერთადერთი ცენტრი — მამუკა ფიცხელაური მოისაკლისეს. ამის შემდეგ არმიელებს მათ ფართან მოფუსფუსე გიგაურის და განსაკუთრებით კი ცენტრის — ნუცუბიძის გაუვნებლება ძალიან გაუჭირდათ.

მარტო უკანახაზელების იმედად მყოფმა ასკ-მ მხოლოდ ის მოახერხა, რომ მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე თვრამეტქულიანი სხვაობა ექვსამდე დაიყვანა — 68:74, პირველი ნახევრის დასაწყისში მოპოვებული უპირატესობის დაბრუნება კი ველარ შეძლო მოკლე სკამის გამო.

### საქართველოს ჩემპიონატი — 15 ტური

ვერის ბაღი. 29 იანვარი

**ასკ 68:80 შევარდენი**

I ტაიმი 34:43

**ასკ:** მარხვაშვილი (16), მ. მარკოიშვილი (16), ზანგურაშვილი (15), ნათობაძე (15), მ. ფიცხელაური; ლ. საყვარელიძე, დ. საყვარელიძე (6)

**შევარდენი:** ორჯონიკიძე (9), აკოლაშვილი (12), შ. გაგნიძე (9), გიგაური (20), ნუცუბიძე (25); თაბუაშვილი (2), ალავიძე, კაზანჯიანი (3), მაჭავარიანი, ღვინეფაძე, ა. მოისწრაფიშვილი

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, დავით ანდრიაძე

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

### საქართველოს ჩემპიონატი — 15 ტური

ვერის ბაღი. 29 იანვარი

**სტუ 20:0 დინამო**

*ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის გადაუხდელობის გამო დინამოს ჩაეთვალა წაგება 0:20 და დაეწერა 0 ქულა.*

### საქართველოს ჩემპიონატი — 15 ტური

ვერის ბაღი. 31 იანვარი

**თსუ 70:78 ვითა**

I ტაიმი 30:48

**თსუ:** მშვილდაძე (2), წოწელია (30), გ. მარკოიშვილი (16), არსიაშვილი (4), ვ. აბულაძე (10); ხეცურიანი (6), ვეფხვაძე (2), მგალობლიშვილი

**ვითა:** უსტიაშვილი (9), გ. გაგნიძე (22), შანიძე (14), კოკოლიშვილი (12), ახალკაცი (14); ქევხიშვილი (7)

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, ლაშა თოიძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე



თსუ — ვითა. ვითელი გიორგი გაგნიძე (მარჯვნივ) და გოჩა წოწელია



თსუ — ვითა. მატჩის ბოლოს ჩემპიონს ირაკლი შანიძის შეტევებმა გაამარჯვებინა

ბესიკ ფილფანჯიშვილის ფოტო

# ინტრიგის დებიუტი: გააზატებული ბასკო აზოტს ელის

### საქართველოს ჩემპიონატი — 15 ტური

ბათუმი. 30 იანვარი

**ბასკო 102:64 სსუ**

I ტაიმი 54:38

**ბასკო:** აბრამიძე (15), დავითულიანი (7), ბეჟანიშვილი (16), ქარაბაკი (21), ვ. კილაძე (14); კვაჭაძე (4), ბაქრაძე, კეშელავა (17), მაისურაძე (2), ბერია (2), გ. კილაძე (4)

**სსუ:** გ. ჟღენტი (3), ბ. ბერიშვილი (29), ლაცუზბაია (3), თოდუა (6), ლ. ვაშაკიძე (8); ბ. ქვილითაია (13), სორდია (2)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

აბა, გულზე ხელი დავიდოთ და ალალად ვთქვათ: ჰქონდა კი წარმატების რაიმე შანსი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს კვირას „ბასკოსთან“ მატჩში? ალბათ, არავითარი და ეს ცხადზე ცხადი იყო. არადა, ამხელა გზაზე ოდენ მოვალეობის მოხდის მიზნით გამგზავრება, ერთობ ძნელი რამ არის. ჰოდა, აგერ მხოლოდ წინა ტურში მათსავით მაჩანჩალა „გორის“ ძლევით, გამარჯვებანაგემი სტუდენტები ერთი მიზნით ეწვივნენ აჭარას — ნამეტნავად არ შერცხვენილიყვნენ და ეს როგორ გამოუვიდათ, თქვენ თვითონ განსაჯეთ.

„ბასკოს“ აუტსაიდერთან მორიგი იოლი გასეირნება ელოდა. ზღვისპირელთა რიგებში ორ ცვლილებას შეამჩნევდა კაცი. ერთი ის, რომ არ თამაშობდა გრიპშეყრილი კაპიტანი ირაკლი ჭეიშვილი. სამაგიეროდ, ახალ გუნდში ყოფილი ვითელის ირაკლი ბაქრაძის დებიუტი შედგა. მართალია მას ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ სასურველ ფორმამდე ჯერ კიდევ შორია.

„ბასკოს“ სსუ-ს ძლევა, საქმისადმი ზერელე მიდგომითაც შეეძლო და აქედან გამომდინარე, ჯეროვანი მობილიზაცია არ იგრძნობოდა. დებიუტში ქარაბაქის პირველ ზუსტ სროლას, ბუბა ბერიშვილმა გამაყაიმებელი ორი ქულა რომ მოაყოლა, მას შემდეგ „ბასკოსთან“ ასე მიახლოების შანსი, სტუმრებს არ მისცემიათ. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ სსუ-ს მეხუთე წუთამდე შედეგიანი სროლა არ გაუკეთებია, მაშინ როცა მეტოქეს ქულათა მარაგი ამ დროისთვის ჩვიდმეტამდე აეყვანა.

სსუ-ს ვითომ თავისი გასაჭირი არ ყოფნიდა, თბილისი-ბათუმის მატარებლით გაჯანჯლებული მგზავრობა დაემატა და მხოლოდ თამაშამდე ერთი საათით ადრე ჩასულ სტუდენტებს დაღლილობა და დაბნეულობა ეტყობოდათ. ერთადერთი ნათელი წერტილი ბერიშვილი იყო, რომლის მეორე ზუსტი სროლის შემდეგ, სხვებიც გონს მოვიდნენ და ამის შემდეგ ხშირ შემთხვევაში მასპინძელთა შედეგიან შეტევას, ასევე ზუსტი პასუხი ენაცვლებოდა. თუმცა, თამაშის გათანაბრებაში მოტივაცია შესუსტებული ბასკოელთა უგერგილო თამაშმაც შეუწყო ხელი. მიუხედავად ამისა, სხვაობა ცოტათი, მაგრამ თანდათან იზრდებოდა და ტაიმის ბოლოსთვის სსუ-ს 16-ქულიანი ჩამორჩენა დაფიქსირდა — 38:54.

თამაშის განახლებას დიდი არაფერი შეუცვლია. ანდა რა უნდა შეეცვალა, როცა „ბასკო“ აშკარად ჯაბნიდა მეტოქეს და მეორე ტაიმის პირველ ნახევარში უმეტესად ქარაბაკის, აბრამიძის და ვალერი კილაძის შედეგიანი თამაშის შედეგად, სხვაობა 30 ქულამდე გაიზარდა.

ტომარაძემ საქმეში მეორე შემადგენლობა ჩართო. ამან სტუდენტებს ცოტათი ხელ-ფეხი გაუხსნა და როგორც პირველი ტაიმის ბოლოსკენ, ახლაც თამაში გათანაბრდა. მათგან ქვილითაია და განსაკუთრებით ბერიშვილი გამოირჩნენ. ეს უკანასკნელი სულაც ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა ორივე გუნდში.

თამაშის დასრულებამდე სამწუთნახევარი რჩებოდა, კეშელავამ ანგარიში 95:64 რომ გახადა. ასქულიან ზღვარს ხუთი ქულალა რჩებოდა და ბათუმელ ქომაგთ მხოლოდ ეს აღელვებდათ. მაგრამ კარგა ხანი „ბასკო“ ვერაფერს ხეირობდა. და მაინც, მოსახდენი ბოლო 48 წამში მოხდა და ამას საფუძველი გიორგი კილაძემ ჩაუყარა, ხოლო გაგრძელებით კეშელავამ და ბეჟანიშვილმა გააგრძელეს, რითაც ასქულიანი ზღვარიც გადაილახა — 102:64.

ასეა თუ ისე, „ბასკომ“ მორიგი მე-14 მოგება მიითვალა. შინ კი, მთავარი ბრძოლა 12 თებერვალს ელის: ბათუმს ხომ რუსთავის „აზოტი“ ეწვევა. ჰოდა,. ინტრიგაც მაშინ ნახეთ...

### საქართველოს ჩემპიონატი — 15 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 14 | 14 | 0 | 1417:1111 | 28 |
| აზოტი | 15 | 12 | 3 | 1431:1185 | 27 |
| სტუ | 15 | 12 | 3 | 1317:1008 | 27 |
| ვითა | 15 | 10 | 5 | 1303:1189 | 25 |
| სდასუ | 15 | 9 | 6 | 1320:1248 | 24 |
| მაკაბი | 15 | 9 | 6 | 1262:1133 | 24 |
| თსუ | 15 | 8 | 7 | 1326:1322 | 23 |
| შევარდენი | 15 | 5 | 10 | 1103:1255 | 20 |
| დინამო | 15 | 5 | 10 | 1055:1192 | 19 |
| გორი | 14 | 3 | 11 | 1026:1243 | 17 |
| ასკ | 15 | 1 | 14 | 1085:1409 | 16 |
| სსუ | 15 | 1 | 14 | 1061:1411 | 16 |

*დინამოს ჩაეთვალა წაგება 0:20 და დაეწერა 0 ქულა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# 15 ტური

რუსთავი. 29 იანვარი

**აზოტი 105:85 სდასუ**

I ტაიმი 53:37

**აზოტი:** ა. ელენტი (11), გაბისონია, გოგობერიშვილი (26), ბაბიაშვილი (23), მ. ბერუაშვილი (27); გოგოლაძე (2), ლ. ჩაჩუა (3), კოჭლამაზაშვილი (4), ჯიმშელეიშვილი (2), წიკლაური (7)

**სდასუ:** ხოშტარია (32), გ. ჩხეიძე (15), უძილაური (20), ლ. აბულაძე (4), მაჭარაძე (2); ნ. ნოზაძე (3), სუხიშვილი (9)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, ლაშა თოიძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

გიორგი ბიკაშვილი

ტურის ცენტრალური მატჩი სწორედ ეს გახლდათ და რა გასაკვირია, რომ დედაქალაქელი გულშემატკივარიც უხვად მიაწყდა შაბათს მეტალურგთა ქალაქს. რუსთავს ბოლო დროს საგრძნობლად მოღონიერებული ლევან მოსეშვილის სდასუ სტუმრობდა და ადგილობრივმა ქომაგებმაც ბოლომდე შეავსეს ტრიბუნები. ფავორიტი, მართალია, „აზოტი" იყო, მაგრამ ყველა დაძაბულ ბრძოლას წინასწარმეტყველებდა და კარგი თამაშის მოლოდინში იფშვნეტდა ხელებს.

სულ ტყუილად. რუსთავურ გვარდილას დაზარბებული ფედერაციისგან ხელდასმული „აზოტი", როგორც ქორი წიწილებს, ისე შეესია თბილისელ სტუდენტობას და ბოლო წლების უხერხული მეტოქე — სდასუ ნირწამხდარი გამოისტუმრა.

ვერ გეტყვით, თუ რა იყო რუსთაველთა ალმაფრენის მიზეზი, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, ვიცე-ჩემპიონმა ყველა სათამაშო კომპონენტში დაჩაგრა ალმაშენებლის საუნივერსიტეტო გუნდი, წინა შეხვედრების ფონზე თავის აჩრდილს რომ დამსგავსებოდა. თავის მხრივ „აზოტმა" განაწყენებულ გულშემატკივრებსაც ამა, რომელთაც საქომაგო გუნდის თბილისურ „მაკაბისთან" მარცხი ვერ მოენელებინათ.

რევაზ ჩხეიძის უკრაინულ „ბიპა მოდაში" გამგზავრებამ გარკვეული ცვლილებები მოახდინა რუსთაველთა პირველ ხუთეულში. ძირითადში კვლავ გამოჩნდა ზაზა გაბისონია, რომელსაც ავადმყოფობის გამო კარგა ხანი გაუცდა. რაკი უკანა ხაზმა ძველებური იერი დაიბრუნა, ფრთაზე გადაინაცვლა „აზოტის" ლიდერმა რამაზ გოგობერიშვილმა, იგი ხომ თავის გუნდში სწორედ მესამე ნომრად თამაშს არის ნაჩვევი. ელენტი-გაბისონია-გოგობერიშვილის მთავარი საზრუნავი ნათელი იყო — რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, სდასუ-ს წინამძღოლი და წარმატების წინაპირობა, ირაკლი ხოშტარია უნდა შეებოჭათ.

ის, რომ სტუდენტმა ხოშტარიამ ჯამში ყველაზე მეტი ქულა გაახერხა, ოდნავაც არ ჩრდილავს ხსენებული სამეულის გარჯას. ქულათა უმეტესობა მაშინ დააგროვა ირაკლიმ, როცა თამაში ფაქტობრივად დამთავრებული, უბრალოდ რომ ვთქვათ, ყველაფერი გარკვეული იყო.

ასეთი მომენტი კი მოულოდნელად ადრე დადგა ამ შეხვედრაში, ყოველივე მეორე ტაიმის საწყის წუთებზევე გაცხადდა...

გუნდებმა პერსონალური დაცვა ირჩიეს. სიმაღლეში თვალსაჩინო გახლდათ „აზოტის" უპირატესობა, რაც აშკარად აფრთხობდა სდასუ-ს და მათაც გარედან თამაში ამჯობინეს ფარქვეშიდან შეტევებს. უძილაურსა და აბულაძეს სამიანები გაუცუდდათ, პირველად კი რუსთაველი მიხეილ ბერუაშვილის ნასროლმა უწია მიზანს. აზოტელთაგან საწყის წუთებში სწორედ ბერუაშვილი გამოირჩეოდა. იგი ადვილად უმკლავდებოდა მეტოქის ცენტრის, შოთა მაჭარაძის წინააღმდეგობას და ძალიან ავიწროებდა. უჩვეულოდ სუსტად თამაშობდა მაჭარაძე. შეტევაში ხომ არაფერი გამოსდიოდა, დაცვაშიც ჯარიმით თუ გააჩერებდა ბერუაშვილს და შედეგად ის მოიმკო, რომ ცხრა წუთის შემდეგ სათადარიგოებში გადაინაცვლა, რაკილა უკვე ოთხი პერსონალური ჰქონდა მიღებული.

ბერუაშვილის კარგი თამაშის წყალობით თავიდანვე ვიცე-ჩემპიონთა უპირატესობა გამოიკვეთა. ფარი მთლიანად მიშამ დაიპყრო, რუსთაველთა შეტევებს კი გონივრულად უძღვებოდა გამთამაშებელი არჩილ ელენტი. სდასუელთა იმედი ირაკლი ხოშტარია აშკარად არ იყო თამაშის იშტაზე, მცდელობას ვერ დავუკარგავთ, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ მას ძალიან მჭიდროდ მეურვეობდა ზაზა გაბისონია. მართალია, მალე გაბისონიაც ოთხჯერ დაჯარიმდა და იგი ლევან წიკლაურით შეიცვალა, მაგრამ თავისი საქმე, მაქსიმალურად შეეზღუდა ხოშტარია, ზაზას გაკეთებული ჰქონდა.

წიკლაურის მოედანზე გამოჩენას მოჰყვა ის, რომ რამაზ გოგობერიშვილმა მსროლელის ადგილას ამოიწია და უკანა ხაზში ელენტს შეუწყვილდა. ოთარ ხმელიძის ამ ტაქტიკურმა გადაადგილებამ აშკარად გაამართლა, გოგობერიშვილს ხელ-ფეხი გაეხსნა და ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა თბილისელთა დაწიოკებას. „აზოტი" უმალ ათი ქულით — 30:20 გაიჭრა წინ, რუსთაველთა მწვრთნელმაც ძირითადის მოთამაშეები დაასვენა და მათ სათადარიგოები შეუნაცვლა. ჩაჩუა და ჯიმშელეიშვილი კარგად ჩაერთვნენ თამაშში, მაჭარაძის შემცვლელ სუხიშვილს გაქანების საშუალებას არ აძლევდა ზვიად ბაბიაშვილი, არჩილ ელენტი თავადვე აგვირგვინებდა გარღვევებს, გოგობერიშვილმაც საბოლოოდ გაისწორა სამიზნე და ტაიმის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე სხვაობამ უკვე თექვსმეტ ქულას უწია — 51:35. უკანასკნელ წუთზე მხოლოდ თითო შედეგიანი შეტევა გაცვალეს მოწინააღმდეგეებმა.

იმედი, ახლა მაინც გამოცოცხლდება სდასუ და დანაკარგის ანაზღაურებას შეეცდებაო, მეორე ნახევრის დებიუტშივე ჩაკლა გოგობერიშვილმა, რომელმაც ორ წუთში სამი სამქულიანი ჩაუგდო მეტოქეს და როცა არჩილ ელენტმაც ივარგა შორიდან, სხვაობა კატასტროფული გახდა — 82:50.

დარჩენილი დრო ფორმალობად იქცა, ყველაფერში იჩაგრებოდა სდასუ და სტუდენტებიც ნაადრევად შეეგუვნენ დამარცხებულის ბედს. მოსაწყენი ბურთაობა გაჩაღდა, უნიათო, თუმც, ალბათ, ასეც ერჩივნათ რუსთავული გუნდის ქომაგებს — მათ ხომ არხეინად ყოფნის საშუალება მიეცათ...



აზოტი — სდასუ. რუსთაველი რამაზ გოგობერიშვილის (ბურთით) სამიანებმა სტუდენტები „ჩაჭრა"

რეგულარული ჩემპიონატი

# ის, რაც ვერ შეძლო ჯორდანმა



REUTERS სიეტლიდან

სიეტლი — მილუოკი. მასპინძელი გერი პეიტონი (№20) მილუოკელ გლენ რობინსონს დააცხრა

29 იანვარი

**სიეტლი 99:101 მილუოკი**

სიეტლი: პეიტონი (29 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა), ბერი (20), პატერსონი (22 ქულა, 9 მოხსნა, 6 ჩაჭრა), ბეიკერი (10), ფოსტერი (2); ლუისი (7), პერსონი (3), მაკკოი (3), დევისი (3)

მილუოკი: კასელი (18 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), ალენი (18), რობინსონი (24), ვილიამსი (11 ქულა, 10 მოხსნა), ჯონსონი (10); ტომასი (16), მენინგი (2), ჰემი (2), დელ ნეგრო, რიდი

„სიეტლის" ქართველ ცენტრს, ვლადიმერ სტეფანიას „მილუოკისთან" თამაშის კარგი შანსი მიეცა, მაგრამ...

სიეტლის ძირითადი ცენტრი, ვეტერანი ჰორას გრანტი მცირე ტრავმამ შეაწუხა და ექიმებმა დასვენება ურჩიეს. მისი ადგილი სასტარტო ხუთეულში გრეგ ფოსტერმა დაიკავა და ალბათ სტეფანიას იმედი გაუჩნდა, მას რამდენიმე წუთით მაინც შევცვლიო. ფოსტერმა სულ 14 წუთს იწვალა ამაოდ, ორი ქულის მეტი ვერაფერი მოინაგრა. მასპინძელთა დამრიგებელმა ვესტფოლმა იგი ადრევე გამოცვალა, მაგრამ მას არც ამის შემდეგ გაურისკავს ესოდენ დაძაბულ ჭიდილში ქართველი ცენტრის ჩაბმა და სტეფანიასთვის ამ თამაშმა, ისევე როგორც მრავალმა სხვამ, სრულ უმოქმედობაში ჩაიარა.

იმ დღეს „სიეტლის" დარბაზ „კი არენას" ფიცარნაგზე ორი ტოლძალოვანი გუნდი იბრძოდა. მეტოქეებმა ერთმანეთს სიქა გააცალეს და ნერვებიც დააწყვიტეს. ბოლოს გამარჯვება სტუმრებს დარჩათ. ჯორჯ კარლმა და მისმა ბიჭებმა ცხრა დღის წინ შინ მილუოკიში მარცხის ჯავრი სიეტლში ამოიყარეს და ამ სეზონში მეტოქეს ანგარიში გაუთანაბრეს. ჯორჯ კარლი რომ კარგი სპეციალისტია, ამას დამტკიცება-შემოწმება არ სჭირდება, ისედაც დღესავით ნათელია. „სიელტის" მესვეურებს მეტი დაფიქრება მართებდათ, როცა ამ ორი წლის წინ ასეთ სპეციალისტს გუნდიდან ითხოვდნენ. არადა, კარლმა „სიეტლს" ექვს სეზონში ჩატარებულ 534 შეხვედრიდან 384 მოაგებინა და მხოლოდ 150 დათმო. ასეთი შედეგი ერთეულებსა აქვთ. კლუბის მამებმა კი ეს აინუშშიც არ ჩააგდეს. მწვრთნელი „მილუოკი ბაქსმა" შეიფარა და კარლმა ეს გუნდი, პირველად ბოლო რვა წლის მანძილზე, პლეი ოფში გაიყვანა, თუ სასწაული არ მოხდა, ამას „ბაქსი" წლეულსაც უპრობლემოდ მოახერხებს.

სიეტლელი გულშემატკივარი კარგად შეხვდა ორი წლის წინ გაგდებულ მთავარ მწვრთნელს. როცა კარლი თამაშის დაწყებამდე სამი წუთით ადრე მოედანზე გამოჩნდა, 16 ათასი მაყურებელი ფეხზე წამოდგა და მას ტაში და ოვაცია შეაგება. „დიდ მადლობას ვუხდი ფანებს ასეთი დაფასებისათვის, ისინი ყოველთვის მხარს მიჭერდნენ და წინააღმდეგი იყვნენ ჩემი წასვლისა. არც მე მქონია რაიმე პრობლემა მათთან. სიძნელეები იმათ შემიქმნეს, ვისაც სიცოცხლეში არ უთამაშიათ კალათბურთი და ბევრს კი მოითხოვდნენ" — ამბობდა მატჩის შემდეგ ასეთი დახვედრით უზომოდ კმაყოფილი კარლი.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 20 იანვარს მილუოკიში გამართულ შეხვედრაში „სიეტლმა" იმარჯვა. იმ გამარჯვებაში ლომის წილი ყოფილმა მილუოკელმა ვინ ბეიკერმა დაიდო. ამ დევკაცმა ძველ გუნდთან 31 ქულა მოაგროვა. კარლს არაფერი ეშლება და ახლა ბეიკერის გაუვნებლების საკითხს უფრო ყურადღებით მოეკიდა, შეგირდებიც ჩინებულად დაარიგა. ამ სიმკაცრით განთქმულ მწვრთნელს მათაც არ უმტყუნეს და ბეიკერი, შეიძლება ითქვას, მთლიანად გამოთიშეს თამაშიდან. იგი სულ 10 ქულას დასჯერდა. თან თამაშის დროს ცხრა ცდიდან მხოლოდ ორი სროლა ჩააგდო, დანარჩენი ქულები კი საჯარიმოებით შეაგროვა.

„სიეტლი" მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. დიდი ხანია, ტრავმას შეუწუხებია ვეტერანი ვერნონ მაქსველი, ვერ ითამაშა ჰორას გრანტმაც და უსარგებლო გახლდათ ბეიკერი. ასე რომ, ვესტფოლს ხელთ მხოლოდ სამი ხეირიანი კაცი შერჩა — პეიტონი, ბერი, პატერსონი და მატჩის მთელმა სიმძიმემაც ამ სამეულის მხრებზე გადაიარა მაშინ, როცა სტუმართა მშვენივრად მოთამაშე ხუთეულს კარგად ეშველებოდა სათადარიგო ტიმ ტომასი. ამასთან ტომასმა ბოლო წამზე ჩააგდო თავისიანთა გამარჯვების მომტანი ბურთი.

თვითონ მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, უკიდურესად დაძაბული გამოდგა. სტუმარიც და მასპინძელიც არც თავს ზოგავდა და არც მეტოქეს, გრანტის არყოფნის და ბეიკერის პასიურობის გამო ფარი სტუმრებს დარჩათ — 50:40, მატჩის დებიუტიც მათი იყო. ოლიმპიურ ნაკრებში ბოლოსლა შეყვანილმა სტუმარმა, რეი ალენმა საწყის მეოთხედში 13 ქულა ჩაუგდო მასპინძლებს. მართალია, ამის შემდეგ ბრენტ ბერიმ იგი კარგად დაკეტა, მაგრამ ახლა ალენის თანაგუნდელებმა გამოიღეს ხელი. მათ არც პეიტონი და მისი ბიჭები ჩამორჩნენ და გაჩაღდა დიდი ბრძოლა. ბოლო მეოთხედში გუნდებმა თანაბარი ანგარიშით — 84:84 შეაბიჯეს. სტუმრებმა კვლავ მოახერხეს ოდნავ დაწინაურება. ბოლო მეოთხედის დამთავრებამდე სულ 2,1 წამი რჩებოდა, როცა პეიტონმა ანგარიში გაათანაბრა — 99:99. ყველა ოვერტაიმის მოლოდინში იყო, მაგრამ სტუმრები სხვაგვარად ფიქრობდნენ. მათ ეყოთ დარჩენილი დრო ბურთის გასათამაშებლად, შეტევა კი მშვენივრად დაასრულა ტიმ ტომასმა და ალბათ თავის დამრიგებელს უდიდესი სიამოვნებაც მიანიჭა.

მომდევნო შეხვედრას „სიეტლი" სოლტ ლეიკ სიტიში 1 თებერვალს გამართავს იქაურ „ჯაზთან".

28 იანვარი

**ბოსტონი 91:88 ფინიქსი**

ბოსტონი: პირსი (31), უოლკერი (24)
ფინიქსი: რობინსონი (37), ჰარდევეი (18)

**ტორონტო 108:93 მაიამი**

ტორონტო: კარტერი (23), მაკგრეიდი (20)
მაიამი: მურნინგი (26)

**ატლანტა 98:96 ნიუ იორკი**

(ძირითადი დრო 91:91)

ატლანტა: რაიდერი (22), მუტომბო (18 ქულა, 24 მოხსნა)
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (22), სპრიუელი (21)

**ჩიკაგო 90:102 საკრამენტო**

ჩიკაგო: ბრენდი (30 ქულა, 18 მოხსნა)
საკრამენტო: ვებერი (24 ქულა, 12 მოხსნა), დივაცი (19)

**დენვერი 104:98 ჰიუსტონი**

დენვერი: მერსერი (24), ვან ექსელი (21)
ჰიუსტონი: ფრენსისი (27 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა)

**ლეიკერსი 117:89 მილუოკი**

ლეიკერსი: ონილი (30), ბრაიანტი (23), რაისი (19)
მილუოკი: კასელი (18)

29 იანვარი

**კლიპერსი 98:93 ნიუ ჯერსი**

კლიპერსი: ტეილორი (23), ოდომი (21 ქულა, 10 მოხსნა)
ნიუ ჯერსი: კიტლზი (24), მარბერი (23)

**დალასი 107:96 დენვერი**

დალასი: სებალოსი (31 ქულა, 10 მოხსნა)
დენვერი: სტიტი (27)

**ორლანდო 103:87 ატლანტა**

ორლანდო: გეტლინგი (19 ქულა, 12 მოხსნა)
ატლანტა: ჯეკსონი (15)

**შარლოტი 100:79 ფინიქსი**

შარლოტი: ჯონსი (20), კოულმენი (19)
ფინიქსი: ჰარდევეი (24)

**ვაშინგტონი 103:98 კლივლენდი**

ვაშინგტონი: სტრიკლენდი (26 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა)
კლივლენდი: სურა (23)

**პორტლენდი 81:67 სან ანტონიო**

პორტლენდი: სმიტი (15)
სან ანტონიო: ჯონსონი (15)

**ინდიანა 94:84 მაიამი**

ინდიანა: მილერი (30), სმიტსი (22)
მაიამი: მურნინგი (24 ქულა, 18 მოხსნა)

**ჩიკაგო 89:106 ტორონტო**

ჩიკაგო: არტესტი (18)
ტორონტო: კარტერი (22), ვილისი (21)

**დეტროიტი 90:88 ფილადელფია**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (26)
ფილადელფია: აივერსონი (27)

**მინესოტა 96:94 იუტა**

მინესოტა: გარნეტი (29 ქულა, 13 მოხსნა)
იუტა: მელოუნი (35 ქულა, 13 მოხსნა)

„მინესოტა" „იუტას" შეხვედრა 36 წლის თავდამსხმელ კარლ მელოუნისთვის მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ. მან მეორე ტაიმის დასაწყისში ბურთი ჩააგდო, რომელიც მის 15-წლიან კარიერაში 30000-ე გამოდგა. ამით „იუტა ჯაზის" თავდამსხმელი მესამე კალათბურთელი გახდა ნბა-ში, ვინც ეს შეძლო. მანამდე ამ ზღვარისთვის უილტ ჩემბერლენს და ქარიმ აბულ-ჯაბარს გადაუბიჯებიათ, მაიკლ ჯორდანს კი სულ რამდენიმე ასეული ქულა დააკლდა. მელოუნმა, ცხადია, დიდად გაიხარა, მაგრამ მისი ეს მიღწევა „მინესოტასთან" მარცხმა გააფერმკრთალა. მისმა „იუტამ" ზედიზედ მესამედ წააგო, პირველად ბოლო სამი წლის განმავლობაში.

30 იანვარი

**ნიუ იორკი 120:111 საკრამენტო**

ნიუ იორკი: სპრიუელი (32), ჰიუსტონი (28)
საკრამენტო: ვებერი (26)

**ჰიუსტონი 89:83 ლეიკერსი**

ჰიუსტონი: ფრენსისი (17)
ლეიკერსი: ონილი (27 ქულა, 19 მოხსნა)

ირაკლი ფირაშვილი

# შვედებმა რუსებს ევროპა მოუგეს

ხორვატია სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ატლანტაში მოპოვებულ ოლიმპიურ ტიტულს ვერ დაიცავს. ეს არის, ალბათ, ევროპელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის მთავარი მოულოდნელობა. მასპინძელთა გუნდმა ნახევარფინალში ვერ გააღწია და ამ ტურნირზე გასათამაშებელი ოლიმპიადის ერთადერთი საგზურისთვის და საბოლოო მეხუთე ადგილისთვის მეზობელ სლოვენიას შეხვდა. საუკეთესო ოთხეულს ავსტრალიაში ასპარეზობა შარშან ეგვიპტის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაებევებინა და ამიტომაც გათამაშდა ეს საგზური ექსიუგოსლაველებს შორის. ხორვატებს შინაურმა კედლებმა და მეტად აგრესიულმა გულშემატკივარმა ვერ უშველა და მეტად დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ 24:25. ეს მატჩი შაბათს გაიმართა, ისევე როგორც ნახევარფინალები და მე-7, მე-9 და მე-11 ადგილებისთვის მატჩები.

ორივე ნახევარფინალი ისე დამთავრდა, როგორც მოსალოდნელი იყო. შვედეთმა და განსაკუთრებით რუსეთმა მოწინააღმდეგეებს იოლად აჯობეს და ხელბურთის დიდი ტურნირების კლასიკური ფინალიც შედგა. რუსები იქადნებოდნენ, ჯგუფში მარცხისათვის შური უნდა ვიძიოთო და თავიდან საქმე აქეთაც მიდიოდა...

თუმცა ჯერ ბრინჯაოს მედლებისთვის გამართულ შეხვედრაზე ვთქვათ. ესპანეთი და საფრანგეთი, ფინალისტების მსგავსად, ერთ ჯგუფში იყვნენ და შესაბამისად ევრო 2000-ზე ეს მათი მეორე დაპირისპირება იყო. პირველ მატჩში ფრანგები სწრაფად დაწინაურდნენ (8:3) და მერე უპირატესობის შენარჩუნება ბოლომდე მოახერხეს. თამაში ამჯერადაც იგივე სცენარით დაიწყო. დანიელ კონსტანტინის შეგირდები მეტოქეზე გაცილებით უკეთ ირჯებოდნენ და მალე 7:3 დაწინაურდნენ. თუმცა აქ ესპანელები გამოცოცხლდნენ და დროის მცირე მონაკვეთი 5:0 მოიგეს. ამაში უდიდესი წვლილი კი მათ მეკარე ბარუფე ბოფილს მიუძღვის, რომელმაც რამდენიმე უძნელესი ბურთი მოიგერია. საერთოდ მატჩში კი ბოფილმა 38 ტყორცნიდან 15-ჯერ გადაუღობა ბურთს კარისკენ მიმავალი გზა.

ფრანგები საკმაოდ დაბნეულები იყვნენ და ვერაფრით ახერხებდნენ თამაშის უწინდებურად წარმართვას. და რომ არა პირინეელთა ერთგვარი დამშვიდება, შესვენებამდე ანგარიშში სხვაობა გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე ერთი ბურთი.

ერთი შეხედვით ძნელი სათქმელი იყო, რატომ ველარ სჯობნიდნენ ფრანგები მეტოქეს, რომელიც ჯგუფში გაანადგურეს. თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ვინც ესპანელთა იმ თამაშისდროინდელ შემადგენლობას იცნობდა, აღმოაჩენდა, რომ მესამე ადგილისთვის მატჩში მათ დუშებაევი შეემატათ. მას ევროპაში აგრერიგად მოდებული გრიპის ვირუსი შეჰყრია და ახლა მომჯობინებულა. დუშებაევმა პირველ ტაიმში ოთხი ტყორცნიდან ოთხი გოლი გაიტანა და საერთოდ, გუნდის სული და გული იყო.

მეორე ტაიმი „ლურჯების" უპირატესობით დაიწყო და ისინი მალე 15:14 დაწინაურდნენ. თუმცა დიდი სხვაობით წინ გასვლას ვერაფრით ახერხებდნენ, რადგან ესპანელთა კარში ბოფილი ბრწყინავდა. 39-ე წუთზე ანგარიში თანაბარი იყო — 16:16. ამის მერე ოთხწუთიანი მონაკვეთი ესპანეთმა 3:0 მოიგო და აღარც მიუცია საფრანგეთისთვის წამოწევის საშუალება. საბოლოოდ ბრინჯაო ევროპის ვიცე-ჩემპიონებს დარჩათ. ფრანგებმა კი თავი იმითღა დაიმშვიდეს, რომ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ მათი ჯეკსონ რიჩარდსონი აღიარეს.

მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა შვედეთმა კი ორი დამატებითი დროის შემდეგ 32:31 სძლია რუსეთს და ევროპის ჩემპიონატი მესამედ მოიგო. შეგახსენებთ, რომ ბებერი კონტინენტის პირველობა სულ ოთხჯერ გაიმართა და ერთხელ ოქროს მედლები რუსეთს რგებია.

ეს იყო მშვენიერი ფინალი. მაყურებელმა ნამდვილად ისიამოვნა. მსოფლიოს ორმა უძლიერესმა გუნდმა მეტად თვალსასეირო, დაძაბული ბრძოლა გამართა. 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონი რუსეთი და შარშანდელი ჩემპიონი შვედეთი — უკეთესი ფინალის წარმოდგენა შეუძლებელი იყო.

მატჩი ორივე გუნდმა ფრთხილად დაიწყო და ზედმეტ რისკზე წასვლა არავის უცდია. რუსები უკეთ გამოიყურებოდნენ და დაახლოებით ათიოდ წუთის შემდეგ სამი ბურთითაც გაიჭრნენ წინ — 7:4. შვედები მეტით რომ არ ჩამორჩნენ ოლსონ-ვისლანდერის წყვილის დამსახურებაა. სკანდინაველთა პირველი ოთხი გოლიდან სამი მეორემ შეაგდო და საგოლე პასი სამჯერვე პირველმა მისცა. ამის მერე ცოტა ხნით ქულა ქულაში მიდიოდა და 23-ე წუთისთვის სლავები 12:9 იგებდნენ.

ზუსტად შესვენების წინ რუსეთმა ტემპი გაზარდა და მიუხედავად შვედეთის ძლიერი დაცვისა, ტაიმი ექვსბურთიანი უპირატესობით მოიგო — 15:9. ორი გოლი მოსკალენკომ გაიტანა. შვედებს აღარაფერი გამოსდიოდათ. ანატოლი ლავროვთან პირისპირ გასულმა ვისლანდერმაც კი ვერ გაიტანა — ბურთი ძელს მოხვდა. დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, ხოდკოვმა გაუტანა მეტოქეს (16:9) და თითქოს რევანშიც უნდა შემდგარიყო...

თუმც ვიკინგები ასე არ ფიქრობდნენ. ვრანიესმა და ვისლანდერმა ანგარიშში სხვაობა მალევე შეამცირეს. ფრანცენმაც იხეირა კონტრიერიშისას და — 16:12. 17:13-ზე კი ტორსონმა გაიტანა ზედიზედ ორი გოლი და თავისიანებს მატჩის გადარჩენის იმედიც დაუბრუნა. 41-ე წუთზე იმავე ტორსონის მორიგი კონტრიერიშის შემდეგ ანგარიშში სხვაობა ერთ ბურთამდე შემცირდა — 18:17. რუსები ველარ ახერხებდნენ მეტოქის შეტევების ჩაშლას და ლოვგრენმა მალევე გაათანაბრა — 18:18. მეორე ტაიმის პირველი თხუთმეტი წუთი შვედეთმა 9:3 მოიგო და ყველაფერი თავიდან დაიწყო.

53-ე წუთისთვის კი წინ უკვე შვედეთი იყო — 22:20. მათი მეკარე გენცელი ბრწყინვალედ თამაშობდა — 33 ტყორცნიდან 17 მოიგერია და სამართლიანადაც დაასახელეს ტურნირის საუკეთესო მეკარედ. თუმც მიუხედავად ამისა, პოგორელოვისა და ხოდკოვის ზუსტი სროლების შემდეგ ანგარიში მაინც გათანაბრდა. საფინალო სირენამდე წუთზე ცოტა მეტი რჩებოდა, როცა იგორ ლავროვმა 7-მეტრიანი საჯარიმოთი თავისიანები დააწინაურა (24:23), მაგრამ შვედების შეტევა ფრანცენმა დააგვირგვინა და დამატებითი ტაიმებიც დაინიშნა.

პირველ ხუთწუთიან ტაიმში ისევ რუსებმა იძალეს. პოგორელოვმა, ფილიპოვმა და ხოდკოვმა სამი უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს, მაგრამ არც შვედები იყვნენ უქმად. ტორსონის სროლის შემდეგ ანგარიში კვლავ გათანაბრდა და ისევ დამატებითი დრო დაინიშნა. აქ უკვე ერთ ბურთზე მეტით ველარავინ დაწინაურდა. საფინალო სირენამდე 30 წამით ადრე ვისლანდერმა გაიტანა, მერე პოგორელოვს გაუცუდდა მიზანი და შვედეთი მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი. რუსეთი კი ოლიმპიადას დაელოდება რევანშის ასაღებად.

**გაიოზ თალაკვაძე**

### ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი

29 იანვარი

**მატჩი მე-11 ადგილისთვის**
უკრაინა 25:26 ისლანდია

**მე-9 ადგილისთვის**
გერმანია 19:17 დანია

**მე-7 ადგილისთვის**
ნორვეგია 27:30 პორტუგალია

**მე-5 ადგილისთვის**
ხორვატია 24:25 სლოვენია

**ნახევარფინალი**
საფრანგეთი 23:30 რუსეთი
შვედეთი 23:21 ესპანეთი

30 იანვარი

**მატჩი მე-3 ადგილისთვის**
ესპანეთი 24:23 საფრანგეთი

**ფინალი**
შვედეთი — რუსეთი
32:31 დ.დ. (24:24; 27:27)



REUTERS ზაგრებიდან

გამარჯვების გოლი შვედთაგან მაგნუს ვისლანდერმა გაიტანა





REUTERS მანჩესტერიდან

მაიკ ტაისონი ამაყად დასცქერის გალახულ ჯულიუს ფრენსისს

# ტაისონმა ხელი გაიქნია ფრენსისს ესეც ეყო

მაიკ ტაისონს ოთხი წუთი ეყო ბრიტანელი ჯულიუს ფრენსისის დასამარცხებლად. ინგლისელმა რეფერიმ როი (ასევე) ფრენსისმა მაშინ შეწყვიტა ბრძოლა, როცა ბრიტანეთის გოლიათი ჩემპიონი მეხუთედ განერთხო ფიცარნაგს.

არავინ მოელოდა, რომ ბრიტანეთის ჩემპიონი თუნდაც ორ რაუნდს გაუძლებდა ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს, მაგრამ ფრენსისი ძალიან მალე წახდა. კრივისა და ბრძოლისა ამ შეხვედრას ბევრი არაფერი ეცხო. მანჩესტერის „მენ არენა" გაჭედილი იყო ხალხით, ბექჰემიანთ წყვილიც გამოაჩინეს ტელევიზორში და შოუც ფრიადი გამოვიდა.

რინგისკენ ჯერ ფრენსისი დაიძრა ცეკვა-ცეკვით და ბრიტანელი სამხედროების თანხლებით. თეთრ პონჩოსა და თეთრ ტრუსებში გამოწყობილი იმგვარი რიხით ახტა რინგზე, რომ ქვეყნის დამანგრეველი გეგონებოდათ. მერე გამოვიდა სულ ერთიანად შავებში გამოწყობილი ტაისონი, რომელსაც სვიტერზე თეთრად ეწერა — „იყავ ნაღდი".

ბრძოლა რომ დაიწყო, ცხადი შეიქნა — ფრენსისი კლინჩით ცდილობდა ფონს გასვლას, ტაისონი კი ტანზე უბაგუნებდა მუშტებს. მთელი ჩხუბის განმავლობაში მან ერთი ხეირიანიც ვერ მოსდო თავ-პირში მოწინააღმდეგეს. ფრენსისი კი ყველა მოქნეულზე ძირს გაგორდებოდა ხოლმე. ამით თითქოს თავს ინახავდა. ტაისონის ყველაზე ვარგისი დარტყმა ფერდში მოუვიდა ფრენსის და პირველადაც მაშინ წაიქცა. ეს იყო პირველი რაუნდის დასრულებამდე ოცდაათი წამით ადრე. მეორე ნოკდაუნმა გონთან ერთად მოუსწრო ფრენსისს. ეს ნოკდაუნი მან თავად გამოიგონა, ისევე, როგორც მეორე რაუნდის ნოკდაუნები.

რეფერის რაღა უნდა ექნა?

ადგა და გაიქნია ხელები, ბრძოლა ტექნიკური ნოკაუტით დასრულდა.

ფრენსისს არც არასდროს ექნებოდა თუნდაც ცალხელა ტაისონთან ბრძოლის თავი, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო საინტერესო ტაისონის მდგომარეობაა. შეძლებს კი მაიკი შეებრძოლოს დღევანდელ მოწინავე მოკრივეებს? მისი მწვრთნელი ტომი ბრუქსი კი აცხადებს, მაიკი ძველი მაიკიაო, მაგრამ ბოლო სამ წელიწადში სულ შვიდი რაუნდის ნაკრივი ტაისონი თვალსა და ხელს შუა ყალიბდება შოუს მოკრივედ.

ბრძოლის შემდეგ მისმა მენეჯერმა შელი ფინკელმა განაცხადა, ამ წლის ბოლოს უკვე რაიმე ტიტულისთვის უნდა ვიბრძოლოთო, მაგრამ ტაისონის სავარაუდო მეტოქენი, იგივ ლუ სავარეზე და ვიტალი კლიჩკო ის ხალხი არაა, საჩემპიონო ბრძოლისთვის სამზადისში რომ წაადგნენ მაიკს.

მაიკლ გრანტი, დევიდ ტუა და აიკ იბეაბუჩი — აი ხალხი, ვისთან ბრძოლაშიაც უნდა გამოიცადოს ტაისონის ნამდვილი ძალა. მათთან შეხვედრას კი მაიკის ბანაკი გაურბის.

თავად ტაისონმაც თქვა, ფრენსისი ჩემმა ფერდში მორტყმულმა დააგდო და არა თავში დარტყმებმა, რომელთაგან არცერთი არ იყო ნაღდიო. ეს ფრენსისმაც დაადასტურა. ტაისონმა დიდად აქო ინგლისელი ხალხი და შინაგან საქმეთა მინისტრი ჯეკ სტროუ, რახან ამ უკანასკნელმა ქვეყანაში შესვლის ნებართვა მისცა. ჩემი ევროპული ტურნე გაგრძელდებაო, დაიმედა ევროპა ამერიკელმა, თუმცა, იქვე აღნიშნა, მე ნიუ იორკელი ვარ, ბრაუნსვილელი, ბრუკლინში რომ ძევსო

ტაისონ-ფრენსისის ბრძოლისთვის ატლანტაში უცქერია მუჰამედ ალის, რომელიც იქ სუპერბოულის საქმეერლად ყოფილა ჩასული. პირველი რაუნდის შემდეგ ალი წამომდგარა და გასულა, საყურებელი აღარაფერიაო.

რა დარჩა მაიკ ტაისონისგან?

რკინის მუშტი. ეს დიდი რამ არის კრივში, მაგრამ კრივი მხოლოდ ეს აღარ არის.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**


**ვაქირავებ ან ვყიდი**

გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას
ტელეფონით და ბუნებრივი გაზით
სარაჯიშვილის მეტროსთან

☎ 60 21 23


ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

# მოდებაძე ახლოსაა

სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოსაპოვებლად სერიოზული განაცხადი გააკეთა თავისუფალი სტილით მოჭიდავე მძიმეწონოსანმა ალექსანდრე მოდებაძემ, რომელმაც ამ უქმეებზე მინსკის სალიცენზიო ტურნირში გაიმარჯვა. ჩვენი გუნდის სხვა წევრთაგან ოთარ თუშიშვილმა (58) მეოთხე ადგილი დაიკავა. ევროპის ორგზის ჩემპიონი დავით პოლოსიანი (63) მეექვსე იყო. გოჩა კირკიტაძემ (55), რევაზ მინდორაშვილმა (76) და თამაზ გეგეშიძემ (85) ქვეჯგუფიდან ვერ გავიდნენ. შეგახსენებთ, რომ ემზარ ბედინეიშვილმა (69) და ელდარ კურტანიძემ უკვე მოიპოვეს ლიცენზიები.

მთის თხილამურობა

# ჰერმინატორი კლამერის რეკორდს იმეორებს

სამთომთხილამურეთა მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპს გერმანია მასპინძლობდა. გარმიშპარტენკირხენში კაცები სწრაფდაშვებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ყველაზე ნაკლები დრო ისევ და ისევ ჰერმან მაიერს აღმოაჩნდა. მთელი ეს ამბავი, ცხადია, აღტაცებასაც იწვევს, მაგრამ ცოტა არ იყოს მომაბეზრებელიც გახდა. წლევანდელ სათხილამურო სეზონში ავსტრიელს მხარი ვერავინ აუბა და ისიც ცალკე, ყოველგვარი კონკურენციის გარეშე უახლოვდება სეზონის საბოლოო მიზანს — მსოფლიოს თასს. განსაკუთრებით დასანანია და უთუოდ წლევანდელ სენსაციად უნდა ჩაითვალოს თასის შარშანდელი მფლობელის ნორვეგიელი ლასე კიუსის უხეიროზე უხეირო ასპარეზობა. მართალია მის თანამემამულე კეტილ ამოდტს გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები აქვს, იგი ახლა საერთო ჩათვლაში მეორეა, მაგრამ მაიერს ამოდტიც გვარიანად ჩამორჩება — ამ ორ მოთხილამურეს 430 ქულა აშორებთ.

გარმიშის სწრაფდაშვების ტრასაზე მეორე იყო იტალიელი კრისტიან გედინა, მესამე — ავსტრიელი ჰანს ტრინკლი.

ეს გამარჯვება ჰერმანისთვის რიგით 26-ე იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მსოფლიოს თასზე მოგებული ეტაპების რაოდენობით გაუთანაბრდა ყველაზე ტიტულოვან მოთხილამურეს, ავსტრიელ ფრანც კლამერს.

„დღეს განსაკუთრებით ვცდილობდი, რომ პირველი ვყოფილიყავი. — თქვა შეჯიბრების დასრულების შემდეგ ჰერმან მაიერმა. — ცხადია, არა მარტო იმიტომ, რომ კლამერის რეკორდს შევწვდი. ეს თავისთავად. ტრასა ძალზე მძიმე იყო, ბევრ ადგილას ფაფუკი თოვლის ნაცვლად ყინულის ზეწრები იყო დაფენილი. ერთი სიტყვით ისეთი, მე რომ მიყვარს“.

ასეა. ჩემპიონი იმიტომაც არის ჩემპიონი, რომ სირთულეები აშინებს კი არა, სასურველი ხდება.

ირაკლი ბერიაშვილი

**საერთო ჩათვლა**

ჰერმან მაიერი (ავსტრია) 1410 ქულა
კეტილ ამოდტი (ნორვეგია) 980
იოზეფ სტრობლი (ავსტრია) 710
შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 672
კრისტიან გედინა (იტალია) 669
ანდრეას შიფერერი (ავსტრია) 608




REUTERS გარმიშ-პარტენკირხენიდან

ჰერმან მაიერი

ჰოკეი

# მაკლირს შაიბა ყელზე დაადგა

28 იანვარი

**ვანკუვერი — სან ხოსე 4:1**

2:1 1:0 1:0

0:1 ჰარვი 0'28 (6); 1:1 მოგილნი 3'51 (14); 2:1 მესიე 19'46 (8); 3:1 ბრაშირი 37'09 (9); 4:1 მესიე 45'58 (9)

**ტამპა — ედმონტონი 3:7**

1:1 2:3 0:3

0:1 პოტი 1'30 (5); 1:1 კუბინა 4'57 (4); 2:1 სილინჯერი 23'49 (15); 3:1 გრეტონი 29'25 (12); 3:2 ლარაკი 29'52 (2); 3:3 ბერანეკი 32'20 (7); 3:4 რ. სმიტი 36'26 (19); 3:5 გერინი 48'27 (14); 3:6 ფალუნი 53'42 (5); 3:7 ბერანეკი 54'38 (8)

**კაროლინა — ნიუ ჯერსი 4:3**

1:2 2:0 0:1 1:0

0:1 ლემიე 10'00 (17); 1:1 ვესტლუნდი 10'12 (3); 1:2 ჰოლიკი 18'21 (17); 2:2 კაპანენი 26'00 (19); 3:2 კრონი 29'58 (7); 3:3 სიკორა 53'52 (16); 4:3 ონეილი 60'16 (15)

**დეტროიტი — კალგარი 4:1**

0:0 3:0 1:1

1:0 ფიოდოროვი 29'26 (12); 2:0 ლიდსტრიომი 37'08 (13); 3:0 ვერბიკი 37'34 (14); 3:1 საფარი 54'56 (11); 4:1 შენაჰანი 57'52 (27)

**დალასი — სენტ ლუისი 1:3**

1:1 0:1 0:1

1:0 მოროუ 5'07 (6); 1:1 რეირდენი 12'53 (3); 1:2 ბარტესკო 31'05 (11); 1:3 კონროი 59'47 (8)

**ბუფალო — ოტავა 1:0**

1:0 0:0 0:0

1:0 პატრიკი 2'37 (3)

**ვაშინგტონი — ფინიქსი 3:2**

1:2 1:0 0:0 1:0

1:0 ჰაიპერნი 3'23 (8); 1:1 გრინი 14'13 (18); 1:2 რენიკი 15'11 (23); 2:2 გონჩარი 36'20 (12); 3:2 იუჰანსონი 64'59 (57)

29 იანვარი

**ნეშვილი — კალგარი 3:1**

0:0 1:0 2:1

1:0 მილარი 28'11 (2); 2:0 იაჩმენევი 44'39 (4); 2:1 ბურე 59'14 (20); 3:1 იაჩმენევი 59'59 (5)

**სენტ ლუისი — კოლორადო 4:0**

1:0 2:0 1:0

1:0 კონროი 15'10 (9); 2:0 ჰანდზუსი 26'55 (13); 3:0 პელერინი 37'22 (3); 4:0 კონროი 41'15 (10)

**სან ხოსე — აილენდერსი 2:3**

1:2 1:0 0:0 0:1

0:1 ლაპუანი 0'40 (8); 0:2 ნაბოკოვი 1'57 (2); 1:2 მარლო 11'30 (12); 2:2 სუტერი 34'43 (5); 2:3 ბირონი 62'43 (2)

**მონრეალი — ფილადელფია 2:2**

2:2 0:0 0:0 0:0

1:0 სტივენსონი 10'32 (1); 1:1 პრიმო 16'29 (1); 1:2 ლინდროსი 17'11 (19); 2:2 რივე 19'50 (3)

**ბოსტონი — ბუფალო 1:0**

1:0 0:0 0:0

1:0 აქსელსონი 11'52 (8)

**ოტავა — რეინჯერსი 3:2**

0:1 1:0 2:1

0:1 ნედვედი 15'55 (16); 1:1 ბონკი 28'26 (13); 1:2 მაკლინი 58'20 (15); 2:2 ფილიპსი 58'06 (2); 3:2 ლედიარდი 58'59 (1)

**დეტროიტი — ნიუ ჯერსი 3:1**

0:1 3:0 0:0

0:1 არნოტი 18'45 (14); 1:1 კოზლოვი 23'34 (13); 2:1 ფიოდოროვი 30'43 (13); 3:1 მოლტბი 33'16 (2)



REUTERS მონრეალიდან

მონრეალი — ფილადელფია. მონრეალელ ტრენტ მაკლირს (№6) თავგამოდება ძვირად დაუჯდა

**ტორონტო — ლოს ანჯელესი 3:2**

0:2 0:0 3:0

0:1 სმოლინსკი 4'11 (14); 0:2 კარალაჰტი 13'36 (3); 1:2 ბერარდი 45'02 (3); 2:2 ტომასი 46'32 (12); 3:2 ტომასი 59'40 (13)

**ფლორიდა — ედმონტონი 2:1**

2:1 0:0 0:0

0:1 გრინი 2'54 (6); 1:1 უიტნი 4'21 (22); 2:1 ჰედიკანი 7'21 (15)

**პიტსბურგი — ანაჰაიმი 1:7**

1:3 0:2 0:2

0:1 სელიანე 3'19 (20); 0:2 აალტო 12'12 (5); 1:2 სტრაკა 13'23 (9); 1:3 კარია 14'03 (27); 1:4 კალენი 21'55 (8); 1:5 რუჩინი 34'18 (8); 1:6 კარია 45'31 (28); 1:7 პრკაჩი 55'16 (3)

**ტამპა — ატლანტა 2:1**

0:1 1:0 1:0

0:1 ფერარო 19'33 (12); 1:1 მოდინი 37'25 (13); 2:1 მოდინი 49'18 (14)

30 იანვარი

**ვაშინგტონი — ფილადელფია 2:0**

0:0 2:0 0:0

1:0 გონჩარი 30'05 (13); 2:0 კონოვალჩუკი 36'36 (11)

**მონრეალი — კაროლინა 3:0**

0:0 0:0 3:0

1:0 სტივენსონი 53'56 (2); 2:0 ბრიუნე 59'20 (6); 3:0 ბრისბუა 59'30 (4)

**ვანკუვერი — ჩიკაგო 1:3**

0:0 1:3 0:0

1:0 ნესლუნდი 22'13 (16); 1:1 მაკამონდი 32'29 (11); 1:2 სალივანი 35'00 (8); 1:3 დიუმონი 38'49 (10)

„უკეთ ვარ. ჩემზე ნუ იდარდებთ, გადით ყინულზე და იბრძოლეთ. მე რადიოთი მოვისმენ რეპორტაჟს“ — ასეთი შინაარსის ბარათი მიიღეს მონრეალელმა ჰოკეისტებმა კაროლინასთან მატჩის წინ თანაკლუბელ ტრენტ მაკლირისგან, რომელიც წინადღეს სიკვდილს ძლივს გადაურჩა.

რა დაემართა მაკლირს? ფილადელფიასთან მატჩი თითქმის სანახევროდ გაილია, როცა ტრაგედია მოხდა. „მფრინავთა“ მცველმა კრის ტერიენმა უძლიერესად დაარტყა. მაკლირი გადაეფარა და უდიდესი სიჩქარით მოძრავი შაიბა კისერში მოხვდა. ფორვარდს სუნთქვა შეეკრა. მას უმალ პარტნიორები დაეხმარნენ. ყინულიდან გაიყვანეს და სასწრაფო დახმარებამაც იმარჯვა, თორემ ადვილი შესაძლებელი იყო, ჰოსპიტლამდე ცოცხალს ვერ მიეღწია. „ჰოკეიში ამდენი წელია ვსაქმიანობ, მაგრამ ასეთ ამბავს არ შევსწრებივარ“ — კანადელთა გენერალური მენეჯერი, წარსულში სახელოვანი ჰოკეისტი რეჯან ული შეშფოთებული იყო. ცხადია, ამის შემდეგ მეტოქეებს ჰოკეისთვის ნაკლებად ეცალათ და დანარჩენ დროში გოლი აღარ გასულა. არადა მატჩი ძალიან საინტერესოდ დაიწყო, კეიტ პრიმომ კი სეზონში პირველი გოლი გაიტანა. „მფრინავთა“ ახალწვეული ამჯერად უკეთ გამოიყურებოდა და არამარტო ჩხუბობდა, ხიფათსაც ხშირად ქმნიდა და ერთ-ერთი საუკეთესო იყო თავის გუნდში. მაკლირის ბარათის მიღების შემდეგ, ცხადია, მონრეალელებმა განსაკუთრებით მოიწადინეს და მეორე დღეს კაროლინასთან მოგება თავიანთ თავგამოდებულ თანაგუნდელს მიუძღვნეს.

ვაშინგტონელი სერგეი გონჩარი ამ ბოლო დროს დიდებულად თამაშობს, მაგრამ კიდევ უფრო საოცარი მისი გუნდის შედეგია. აგერ უკვე 11 მატჩია, დედაქალაქელების მძლეველი არ ჩანს (+10=1-0). ხანგრძლივმა წარმატებამ მას საშუალება მისცა, აღმოსავლეთის საპლეიოფო რვა საუკეთესოში ელვასავით შეჭრილიყო. გონჩარი და მეკარე ოლაფ კოლციგი კი ალბათ თვის ლაურეატობის მთავარი პრეტენდენტები გახდებიან. რუსის შედეგი (ბოლო 16 თამაშში 24 (11+13) ქულა) თვით გამორჩეულ ფორვარდებსაც კი შეშურდებათ. ფინიქსთან მოგება მხოლოდ მისი დამსახურებაა. დამატებითი დროის ბოლო წამებზე კარგ პოზიციაში მყოფმა გონჩარმა (1+2) ამჯობინა, შაიბა უფრო ხელსაყრელ ვითარებაში მყოფ კალე იუჰანსონისთვის გადაეცა და პარტნიორიც აზეირა. გერმანელი მეკარე კი ისე თამაშობს, რომ ჟურნალისტებს სულ უფრო და უფრო ახსენებს თავის მეტსახელს — „გოძილა“. ეს მას 1998 წელს ვაშინგტონის პლეი ოფში გამორჩევისას შეარქვეს.

დეტროიტთან შეხვედრამდე ნიუ ჯერსის 23 დეკემბრის შემდეგ ძირითად დროში არ წაეგო. „ეშმაკთა“ მწვრთნელი რობი ფტორეკი „წითელფრთიანებთან“ წარუმატებლად მიმდინარე მატჩმა ისე გააცხარა, მასპინძელთა მესამე გოლის შემდეგ სათადარიგოთა სკამის ერთი ნაწილი პროტესტის ნიშნად ყინულზე ისროლა. თუმც ამის საბაბი მას ნამდვილად ჰქონდა. გოლამდე რამდენიმე წამით ადრე დეტროიტელმა მეტიუ დანდენომ ძალისმიერი ილეთით მეტოქე ჯეი პანდოლფი ბორტს ისე მიაჭყლიტა, საბრალოს სისხლი წამოუვიდა ცხვირიდან, მაგრამ არბიტრმა თამაში არ შეაჩერა და ამასობაში გოლიც გავიდა.

ისე, დეტროიტი ხანგრძლივი (+0=2-3) კრიზისის შემდეგ კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა. ნიუ ჯერსისთან მოგება მისთვის ზედიზედ მეოთხე გამოდგა, მანამდე კი „წითელფრთიანებმა“ მოუხერხებელ მეტოქე კალგარისაც სძლიეს.

ორი მოგება მიითვალა სენტ ლუისმაც. ამ მატჩებმა ერთხელ კიდევ ცხადყო „ბლუზმენთა“ სპეცბრიგადების სიძლიერე. განსაკუთრებით ნიშანდობლივი კოლორადოსთან მატჩი გახლდათ, რომელშიც სენტ ლუისმა ერთხელ რიცხვმრავლობაში შეაგდო, ორჯერ — უმცირესობაში (!).

ერთი სული აქვს ბუფალოს, როდის დაბრუნდება მისი მხსნელი დომინიკ ჰაშეკი. თუმცა ის, რომ „ხმლები“ დღეს სავალალო მდგომარეობაში არიან, მისი შემცვლელის ბრალი როდია. მარტინ ბირონი კარგად იცავს კარს. ამ უქმეებზე მან მეხუთე შატაუტი მიითვალა. თუმცა ჰაშეკის გამოჩენამ შეიძლება გამოაცოცხლოს „ხმლების“ ფორვარდები. აი, სან ხოსე კი ჩინებული სტარტის შემდეგ პლეი ოფის მიღმა რომ დარჩეს, მის ძესვეურთა უთავბოლო პოლიტიკის ბრალი იქნება. ახალი წლის პირველ დღეს მათ მაიკ ვერნონი ფლორიდაში გაუშვეს და სტივ შილდსისა და ევგენი ნაბოკოვის იმედზე დარჩნენ. არც ეს ბიჭები არიან ცუდი მეკარეები, მაგრამ ძირითადი მეკარის მოვალეობას მთლად თავს ვერ ართმევენ. ვანკუვერს 6-თამაშიანი წარუმატებელი სერიის შეწყვეტაში შილდსი დაეხმარა, ხოლო კიდევ უფრო სუსტ აილენდერსთან უკვე ნაბოკოვმა „ივაჟკაცა“. მან პირველი ორი დარტყმისგან ერთიც ვერ მოიგერია და მოგვარე დმიტრი ნაბოკოვის გოლის შემდეგ უკვე მეორე (!) წუთზე შეცვალეს.

სამველ ლარიბიანი

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრთა სააღრიცხვო ბარათის მოსაწესრიგებლად და ახალი მოწმობის მისაღებად, გთხოვთ, მობრძანდეთ ასოციაციის ოფისში (რუსთაველის 42). ტელ. 99-08-22, 99-94-09. თან იქონიეთ ორი ფოტოსურათი.

*საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*



# ასე მთავრდება

ამ სახიფათო კაცს პიტერ ჰორი (ზედა ფოტოზე) ჰქვია. მელბურნის კორტის მენეჯერი გლენ შერემი იცნობს ამ კაცს და ამიტომაც ცდილობს მის შეჩერებას. პიტერ ჰორის პროფესია დიდ და სერიოზულ ღონისძიებათა ჩაშლაა. ასე ჩაუშლია მას ცნობილი სანახაობები და დაკარძალვებიც კი. ავსტრალიის ღია პირველობის ფინალის მსვლელობისასაც ამიტომ გამოვარდნილა კორტზე — ანდრე აგასისა და ევგენი კაფელნიკოვს ტვინი უნდა აეურიოთ.

ქალთა შეჯიბრის მომგები ლინდსი დევენპორტი (ქვედა ფოტოზე) კი თითქოს გვეუბნება, მე ვზივარ ნავში და მივდივარ სახლშიო. რატომ არ გვეტყვის, წაახდინა პატარა მარტინა, დაითრია თასი და ახლა ლაღობს რივერზე.

## აფრიკის თასი

განა 0:2 კოტ დივუარი

კამერუნი 0:1 ტოგო


REUTERS

კამერუნი — ტოგო 0:1. ტოგოელი აბდელ კუბადჯა (მარცხნივ) და კამერუნელი რიგობერტ სონგი

## იტალია

სერია B

კოზენცა 1:3 რავენა

## ინგლისი

თასის მერვედფინალი

ბლეკბერნი 1:2 ნიუკასლი



# სადაც ვშობილვარ...

სქოთთა სარაგბო ნაკრების კაპიტან ჯონ ლესლის ქორწილი აქვს. ცოლად გულისსწორი კარმელ ოლაფლინი შეურთავს. ახალ ზელანდიაში შობილ ლესლის უფიქრია და გვირგვინიც იქ უფსკვნია სადაც დაბადებულა — ახალ ზელანდიურ ქალაქ ეროუთაუნში.



# სუპერბოული



შემდგა ეს დიდებული ოცდამეთოთხმეტე სუპერბოული. მთელი ატლანტა, რის ატლანტა, მთელი ამერიკა გაირინდა და უცქირა, როგორ დასჯაბნეს სენტ ლუისელმა ცხვრებმა ნეშვილელი ტიტანები (23:16). შესვენებისას შოუ შეუბერეს და კრისტინა აგილერამა და ენრიკე იგლესიასმა დაატკბეს მაცქერალნი. თამაში ფრიადი გამოვიდა. ნეშვილის „ტენესი ტიტანზმა" ვერაფერი გააწყო „სენტ ლუის რუმზის" წინააღმდეგ, ამ უკანასკნელთა კი თასი მშობლიურ ქალაქში წაიღეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურაბ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli